დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის
14 - 20 ოქტომბერი

N 43 1561

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# შკრანასკნელი ნაცირალები,

ანუ მუდრიკის მიერ საქართველოს კარში გატანილი გოლით გახარებული ქართველი მუდრეგების შესახებ





3

## ამიტომაც გულშემატკივრობენ ლომჯარია და მისნაირები საქართველოს დამარცხებას!

### ლუკა კურტანიძე:



ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას საშინელი სისხლისღვრა და ქვეყნის განადგურება მოჰყვება!

11

### ვატო შაქარიშვილი:



ევროპარლამენტის სამარცხვინო რეზოლუციით საქართველოსაგან ეროვნულ თვით-მკვლელობას ითხოვენ!

„ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს შესწევთ ძალა, სისხლიანი დამნაშავეების რევანში არ დაუშვან!“

4

### დიმიტრი ლორთქიფანიძე:



თუ გინდათ, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი შედგეს, წაუყენეთ სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას ეს ბრალდებები!

15

## ქვეყნები, სადაც ხმის არმიცემა დასჯადია!

10

### ლაზარე ჯორბენაძე:



სუს-მა ძალიან კარგად იცის, რომ უკრაინიდან ჩამოსულია 500-მდე მებრძოლი, რომელსაც აქვს იარაღი!

22

### თამარ კიკნაძე:



ერთად დავუსვათ წერტილი ბოროტებას – სახელად ნაცმოძრაობა!

„სამშობლოსათვის სიკვდილი არაა ტრაგედია!“

19

### მიხეილ ცაგარელი:



თუ გინდათ, საქართველო გაცამტვერდეს, ხმა მიეცით კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას!

8

## რეზოლუციფერები

2



### დაარღვევს თუ არა ჭირვეულ დუმილს ეროვნული ბანკისა და „ქართუ ჯგუფის“ ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი?



6-7

„იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კარი შეეღოთ. ჰოდა, უპრობლემოდ იღებდნენ ბანკიდან საკუპონო სესხებს მსხვილ თანხებში თავიანთი ჯიბის ბანკებისთვის...“

### ხანდაზმულ თაღლით ხაზარაძეს ვპირდებით:



20

იმ 5 ათას ლარს, რომელიც, „ოცნების“ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯიბიდან ამოგვაცალა, წავარწყევინებთ!

*ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, დაცემულ და ღვთისგან განდგომილ ანგელოზს, ანუ სატანას ლუციფერი ეწოდება, ხოლო პოლიტიკურ სატანისტებს, რომლებმაც ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ მორიგი სამარცხვინო და მავნებლური რეზოლუცია მიიღეს, რეზოლუციფერებს ვუწოდებთ.*



**ევროპარლამენტარი რეზოლუციფერები თავიანთი რეზოლუციით ქართველ ხალხს ეუბნებიან, რომ საქართველოს ევროპული გზა ლგბტ ცხოვრების წესზე, ხელისუფლებაში ნაცბანდის დაბრუნებასა და რუსეთთან ომზე გადის!**

# რეზოლუციფერები








**ნაცმიდრეკილი ევროდეპუტატები მარკეტა გრეგოროვა და ანდრიუს კუბილიუსი**

ევროპარლამენტის უმრავლესობაში მყოფმა პოლიტიკურმა სატანისტებმა, რომელთა საქმიანობის მთავარი მიზანი ადამიანის ცხოვრებიდან ღმერთის გაძევება, ქრისტიანობის ლგბტ იდეოლოგიით ჩანაცვლება და ლიბერალიზმის რელიგიად გამოცხადება გახლავთ, 2024 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს, რომ, **თუ საქართველო ოჯახური ღირებულებების დაცვისა და უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონებს არ გააუქმებს, ევროკავშირისაგან ყოველგვარი ფინანსური დახმარება უნდა შეუწყდეს.**

ამასთან, **რეზოლუციფერები** მსჯავრდებული **მიხეილ სააკაშვილის** დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვენ და ევროკავშირის აღმასრულებელ სტრუქტურებს **ბიძინა ივანიშვილისათვის** „დაუყოვნებლივი და მიზანმიმართული პირადი სანქციების" დაწესების რეკომენდაციას აძლევენ.

და კიდევ: **რეზოლუციფერები** წერენ, რომ საქართველომ რუსეთს უკრაინაში შეჭრის გამო სანქციები უნდა დაუწესოს!

ახლა მოდით, მარტივად და გასაგებად გავშიფროთ, რას ეუბნება ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოს ევროპარლამენტის რეზოლუციაზე ხელმომწერი **495 რეზოლუციფერი:**

**თუ ევროკავშირში ინტეგრაცია გსურთ,** მაშინ ოჯახური ღირებულებების დასაცავ და ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონებს კი არ უნდა იღებდეთ, პირიქით, ლგბტ იდეოლოგიის გასამყარებელ კანონმდებლობას უნდა ქმნიდეთ, გეი-აღლუმებს ატარებდეთ და ერთნაირსქესიანთა ქორწინებას აკანონებდეთო!

**თუ ევროკავშირში ინტეგრაცია გსურთ,** მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობა კი არ უნდა დააკანონოთ, პირიქით, კოლექტიური ლომჯარია-გიგაურები კანონზე მაღლა უნდა დააყენოთ, მაქსიმალური ხელშეუხებლობით აღჭურვოთ და არც კი დაინტერესდეთ, სად და რაში ხარჯავენ უცხოეთიდან მიღებულ დაფინანსებასო!

**თუ ევროკავშირში ინტეგრაცია გსურთ,** თქვენს ეკონომიკას თქვენივე ხელით უნდა გამოუტანოთ დანგრევის განაჩენი და რუსეთს სანქციები დაუწესოთო!

**თუ ევროკავშირში ინტეგრაცია გსურთ,** მაშინ **ბიძინა ივანიშვილი,** რომელმაც საქართველო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმისაგან გაათავისუფლა, ხელისუფლებიდან უნდა გაუშვათ, ხოლო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმის შემქმნელი სააკაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლოთ და მისი ბანდა ხელისუფლებაში დააბრუნოთო!

როგორც ჩანს, **ევროპარლამენტში მსხდომ პოლიტიკურ სატანისტებსა და რეზოლუციფერებს** მარტო ზნეობრივი და მორალური კი არა, გონებრივი პრობლემებიც აწუხებთ, თორემ ქართველ ხალხს ქრისტიანობასა და ლიბერალიზმს შორის, ოჯახურ ღირებულებებსა და ლგბტ პროპაგანდას შორის, ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის არჩევანის გაკეთებას არ შესთავაზებდნენ!

შესაძლოა, **ევროპარლამენტში მსხდომ პოლიტიკურ სატანისტებსა და რეზოლუციფერებს** ქართველ ხალხზე წარმოდგენა იმ სუბიექტების მიხედვით აქვთ შექმნილი, რომლებიც საქართველოში გავლენის აგენტებად უზით და ჰგონიათ, რომ ქართველების უმრავლესობა **ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურის, სალომე სამადაშვილის, ანა ნაცვლიშვილის, ელენე ხოშტარიას, ნიკა გვარამიას, ზურაბ ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძის** მსგავსია.

შესაბამისად, **ევროპარლამენტში მსხდომი პოლიტიკური სატანისტები და რეზოლუციფერები** ფიქრობენ, რომ, თუ ქართველ ხალხს ევროკავშირში არმიღებით დააშანტაჟებენ, იგი ქრისტიანობის მაგივრად — ლიბერალიზმს, ოჯახური ღირებულებების მაგივრად — ლგბტ იდეოლოგიას, ივანიშვილის მაგივრად — სააკაშვილს და მშვიდობის მაგივრად ომს აირჩევს!

ეს ნიშნავს, რომ **ევროპარლამენტარი რეზოლუციფერები** ქართველ ხალხს არ იცნობენ!

ეს ნიშნავს, რომ **ევროპარლამენტარ რეზოლუციფერებს** ქართველი ხალხი **კოლექტიური ლომჯარია-გიგაურების, სამადაშვილ-ნაცვლიშვილებისა და გვარამია-ხაზარაძეების მსგავსი ნახირი** ჰგონიათ, რომელიც სამშობლოს ინტერესებს „ფოჩიან კანფეტებზე" გაყიდის!

სწორედ ამიტომ **ევროპარლამენტარი რეზოლუციფერები** თავიანთი რეზოლუციით ქართველ ხალხს ეუბნებიან, რომ საქართველოს ევროპული გზა ლგბტ ცხოვრების წესზე, ხელისუფლებაში ნაცბანდის დაბრუნებასა და რუსეთთან ომზე გადის!

**კაცმა რომ თქვას, ასეთი რეზოლუციის მიღების გამო ევრო-პარლამენტარ რეზოლუციფერებს მადლობაც კი ეკუთვნით, რადგან ქართველ ხალხს 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევანის გაკეთებას კიდევ უფრო უადვილებენ!**

ჰოდა, **რეზოლუციფერმა ანდრიუს კუბილიუსმა** და **რეზოლუციფერმა მარკეტა გრეგოროვამ** ერთმანეთსა და დანარჩენ 493 რეზოლუციფერს გაუნაწილონ ის, რასაც 2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველი ხალხისაგან მიიღებენ!

**დარწმუნებული ვართ, ყველას შეხვდება და ყველას დააკმაყოფილებს!**

**ჯაბა ხუბუა**

**რეზოლუციფერმა ანდრიუს კუბილიუსმა და რეზოლუციფერმა მარკეტა გრეგოროვამ ერთმანეთსა და დანარჩენ 493 რეზოლუციფერს გაუნაწილონ ის, რასაც 2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველი ხალხისაგან მიიღებენ!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ამოცანაა **აშშ-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გადატვირთვა,** ჩვენი მხრიდან ყველა ნაბიჯი იდგმება.

„რეზონანსი"

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



საჭიროა მაქსიმალური მობილიზება, რათა **ყველა რეგიონში მაქსიმალური შედეგი დაიდოს** — გაკოტრებულ ოპოზიციას ამ არჩევნებში არავითარი პერსპექტივა არა აქვს, **ისინი კიდევ ერთხელ დამარცხდებიან.**

„ინტერპრესნიუსი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ტექნიკური მთავრობის** აუცილებლობა არ არის, **„ქართული ოცნება" ხელისუფლებაში კონსტიტუციური უმრავლესობით მოვა.**

„რეზონანსი",

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**„ჯორჯია"** კი გვქვია ინგლისურად, მაგრამ **არ ვართ აშშ-ის შტატი ჯორჯია,** ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და **შიდა საქმეებში გარედან ვერავინ ჩაერევა.**

ზუსტად ოპოზიციაში არის ის ხალხი, ვინც კონფედერაციაზე საუბრობდა და **ოფიციალური წერილით, რომელიც 2008 წელს სააკაშვილმა მისწერა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ მედვედევს, სთავაზობდა აფხაზეთის გაყოფას რუსეთთან.** ეს ხალხი, რომელიც კონფედერაციის იდეას ეთამაშებოდა, ეს ხალხი ახლა რაღაც პრეტენზიებს რომ აყენებს, **ეს არის ყველაზე მთავარი ფარისევლობა.**

„რეზონანსი"

**ამბად რომ მოყვე, შეიძლება, დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ფაქტის სიჯიუტეს ვერსად წაუვალთ და სავაგლახო რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ — საქართველოში საკმაოდ მრავლად არიან ქართული სახელისა და გვარის მქონე ადამიანები, რომლებიც უცხო ქვეყანასთან დაპირისპირებაში თავიანთი ქვეყნის მარცხსა და წარუმატებლობას გულშემატკივრობენ.**



ნინო ლომჯარია

**უკრაინას ვულოცავ გამარჯვებას! მათ ეს სჭირდებოდათ, ჩვენ მაინც პირველ ადგილზე ვართ. დამარცხება ხანდახან შეიძლება უფრო სასარგებლოც იყოს**




„ნაცმოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ფოთის საკრებულოში

# უკ(რ)ანასკნელი ნა(ც)ირალები,

## ანუ მუდრიკის მიერ საქართველოს კარში გატანილი გოლით გახარებული ქართველი მუდრეგების შესახებ

ამის მორიგი დასტური 2024 წლის 11 ოქტომბერს ვიხილეთ, როცა **ქართველი ნაცლიბერალების** დიდი ნაწილი უკრაინა-საქართველოს საფეხბურთო მატჩში უკრაინას გულშემატკივრობდა და ჩვენი ეროვნული ნაკრების მარცხით დიდად კმაყოფილი დარჩა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები, უეფას ერთა ლიგის ეგიდით, უკრაინის ნაკრებს ნეიტრალურ სტადიონზე — პოლონეთის ქალაქ პოზნანში დაუპირისპირდა, თუმცა, სტადიონი გადაჭარბებული ნათქვამია, რადგან მინდვრის საფარი ახალმოხნულ სიმინდის ყანას უფრო ჰგავდა, ვიდრე საფეხბურთო მოედანს. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში სტადიონზე პროჟექტორების ერთი წყება ჩაქრა და მატჩის გაგრძელება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, თუმცა, კარგახნიანი ბჭობის შემდეგ გადაწყდა, რომ უნდა გაგრძელებულიყო.

საბოლოო ჯამში, **მიხაილო მუდრიკის** მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გამარჯვება უკრაინის ნაკრებს დარჩა და **ქართველმა ნაცლიბერალებმაც გაიხარეს.**

დიახ, მაშინ, როცა ქართული ფეხბურთისა და, ზოგადად, საქართველოს გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობა ერთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ჩვენი ეროვნული ნაკრების პირველი მარცხით გულდაწყვეტილი და გაწბილებული იყო, **ნაცლიბერალებმა სოციალურ ქსელში გამარჯვების ყიჟინა დასცხეს და უკრაინისადმი მისალოცი პოსტები გამოაქვეყნეს.**

მაგალითად, საქართველოს ყოფილმა სახალხო დამცველმა **ნინო ლომჯარიამ** თავის ფეისბუქის გვერდზე დაწერა:

> ***„უკრაინას ვულოცავ გამარჯვებას! მათ ეს სჭირდებოდათ, ჩვენ მაინც პირველ ადგილზე ვართ. დამარცხება ხანდახან შეიძლება, უფრო სასარგებლოც იყოს, რომ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებებისთვის მოვემზადოთ."***

ცხადია, **ლომჯარია** ფეხბურთში ისე ერკვევა, როგორც სახედარი — კინემატოგრაფიაში, მაგრამ მან კარგად იცის, რომ **საქართველოს სახელი წარმატებასთან არ უნდა ასოცირდებოდეს, საქართველო ძლიერი არ უნდა იყოს და საქართველოში ხალხს არაფერი არ უნდა უხაროდეს, რადგან ძლიერ, წარმატებულ და გახარებულ საქართველოში ლომჯარიებისა და მისნაირების ადგილი აღარ იქნება!**

წარმატებულ, ძლიერ და გახარებულ საქართველოში **ლომჯარიები და მისნაირები** ფუნქციას დაკარგავენ და როგორც ხელმოცარული ლუზერები, უცხოელ პატრონებსაც აღარ დასჭირდებათ!

ამიტომაც გულშემატკივრობენ **ლომჯარია და მისნაირები** საქართველოს დამცრობასა და დამარცხებას!

ამიტომაც ხარობენ **ლომჯარია და მისნაირები** საქართველოს წარუმატებლობით და საქართველოს ყოველ ფეხის დაცდენას უყურებენ, როგორც შანსსა და შესაძლებლობას თავიანთი პოლიტიკური მიზნების აღსასრულებლად!

ამიტომაც დაწერა **ლომჯარიამ** უკრაინის ნაკრებთან საქართველოს ნაკრების დამარცხების შემდეგ — **შეიძლება, ეს წაგება სასარგებლო იყოსო!**

ამიტომაც აცხადებდა **ლომჯარია** უკრაინაში ომის დაწყების კვალდაკვალ — **ასეთ სამარცხვინო მშვიდობას, საქართველოში რომ არის, ბომბების წვიმა და ცეცხლი მირჩევნიაო!**

ჰოდა, **ლომჯარიასაგან,** რომელიც უკრაინაში ომის დაწყების დღიდან საქართველოს მეორე უკრაინად გადაქცევასა და ქართულ მიწაზე ბომბების წვიმას გულშემატკივრობდა, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ უკრაინისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირებაში უკრაინის გამარჯვებასა და საქართველოს მარცხს გულშემატკივრობს!

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ოვაციებითა და აპლოდისმენტებით შეხვდებოდნენ **ნაცლიბერალი მუდრეგები მუდრიკის** მიერ საქართველოს ნაკრების კარში გატანილ გოლს!

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ჩამოყრიდნენ ყურებს **ნაცლიბერალი მუდრეგები,** როცა **მუდრიკის** გოლს **ზურიკო დავითაშვილმა** თამაშის ბოლო წუთზე გოლითვე უპასუხა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ კოლექტიური **ლომჯარიების** მწუხარება, სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წამს გასტანდა, რადგან მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და ქართველებს გოლი არ ჩაუთვალა!

თუმცა, რად უნდა ამას წარმოდგენა და ფანტაზიის დაძაბვა, როცა **ნაცლიბერალი მუდრეგები** არც მალავენ, რომ საქართველოსთან დაპირისპირებაში უკრაინას გულშემატკივრობდნენ. აკი, ფოთის საკრებულოში ნაცმოძრაობის ფრაქციის თავმჯდომარე **დათო ხომერიკმა** სოციალურ ქსელში პირდაპირ დაწერა:

> ***„რა მოხდა ასეთი? ჩვენი მოძმე ერი უკრაინა რომ გვიყვარდეს საქართველოზე მეტად, რა გასაკვირია? დიახ, ჩვენ ვგულშემატკივრობდით ომში მყოფ უკრაინას".***

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, **ერთი ფოთელი ნაცის** ეს პოზიცია მთელი კოლექტიური სანაცეთის განწყობასა და სულისკვეთებას გამოხატავს!

კი, ნამდვილად ასეთი უკანასკნელი, გნებავთ, **უკრანასკნელი ნაცირალები** არიან საქართველოს ნაკრების კარში მუდრიკის მიერ გატანილი გოლის მოზეიმე ქართველი მუდრეგები, რომლებსაც, სინამდვილეში, უკრაინაც ისევე ჰკიდიათ ფეხებზე, როგორც საქართველო!

ვისაც საკუთარი ქვეყანა არ უყვარს, შეუძლებელია, იმას სხვისი ქვეყანა უყვარდეს!

ვინც საკუთარ სამშობლოს არ გულშემატკივრობს, გამორიცხულია, ის სხვისი სამშობლოს გულშემატკივარი იყოს!

ერთადერთი, რაც **უკრა**ნასკნელ **ნაც**ირალებს უყვართ და რის გამოც საკუთარ სამშობლოსაც გაყიდიან და სხვის სამშობლოსაც ზედ მიაყოლებენ, ეს არის ძალაუფლება, რომელიც მათ ქართველმა ხალხმა 12 წლის წინათ წაართვა და უკან აღარასოდეს დაუბრუნებს!

**საქართველო აღარასოდეს იქნება უკრანასკნელი ნაცირალების ასპარეზი!**

**ჯაბა ხუბუა**




**კადრი უკრაინა-საქართველოს მატჩიდან:**
**მიხაილო მუდრიკის ამ შეტევას გოლი და ქართველი ნაცლიბერალების სიხარული მოჰყვება!**

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი*



სალომე ზურაბიშვილმა **მოატყუა და გადააგდო** *(ყარგონისთვის უკაცრავად)* მილიონზე გაცილებით მეტი ადამიანი, რომელმაც მას, **ჩვენი თხოვნით, მხარი დაუჭირა.** ახლა თამამად შეგვიძლია, მივმართოთ თითოეულ მათგანს — **ჩვენ არ ვაპირებთ, ვაპატიოთ ზურაბიშვილს თქვენი გადაგდება და საქართველოს კონსტიტუციის თავზე გადახევა.** საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვების შემდეგ **ზურაბიშვილი იქნება არა ყოფილი, არამედ გადაყენებული პრეზიდენტი!**

„რეზონანსი"

**ლუბოშ ბლაჰა**
*ევროპარლამენტარი*



ოჯახი არის დედა, მამა და შვილები, **მე მხარდაჭერას ვუცხადებ საქართველოს.** შეხედეთ ამერიკულ ნეოლიბერალურ ფონდებს, რომლებიც დიდძალ თანხებს ხარჯავენ იმ მთავრობების ჩამოსაგდებად, რომლებიც არ მოსწონთ. **თქვენ გეზიზღებათ საქართველო, რადგანაც მას სურს პრაგმატული ურთიერთობა რუსეთთან, საქართველოს სურს დიალოგი და მშვიდობა.** ჩვენც ეს გვინდა სლოვაკეთში. სწორედ ამიტომ ესროლა სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ **ფიცოს** ექსტრემისტმა.

„პირველი არხი"

**პეტარ ვოლგინი**
*ბულგარელი ევროპარლამენტარი*



ევროკავშირი და აშშ **სანქციებით ემუქრებიან საქართველოს,** რადგან საქართველოს მთავრობა **უარს ამბობს, იყოს ბრიუსელისა და ვაშინგტონის მარიონეტი.**

„იმედინიუსი"

# ვატო შაქარიშვილი: ევროპარლამენტის სამარცხვინო რეზოლუციით საქართველოსაგან ეროვნულ თვითმკვლელობას ითხოვენ!



***2024 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გაცხადდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის — გივი თარგამაძის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულმა, ყოფილმა ძალოვანმა დარჩო ხეჩუაშვილმა გამოძიებასთან ითანამშრომლა და ხელი მიხეილ სააკაშვილს დაადო!*** *როგორც პროკურორმა **ამირან გულუაშვილმა** განაცხადა, **მსჯავრდებულმა ხეჩუაშვილმა** გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ 2016 წელს **გივი თარგამაძის** თვალთვალისა და მისი გადაადგილების კონტროლის დავალება უკრაინაში მყოფმა **სააკაშვილმა** გასცა, რადგან თანაგუნდელს არ ენდობოდა და ეჭვობდა, რომ „ქართულ ოცნებასთან" იყო შეკრული. **ხეჩუაშვილის** მიერ გამოძიებისათვის მიცემული ჩვენების თანახმად, მას დავალების შესრულების სანაცვლოდ უკრაინაში, კერძოდ, ოდესაში კარგ თანამდებობას დაჰპირდნენ. **სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" ერთ-ერთ ლიდერთან ვატო შაქარიშვილთან:***

— კარგია, რომ **გივი თარგამაძის** მკვლელობის მცდელობისათვის დაკავებულმა **ხეჩუაშვილმა** გამოძიებასთან ითანამშრომლა, თუმცა, ქართველმა საზოგადოებამ ისედაც მშვენივრად იცის, რომ **სააკაშვილი** თავისი პოლიტიკური მიზნების გამო თარგამაძეს ან სხვა ნებისმიერ თანაგუნდელს კი არა, მშობელ დედასაც გაწირავს. უსისხლო, უჯიგრო და უსამშობლო ნაცები თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად უდანაშაულო ახალგაზრდა ბიჭებს პირდაპირ ქუჩაში ხოცავდნენ და სულაც არ არის გასაკვირი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სიტუაციის დასაძაბად და პოლიტიკური სარგებლის მისაღებად გივი თარგამაძე აეფეთქებინათ.

**— მსგავსი ტიპის პროვოკაციები 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების წინაც ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— რა თქმა უნდა, მოსალოდნელია და კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერები ფრთხილად უნდა იყვნენ, რომ ის, რაც გივი თარგამაძის შემთხვევაში ჩაიშალა, ახლა მათ მიმართ წარმატებით არ განხორციელდეს! გაზაფხულზე, როცა გამჭვირვალობის კანონის საწინააღმდეგო აქციები იმართებოდა, **რადიკალური ოპოზიციის ლიდერები ახალგაზრდებს პოლიციისა და სპეცრაზმის წინააღმდეგ სწორედ იმიტომ აგულიანებდნენ, რომ სისხლი სწყუროდათ და მსხვერპლი სურდათ.** ახალი არავისთვის არის, რომ ნაცები თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას მხოლოდ არეულობასა და სისხლისღვრაში ხედავენ.

**— რას იტყვით რამდენიმე დღის წინათ ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაზე, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებასა და ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებას ითხოვენ?**

— ევროპარლამენტის სამარცხვინო რეზოლუცია კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ ევროინტეგრაციის გზაზე მოჩვენებითი დაწინაურების სანაცვლოდ საქართველოსაგან ეროვნულ თვითმკვლელობას ითხოვენ!

დიახ, ლგბტ პროპაგანდის დაკანონება, ჩვენი სუვერენიტეტის სრულად დათმობა ბრიუსელისა და ვაშინგტონის სასარგებლოდ, რუსეთისათვის სანქციების დაწესება, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება და სისხლიანი რეჟიმის დამნაშავე ბელადის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება, რისკენაც ევროპარლამენტის რეზოლუცია მოგვიწოდებს, სინამდვილეში, ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუიციდისაკენ მოწოდებაა!

საერთოდ, **ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია უნდა განვიხილოთ, როგორც კოლექტიური ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო პროგრამა და იმ ძალების სამოქმედო გეგმა, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლებაში საკუთარი აგენტურის დასმა სურთ.**

ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს — თუ კოლექტიური ნაცები რევოლუციისა და გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლას შეძლებენ, მეორე დღიდანვე დაიწყებენ იმ ყველაფრის აღსრულებას, რაც ევროპარლამენტის რეზოლუციაში წერია და რაც, საბოლოო ჯამში, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებითა და საქართველოს სახელმწიფოებრივი განადგურებით დამთავრდება!

**— 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირაც აღარ დარჩა და უკვე ყველასათვის ცხადია, რომ კოლექტიური ნაცები არჩევნების მეორე დღიდანვე შეუდგებიან ე.წ. მაიდნისა და რევოლუციის მორიგ მცდელობას. როგორ ფიქრობთ, ამჯერად მაინც გამოუვათ თუ ისევ ჩაფლავდებიან?**

— **კოლექტიურ ნაცებსა და მათ პატრონებს** 26 ოქტომბრის არჩევნებში პირწმინდად დამარცხების შემდეგ რევოლუციის მცდელობა ნამდვილად ექნებათ, მაგრამ ისევე, როგორც ყველა წინა შემთხვევაში, მცდელობას ვერ გასცდებიან. ისევ იქნება პროვოკაციები, ისევ შემოარტყამენ წრეს პარლამენტის შენობას, ისევ ექნებათ შიგნით შევარდნის მცდელობა, მაგრამ **სახელმწიფო კანონის შესაბამისად გასცემს პასუხს.**

რაც მთავარია, ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობა მედგრად დაიცავს თავის არჩევანს, ეს კი ავტომატურად ნიშნავს ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას! **არავის მივცემთ საშუალებას, ძლივს დაწყნარებული ქვეყანა არიოს და ისევ იმ მოჯადოებულ, ტრაგიკულ წრეზე წაიყვანოს, რომელზეც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დავდიოდით!**

**— ესე იგი, ქვეყანას კვლავ ნაცრეჟიმის ხელში ჩავარდნის საფრთხე არ ემუქრება?**

— საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს შესწევთ ძალა, სისხლიანი დამნაშავეების რევანში არ დაუშვან! დღეს აშკარად გამოკვეთილია ნიშნები, რომ ქვეყანა სწორ გზას ადგას და ძალიან ცოტა გვაკლია იმ გარანტიების შექმნამდე, რასაც გრძელვადიანი მშვიდობა, სტაბილურობა და ეკონომიკური კეთილდღეობა ჰქვია. **სამშვიდობოს გასასვლელად ქართულმა სახელმწიფომ და ქართველმა ხალხმა კიდევ ცოტაც უნდა გავძლოთ და გავძლებთ კიდეც!**

ესაუბრა
***გიორგი ძაძამია***




## „ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს შესწევთ ძალა, სისხლიანი დამნაშავეების რევანში არ დაუშვან!"

## „ნაცები თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევის შანსს მხოლოდ არეულობასა და სისხლისღვრაში ხედავენ!"

### კვირგვინოსნები

**არჩილ გორდულაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე*



მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო დააფიქსირებს ფაქტს, რომ **პრეზიდენტი კიდევ ერთხელაა კონსტიტუციის დამრღვევი,** ახალი მოწვევის პარლამენტს ექნება შესაძლებლობა, **სალომე ზურაბიშვილი იმპიჩმენტის წესით გადააყენოს.**

„ინტერპრესნიუსი"

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



**ნაცმოძრაობის ბანერები პირდაპირ შეიცავს ზიზღის ენას** — ჩვენ მოვუწოდებთ სადამკვირვებლო მისიებს და ორგანიზაციებს, რომ ეს ასახონ თავიანთ ანგარიშებში და **მოახდინონ ამასთან დაკავშირებით რეაგირება.**

„აიპრესი"

**ტიერი მარიანი**
*ევროპარლამენტარი*



**ქართველებს არ სურთ ბრძანებები მოსკოვიდან ან რჩევები ბრიუსელიდან,** 26 ოქტომბერს მხოლოდ ქართველებმა უნდა აირჩიონ თავიანთი მომავალი, **ჭკუა არ უნდა ვასწავლოთ.**

„პირველი არხი"

**დანილო დელა ვალე**
*ევროპარლამენტარი*



ხმა უნდა ავიმაღლოთ და ბრმად არ გავყვეთ ამერიკისა და ნატოს პოლიტიკას, **ვინ უნდა მართოს საქართველო, ეს არ უნდა გადაწყვიტოს არც ამერიკამ, არც სხვა რომელიმე ძალამ.**

„პირველი არხი"

# „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარისა და საპარლამენტო სიის პირველი ნომრის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან ბათუმში 2024 წლის 10 ოქტომბერს



ბიძინა ივანიშვილი:

## ჯერ კონსტიტუციით ავკრძალავთ ნაც-მოძრაობას და მის სატელიტ თუ მემკვიდრე პარტიებს, შემდეგ კი, ომის დანაშაულის გამო, თითოეულ მოღალატეს უმკაცრესად ვაგებინებთ პასუხს კანონის წინაშე!

**მოგესალმებით, ჩემო აჭარლებო! მივესალმები ბათუმს, ქობულეთს, ხელვაჩაურს, შუახევს, ხულოს და ქედას. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს, კიდევ ერთხელ ვდგავართ ერთმანეთის მხარდამხარ და ვაპირებთ, მომავალშიც გავაძლიეროთ ერთმანეთი და ყველამ ერთად გავაძლიეროთ ჩვენი საყვარელი სამშობლო.**

**მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში ეს საოცარი, თანაც სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი მრავალჯერ იყო დიდი იმპერიების ბრძოლის საგანი და არაერთხელ მოუკვეთიათ დედასამშობლოსთვის, მაგრამ, თქვენი და ჩვენი დიდი წინაპრების — ქართველობის წყალობით, აჭარელ ქალებსა და კაცებს არასდროს განელებიათ საქართველოს სიყვარული, არასდროს შეუწყვეტიათ საკუთარი ენის, ისტორიისა და კულტურის დაცვა, რაც მთავარია, შვილებისთვის გულში საქართველოს სიყვარულისა და ქართველობის ჩანერგვა.**

კარგად გახსოვთ, რა ხდებოდა **12 წლის წინ საქართველოში,** როდესაც ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, მკვლელობა, წამება, ქონების წართმევა, ბიზნესის რეკეტი ამ ქვეყნის ყოველდღიურობა იყო. ეს ყველაფერი განსაკუთრებით კარგად იგრძნობოდა აჭარაში, ამ დალოცვილ კუთხეში, რომელიც წინა ხელისუფლებამ საკუთარ სათამაშო ქვიშის მოედნად აქცია — საჯაროდ აცხადებდნენ, რომ აჭარასა და აჭარლებზე ზრუნავდნენ, რეალურად კი საკუთარ ბიზნეს-ინტერესს ატარებდნენ და აზრს არაფერში გეკითხებოდნენ, თქვენგან მხოლოდ თავის დახრასა და მორჩილებას მოითხოვდნენ. მთელი აჭარა საკუთრებად გაიხადეს და გიკრძალავდნენ, რომ ამაზე რეაქცია გქონოდათ!

**12 წლის წინ დაგპირდით, რომ თქვენი ნდობის შემთხვევაში, ქართველ ხალხს აუცილებლად დავუბრუნებდით წართმეულ ღირსებას, რადგან მიგვაჩნდა და დღესაც იმავე რწმენით ვართ, რომ პოლიტიკის ამოსავალი წერტილი ადამიანი უნდა იყოს, ხელისუფლება კი მისი უფლებების დაცვის მთავარი გარანტი.**

**12 წლის წინ დაგპირდით, რომ ბათუმს და მთლიანად აჭარას ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ ცენტრად, საქართველოს გამორჩეულ საკურორტო, ზღვისპირა კუთხედ და ქალაქად ვაქცევდით! ასეც მოხდა და ამ ყველაფერს თქვენ საკუთარი თვალით კარგად ხედავთ!**

უდიდესი პროგრესის მიუხედავად, რომელიც არამხოლოდ აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში იგრძნობა, **კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა,** რომლის მოქმედების მთავარი მახასიათებელი უწინაც და ახლაც საზოგადოების გახლეჩა და დაპირისპირების გაღვივებაა, ნებისმიერ, მათ შორის, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის ფასად, ცდილობს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მათი უცხოელი პატრონების დახმარებით, ისინი მზად არიან, 2008 წლის ღალატის მსგავსად, ქვეყანა ომში ჩაითრიონ და კიდევ ერთხელ დაატრიალონ ტრაგედია, რაც ადამიანების სიცოცხლის, დამატებით, დაკარგული ტერიტორიების ფასად დაგვიჯდა. **უცხოეთიდან ზურგგამაგრებული კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა დღესაც, არეულობის საშუალებით, ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას და შემდეგ ქვეყნის ომსა და ქაოსში გახვევას.**

ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ესაა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ სჭირდება საქართველოს, რომ 26 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ **საკონსტიტუციო უმრავლესობა** მოიპოვოს.

სწორედ ამ ერთიანობის ეშინია კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე მეტად, რადგან „ქართულ ოცნებასთან“ და ქართველ ხალხთან უკვე 12 წელია, უშანსოდ მარცხდება, ხოლო **26 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ დიდი უპირატესობით გამარჯვება მათი დასასრულის დასაწყისი იქნება** — ჩვენ ჯერ კონსტიტუციით ავკრძალავთ ნაციონალურ მოძრაობას და მის სატელიტ თუ მემკვიდრე პარტიებს, რითაც გზას ახალ, ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს გავუხსნით, შემდეგ კი, ომის დანაშაულის გამო, თითოეულ მოღალატეს უმკაცრესად ვაგებინებთ პასუხს კანონის წინაშე!

დღესაც კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა ნგრევისა და ღალატის სიმბოლოა, ხოლო „ქართული ოცნების“ სახით ქართველი ხალხი ირჩევს მშვიდობას, ღირსებას და კეთილდღეობას. ამასთან ერთად, **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მოპოვების შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ დავასრულებთ ჩვენი მტრების მიერ ქართველი ერის მთავარი დასაყრდენის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას. **ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და რიგ ორგანიზაციებში გაბნეულმა უცხოეთის აგენტებმა ზუსტად იციან, რომ უსიტყვო მორჩილების მიღწევა მხოლოდ ჩვენი ხალხის მორალური დეგრადაციის, ფასეულობებისგან დაცლის გზით შეუძლიათ. საკონსტიტუციო უმრავლესობის** მოპოვების შემდეგ, ქართველი ხალხის ურყევ ნებას აუცილებლად ავსახავთ კონსტიტუციაში და არასრულწლოვანთა ინტერესებს თუ ოჯახურ ღირებულებებს კიდევ უფრო მტკიცედ დავიცავთ! **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მოპოვების შემთხვევაში, გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებითაც, რაც კონსტიტუციის დონეზე აისახება!

მაგრამ ამით საქართველოში მოქმედ არცერთ რელიგიურ კონფესიას იოტისოდენა ჩრდილიც კი არ მიადგება! პირიქით, ჩვენ ტოლერანტობით განთქმული, მრავალფეროვანი ქვეყანა ვართ და ეს თქვენ არ გესწავლებათ, აჭარლებს — **აჭარაში დიდი გამოცდილება, უამრავი მაგალითია დაგროვილი იმისა, თუ როგორ ახერხებენ მართლმადიდებელი და მუსლიმი ქართველები, დები და ძმები, ერთად, ჰარმონიულად და ურთიერთპატივისცემით აკეთონ საერთო საქმე — იზრუნონ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებასა და განვითარებაზე.** თავის მხრივ, ჩვენი პოლიტიკური გუნდი იყო, არის და მომავალშიც იქნება გარანტი, რომ სახელმწიფო თანაბრად ზრუნავდა და იზრუნებს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა.

დასასრულ კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, თუ რატომ უნდა გამოვიდეთ 26 ოქტომბერს ქუდზე კაცი და რატომ უნდა მოიპოვოს „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება. **თაობების ოცნება და ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა გაერთიანებულ საქართველოში, ჩვენს აფხაზ და ოს დებთან და ძმებთან ერთად მშვიდობიანი თანაცხოვრებაა.**

სხვა რეგიონებში გამოსვლებისას უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ მსოფლიოსა და ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა ჩვენი ქვეყნის გარშემო პროცესების სწრაფად და დინამიკურად წარმართვა განაპირობა. შესაბამისად, მივიღეთ რეალობა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის შესაძლებლობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაგვიჩნდეს, რისთვისაც საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება და ახალ რეალობასთან მოყვანა გახდება აუცილებელი.

ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ **კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა** ამ მიმართულებითაც ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება. ამას მოწმობს მათი ისტერიული რეაქცია შერიგებასა და მშვიდობაზე გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ.

მათგან ეს არც არის გასაკვირი, რადგან 2008 წელს ოსებთან და აფხაზებთან გაბმული, ხალხთა შორის ნდობის ჯერ კიდევ სუსტი ძაფები, გარე დავალებების შესაბამისად, უხეშად გაწყვიტეს, ჩვენი ხალხი ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორეს და არსებული უფსკრული გააღრმავეს! ამ უფსკრულის ამოვსება მხოლოდ ურთიერთშერიგების, საკუთარი ქმედებების გააზრებისა და ერთმანეთისთვის ხელის გაწოდების გზით არის შესაძლებელი! **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მოპოვების შემდეგ, იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას წინ ვერავინ აღუდგეს, საკონსტიტუციო ცვლილებებით დაუყოვნებლივ მოვამზადებთ სამართლებრივ საფუძველს, პარალელურად კი აქტიურად ვიმუშავებთ აფხაზ და ოს ხალხთან შერიგებასა და ნდობის აღდგენაზე.

ასე რომ, **26 ოქტომბერს მარტივი არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი, რადგან ყველაფერთან ერთად უკვე არაერთხელ დამტკიცდა, რომ „ქართული ოცნების“ გარდა, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ორიენტირებულია საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე, აქვს გამოცდილება და უნარი, რომ სტაბილურობა, კეთილდღეობა, მშვიდობა და ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოს.** მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ჩვენივე დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ღირსეულად, მშვიდობითა და კეთილდღეობით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება. ამის საპირისპიროდ ქვეყნის გარედან ალტერნატივად გვისახავენ აგენტურას, რომელიც ომს, ნგრევასა და განადგურებას ნიშნავს.

სწორედ ამიტომ, **26 ოქტომბერს კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, არჩევანი გავაკეთოთ მონობასა და თავისუფლებას, უცხო ქვეყნების მორჩილებასა და სუვერენიტეტს, ომსა და მშვიდობას შორის.**

ღრმად მწამს, რომ სამშობლოსათვის გადამწყვეტ ბრძოლაში ამ ულამაზესი კუთხის შვილები მტკიცედ დადგებით საქართველოს ერთიანობის და სუვერენიტეტის სადარაჯოზე! **გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ძლიერ, ერთიან და თავისუფალ საქართველოს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.**

## კვირგვინოსნები

**ჰანს ნოიჰოფი**
*გერმანელი ევროპარლამენტარი*



პატივი ეცით საერთაშორისო სამართალს, **პატივი ეცით საქართველოს სუვერენიტეტს, პატივი ეცით საქართველოს უნარს, მიიღოს საკუთარი კანონები.** ჩემი კოლეგები მარცხენა ფრთიდან აღშფოთებულნი არიან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული **იმ კანონით, რომელიც მოზარდებსა და მცირეწლოვნებს იცავს.** თქვენ გეშინიათ დემოკრატიის საქართველოში. **თქვენთვის მიუღებელია, როდესაც რომელიმე ქვეყანა თქვენი ცისარტყელის პროპაგანდას უარყოფს.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



ვინც **გადატრიალების მოწყობას** შეეცდება, ყველა **მიუჯდება ან მიუწვება სააკაშვილს!**

„საერთო გაზეთი“

**თეა წულუკიანი**
*კულტურისა და სპორტის ყოფილი მინისტრი*



ჩვენი ქვეყნის ამომრჩეველმა ერთხელ უკვე ნახა, **რაც იყო სააკაშვილის რეჟიმი** და მეორედ ამ ზღვაში არავინ შევა.

„იმედინიუსი“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



არავინ დაიჯერებს, რომ პარტია, რომელსაც გაუჩნდება შანსი, დანიშნოს თავისი პრემიერი, უარს იტყვის ამ პრივილეგიაზე, **ეს არის არა ქარტია, არამედ მკვდრად დაბადებული დოკუმენტი.**

„პირველი არხი“

# დაარღვევს თუ არა ჭირვეულ დუმილს საქართველოს ეროვნული ბანკისა და „ქართუ ჯგუფის“ ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი?



***ნახევარ საუკუნეზე მეტხანს თავის სათქმელს ამბობდა და საქმეს აჩვენებდა საქართველოს მოსახლეობას. ზოგისთვის მიუკარება იყო, ზოგისთვის — ძალიან პირდაპირი, ზოგისთვის — ბავშვურად გულწრფელი, ბევრი რამის ამტანი, ბევრის გამტანი, მაგრამ მაინც მკაცრი და ხასიათის კაცი, თუმცა, უმაღლესი დონის ფინანსისტი და გავლენიანი ჩინოსანი. საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი უკანასკნელ წლებში თითქოს თვალს მიეფარა, აღარ არის ძველებურად ცნობილი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბანკი „ქართუს“ გენერალური დირექტორი, ამ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; აღარც მინისტრი, აღარც სახელმწიფო აუდიტის თავმჯდომარის მოადგილე... რა მოხდა? რას მოასწავებდა და მოასწავებს მისი ჭირვეული დუმილი, აქტიური ცხოვრებიდან განზე დგომა? შევძელი ბატონ ნოდარ ჯავახიშვილთან შეხვედრა და მცირე დროით წარსულში მოგზაურობა — გამიკვირდა, რომ დამთანხმდა...***

**— ნოდარ ბატონო, რახანია აღარ ჩანხარ ჩინოსანთა ავანგარდში... ხალხი კითხულობს, სად გაქრა საბანკო სისტემის უბადლო მცოდნე ნოდარ ჯავახიშვილი, მოიცილეს თუ გაერიდა ყველას და ყველაფერს? იქნები გულწრფელი? მაინტერესებს, როგორ გახდი ყველაზე ურთულეს დროს ახალგაზრდა კაცი პირველი ბანკირი?**

— ქიზიყური პირდაპირობით გიპასუხოთ თუ გურული იუმორით შევაზავო სათქმელი?

**— ვიცი, რომ ბებია გყავდა გურული. ისიც ვიცი, პირველად რომ შეხვდი ედუარდ შევარდნაძეს, უთხარი — ასეა ჩემი საქმე და ამ ორის შეზავება არ გამომდის, სათქმელი ხშირად გადამდის სარკაზმში, როცა ადამიანს ვერ ვუსრულებ თხოვნას და ვაღიზიანებ, ეს კი თანამდებობის პირისათვის მძიმე ტვირთად იქცევაო... იქნებ დამიზუსტო, რამ გაიძულა ამის თქმა?**

— (ფიქრობს)... 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა, საქართველოში გლოვის მძიმე დღეები იდგა. ასეულათასობით დევნილი, მოშლილი სახელმწიფო სტრუქტურები, ჩამოშლილი ეკონომიკა და გაურკვევლობის განცდა იყო. იმ დროისთვის ვიყავი ბინსოცბანკის ერთი რიგითი ფილიალის მმართველი.

1993 წლის 10 ოქტომბერს, კვირა დღეს, დილის 9 საათზე, ჩემთან სატელეფონო ზარი გაისმა. გამიკვირდა, ეკონომიკის დარგში ვიცე-პრემიერი **ამირან ქადაგიშვილი** რეკავდა.

**— როგორც მახსოვს, ბატონი ამირანი ფიზიკოსი იყო.**

— გულწრფელად ვამბობ, მიუხედავად მისი ფიზიკოსობისა, საკმაოდ კარგად ერკვეოდა იმჟამინდელი ქართული ეკონომიკის ნიუანსებში, თუმცა...

**— რა თუმცა...**

— მერე ვიტყვი...

**— მაშინ დახმარება გთხოვა?**

— არა, სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე** გიბარებს, მოვალ და წამოგიყვანო. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, ფიქრი დამიმძიმდა, თავში არანაირი ვერსია არ მომდიოდა.

მივედით, **შევარდნაძემ** ზრდილობისთვის მკითხა — როგორ ხარო და პასუხიც არ გამიცია, ისე დაიწყო საუბარი. ლაპარაკობდა ქვეყანაში არსებულ უმძიმეს ეკონომიკურ სიტუაციაზე. ცდილობდა, რაღაც ფორმით ჩამოეყალიბებინა საქართველოს ეროვნული ბანკის უმნიშვნელოვანესი როლი შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნის საქმეში.

**— კი მაგრამ, ამას რატომ ელაპარაკებოდა ბინსოცბანკის ერთი რიგითი ფილიალის მმართველს? სად იყო მთავარი ბანკირი?**

— საქმეც ამაშია. მივხვდი მისი საუბრის მიმართულებას და ვკითხე — ბატონო ედუარდ, მე ხომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ ვარ... შემომხედა — და რომ იყო?

თუ ეს აზრი მართლაც გაქვთ, იქნებ უკეთესი კანდიდატურა მოძებნოთ. ამ თანამდებობაზე მე არ გამოგადგებით, უფრო მეტად პრობლემებს შეგიქმნით-მეთქი.

**— რამდენადაც ვიცი, გაღიზიანდა. უთქვამს — თუ საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემაში ერთ-ერთ გამორჩეულ ახალგაზრდად გთვლიან, რაშია საქმე, გეშინიაო?**

— დაახლოებით ასე იყო. ვუთხარი — კი, ამბობენ, რომ პერსპექტიული ახალგაზრდა ვარ, მაგრამ არ მეშინია, უბრალოდ, ახლა არ უნდა ვიყო პირველი ბანკირი.

**— რითი დაასაბუთე უარი?**

— სიმართლით...

**— რა უთხარი?**

— ბატონო ედუარდ, იცით, რომ ქიზიყელი ვარ, მოგეხსენებათ, ქიზიყელებს ჯიუტ ადამიანებად აღგვიქვამენ. პირადად მე არ ვთვლი, რომ ჯიუტი ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიონალური პრინციპულობა სიჯიუტედ აღიქმება და ბევრს მეტისმეტად აღიზიანებს. ჩემთვის არ არსებობს პიროვნული ავტორიტეტები. ვცნობ მხოლოდ საღი აზრისა და ქვეყნისთვის სარგებლიანობის ავტორიტეტს.

**— ერთხელ მაინც არ დაფიქრდი, რომ ზუსტად ასეთ კაცს, ასეთ ბანკირს ეძებდა, რათა თვითონ რბილი გამოჩენილიყო, შენ კი ბევრი მომდურავი გაგჩენოდა და თუ დაჭირდებოდა, ხელი აქეთკენ გამოეშვირა?**

— ერთხელ კი არა, ბევრჯერ დავფიქრდი. ახალი თაობის ჟურნალისტებმა არ იციან, მაგრამ შენ ხომ იცი, რაც ხდებოდა იმ პერიოდში?

პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განდევნისა და მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ედუარდ შევარდნაძის მიმართ არ იყო კარგი განწყობა. აფხაზეთის ომის ტრაგედიის შედეგებიც უმძიმესი იყო. კრიმინალები პოლიტიკოსობდნენ. რომ დავთანხმებულიყავი, მეორე დღესვე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის წევრები, სხვა თანამდებობის პირები ათასი რამის თხოვნას დაიწყებდნენ, რასაც ვერ გავითვალისწინებდი და დაიწყებოდა დიდი შტურმი...

**— ფიქრობდი, რომ შესაძლოა, შენს სიცოცხლესაც დამუქრებოდნენ?**

— რა თქმა უნდა. ეს არ იყო შიშის განცდა, ეს გახლდათ რეალობის აღქმა და უარი ვთქვი. **ქადაგიშვილი** კინაღამ გადაირია — ამდენი ნაშრომი წყალში რატომ ჩამიყარეო, მაგრამ მე სწორად მიმაჩნდა ჩემი გადაწყვეტილება.

**— ქადაგიშვილი იქნებ ეშმაკობდა და შენს გამოყენებაზე აგებდა თავის გეგმებს?**

— მან იცოდა, რა შემეძლო. თავში რა აზრები უტრიალებდა, ამაზე არ მიფიქრია.

**— თუ იფიქრა, ვიცე-პრემიერობის ძალით მოვარჯულებო?**

— ორშაბათს ჩვეულებრივად წავედი სამსახურში, ახალგაზრდა ვიყავი და საკუთარ თავს მოვუწონე სიჯიუტე. მეგონა, მოვუგე საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, არეული საქართველოს პირველ პირს. მეგონა, გაბრაზდებოდა — ეს როგორ გამიბედაო...

საღამოს 4 საათი იქნებოდა, როცა დამირეკა ჩემი დიდი ხნის მეგობარმა და კოლეგამ **რევაზ ბუცხრიკიძემ** — რადიოს ვუსმენ და ამწუთს გამოაცხადეს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება ეროვნული ბანკის პრეზიდენტად შენს დანიშვნაზეო.

**— ეწყინა, ნოდარმა რატომ დამიმალაო?**

— არა, რას ამბობ, უხაროდა. მე კი ყურმილი ხელიდან გამივარდა, მგონი, არც გათიშულა. ოფლმა დამასხა, მუხლები ამიკანკალდა, არაფერი მესმოდა, ალბათ, არც მისი მილოცვები. ძლივს დავჯექი, თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა — გამწირა, მე ამას ვერ შევძლებ... თავი შეუძლოდ ვიგრძენი... 20 წლის „ჟიგული“ მყავდა — მეუღლის მამიდაშვილმა მაჩუქა. ავათუხთუხე და სახლში წავედი.

**— იქნებ ახსნა, რა იწვევდა განსაკუთრებულ შიშსა და შეშფოთებას?**

— საბჭოთა კავშირი 1991 წლის დეკემბერში დაიშალა, მაგრამ მოსკოვი მაინც ცდილობდა ძველი გავლენების შენარჩუნებას ყოფილ რესპუბლიკებზე. დაიწყო სამეურნეო კავშირების რღვევა ყოფილ რესპუბლიკებს შორის. ხომ იცი, როგორი იყო სისტემა, მარტივი პროდუქციის გამოშვების დროსაც კი რამდენიმე რესპუბლიკა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული. ერთი რგოლიც რომ ჩამოშლილიყო, წარმოება დროებით ჩერდებოდა, ან სრული კოლაფსი ხდებოდა. ამიტომ პროცესები სპონტანური და უმართავი გახდა. წარმოების დონე დაეცა. მოიშალა მომარაგების სისტემა, კატასტროფულად გაიზარდა უმუშევრობა, პროდუქციებზე გაჩნდა დეფიციტი, დაიწყო შეუქცევადი ინფლაციური პროცესები.

**— რასაც ამბობ, ყველაფერში გეთანხმები. მე ეს ვიცი, თუნდაც, კასპის რაიონში ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ მაგალითზე. 65 ორგანიზაცია აწვდიდა მასალებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან. 3000-მდე ადამიანი მუშაობდა, აქედან 2000-მდე ახალგაზრდა იყო. პროდუქცია ექსპორტზეც გადიოდა.**

**დროის უმცირეს მონაკვეთში ქარხანა აღარ არსებობდა. ეს იყო კატასტროფა და არამხოლოდ აქ. თბილისში იყო გაერთიანება „ელექტროაპარატი“, სადაც კასპის ამ ქარხნის გარდა კიდევ 4 ქარხანა შედიოდა. ყველა მიწასთან გასწორდა.**

**რა დაემართა ყოფილ კიროვის ქარხანას დიდუბეში, ყველამ იცის. დაშალეს უნიკალური დანადგარები და ჯართად ჩააბარეს. ეს იყო კატასტროფა.**

**ეს რატომ არ დაემართათ ბალტიისპირეთის თუნდაც სამივე რესპუბლიკას, ბელორუსიას და სხვებს?**

— კი ბატონო, ისინი მოუფრთხილდნენ იმას, რაც ჰქონდათ. ჩვენ ყველაფერი გავანადგურეთ. არ ვთქვათ ჩვენს გულარხეინობასა და გულნამცეცობაზე? მოსკოვი არ ამარაგებდა საქართველოს ფულადი ბანკნოტებით, სხვები კი იმ დროს ჭკუას ხმარობდნენ და იმათ აძლევდნენ. ჩვენთან არ იყო საკუთარი ფულის ნიშნები.

**— კუპონი, თუ არ ვცდები, 1993 წლის დასაწყისში შენს დანიშვნამდე შემოიღეს და ყველანი უცბად გავხდით კუპონით მილიონერები, მაგრამ ვერაფრის შემძენნი. რატომ მოხდა ასე? არ შეიძლებოდა, დროებით მაინც წარმატებით შესრულებულიყო გარდამავალი ფულადი ერთეულის ფუნქცია? და კიდევ: რატომ ეძახიან ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს რომან გოცირიძეს „კუპონას?“.**

— შეიძლებოდა, დროებით მაინც ყოფილიყო კუპონი ფუნქციური, რომ არა მაკროეკონომიკის სრული უცოდინარობა და ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის აბსოლუტური უგულებელყოფა. ფულად-საკრედიტო რეგულირების მთავარი ორგანო — ქვეყნის ცენტრალური ბანკი მხოლოდ აზრის დონეზე არსებობდა.

**— ანუ საქართველოს ეროვნული ბანკი თავის ფუნქციას არ ასრულებდა და მიმოქცევაში ემისიური ფულის უკონტროლო გაშვებით იყო დაკავებული და სახელიც ამიტომ შეარქვეს ამის გამკეთებლებს?**

— ხალხი გონიერია და რეალობას სწორად აღიქვამდა. არ იყო აუცილებელი, თითოეულ მოქალაქეს ეკონომიკის, ფინანსისტის სპეციალობა ჰქონოდა.

**— საქართველოს არც ახლა ულხინს, ლარის გაუფასურების მოწმენიც არაერთხელ ვყოფილვართ. იქნებ წარსულსაც უნდა გადავხედოთ, რომ კატასტროფა არ მოხდეს. მიჭირს, ადამიანურად ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის ტრაგედიაზე ლაპარაკი, დღემდე კითხვის ნიშნებია — მან თავი მოიკლა თუ მოკლეს?**



**„მივხვდი მისი საუბრის მიმართულებას და ვკითხე — ბატონო ედუარდ, მე ხომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ ვარ... შემომხედა — და რომ იყო? თუ ეს აზრი მართლაც გაქვთ, იქნებ უკეთესი კანდიდატურა მოძებნოთ. ამ თანამდებობაზე მე არ გამოგადგებით, უფრო მეტად პრობლემებს შეგიქმნით-მეთქი!“**

# „— ხალხი დღესაც მწარედ იხსენებს 90-იანი წლების საშინელ ვითარებას, მაგრამ ტაშს უკრავს იმათ, ვინც ხელი შეუწყო მათი ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევას. — გეთანხმები, დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო. ამ დუმილმა ისინი წაახალისა და სპეკულაციურ ოპერაციებში ჩართო!“



**„იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კარი შეეღოთ. ჰოდა, უპრობლემოდ იღებდნენ ბანკიდან საკუპონო სესხებს მსხვილ თანხებში თავიანთი ჯიბის ბანკებისთვის, გადმოჰქონდათ ეს თანხები კავკასიის ბირჟაზე და ყიდულობდნენ ამერიკულ დოლარებს იმ მომენტისთვის არსებული კურსით!“**




**გვერდს ვერ ავუვლით ვერც მას და ვერც „კავკასიის ბირჟის“ პრობლემას, ხალხის ძარცვასა და გაუბედურებას.**

**გეყოფა ძალა, თქვა სიმართლე?**

— მაყვალა, შენ საგამოძიებო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი პიონერი ხარ. იცი, რა რთულია ასეთ თემებზე საუბარი, როცა დოკუმენტურ მასალებს სრულად არ ფლობ. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ვალია, ხალხს ახლა მაინც უთხრან სიმართლე — მოკლეს თუ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს ქვეყნის პირველი ბანკირი.

**— მოდი, შევაფასოთ ეროვნული ბანკის იმდროინდელი პერიოდის პოლიტიკა და რაღაც გამოიკვეთება. თავის დროზე მეც ვწერდი ამ ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე. გაზეთსაც გამოვცემდი. იქ დეტალურად ვსაუბრობდი გაცემულ სესხებზე, მიმღებ პირებსა და ორგანიზაციებზე, რომლებსაც არაფერი დაუბრუნებიათ სახელმწიფოსთვის. იქნებ მაღალ პროფესიულ დონეზე ახსნა, რა ხდებოდა?**

— 1993 წლის პირველ ნახევარში ეროვნული ბანკის იმდროინდელი პრეზიდენტი **დემურ დვალიშვილი**, არ ვიცი, მისი ნებით თუ იძულებით, სესხებზე ალაპარაკდა. რამდენჯერმე გამოვიდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და ტრიბუნიდან საჯაროდ განაცხადა, რომ არ დაუშვებდა საქართველოს მოსახლეობის შიმშილს და განუსაზღვრელად გასცემდა სესხებს.

**— არ ვიცი, სწორ აქცენტს ვაკეთებ თუ არა, მაგრამ ემისიური ფულით მიმოქცევის არხების გადავსება, მგონი, არასწორი იყო.**

— გეთანხმები. შენ თუ მიხვდი ამას, პროფესიონალები რატომ გაჩუმდნენ? ხომ იცოდნენ, რომ ემისიური ფულით მიმოქცევის არხების გადავსება კი არ ამდიდრებს ქვეყანას, პირიქით, კატასტროფულად აღატაკებს. უამრავ ქვეყანას გააჩნია ფულის საბეჭდი უზარმაზარი ფაბრიკა. დაბეჭდავდნენ ფულს, არ აიტკივებდნენ თავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თუ ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებაზე და იქნებოდნენ უზრუნველად.

**— არ ფიქრობდნენ, რომ იმპორტიორები პროდუქციას კუპონებზე არ მიყიდდნენ საქართველოს?**

— საქმეც ამაშია. ქვეყანას არ ჰქონდა უცხოური ვალუტის რეზერვები. ექსპორტი, რომელსაც უნდა მოეხდინა მყარი ვალუტის გენერირება, ფატალურად იყო დაცემული და ამ დროს არავის უკითხავს, სად უნდა დაესაქონლებინა სესხის ამღებს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხები კუპონებში.

**— გამოდის, ე.წ. კეთილშობილური იდეით — ვიზრუნოთ ხალხზე სესხებითო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ანადგურებდა ქართულ ეკონომიკას და აღატაკებდა მოსახლეობას?**

— ასე იყო. ქვეყანაში ფუნქციონირებდა 230-მდე 200-დოლარიანი (საწესდებო კაპიტალი) ე.წ. ბანკი. მოგვიანებით დასავლეთში მათ ჯიბის ბანკები შეარქვეს. სწორედ ისინი მიმართავდნენ საქართველოს ეროვნულ ბანკს მრავალმილიარდიანი სესხების მოთხოვნით, ვითომ ქვეყანაში სამომხმარებლო საქონელი უნდა შემოეტანათ.

**— რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნებს უკმაყოფილებდნენ. ეს კი ავტომატურ რეჟიმში იწვევდა კუპონის პერმანენტულ გაუფასურებასა და ფასების ზრდას, რადგან აღნიშნული სესხებით საქონლის ქვეყანაში შემოტანის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. სად მიდიოდა ეს სესხები?**

— პირდაპირ და მყისიერად სავალუტო ბირჟაზე...

**— ერთი წუთით... ამ სავალუტო ბირჟის დამფუძნებელი ქადაგიშვილი არ იყო? ეს ის ამირან ქადაგიშვილია, შევარდნაძეს უარი რომ უთხარი პირველ ბანკირობაზე და ჩხუბობდა — ჩემი შრომა წყალში ჩამიყარეო?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, დიახ.

**— მიდასტურებ, რომ ამ ბირჟის მეშვეობით ხდებოდა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების ძარცვა?**

— გიდასტურებ!

**— მოდი, მკითხველს ავუხსნათ კავკასიის ბირჟის თაღლითების ამბავი, ფუნქციონირების პრინციპი და მისი დამანგრეველი მოქმედება ფულის მფლობელთა 99%-ზე. ეს ყველაფერი ხომ ადრეც ხდებოდა?**

— რა თქმა უნდა.

**— გამორიცხავ სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის, მისი ვიცე-პრემიერის და მათი ჯგუფის ერთობლივ მოქმედებას, კიდევ უფრო გაეღატაკებინათ ხალხი და მოწყალების მთხოვნელთა დიდი არმია მათი მორჩილი გაეხადათ?**

— ისეთი დრო იყო, არავინ არაფერს გამორიცხავდა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე ხომ არ იყო ამ დარგის სპეციალისტი, ალბათ, ენდობოდა...

**— ხალხი დღესაც მწარედ იხსენებს 90-იანი წლების საშინელ ვითარებას, მაგრამ ტაშს უკრავს იმათ, ვინც ხელი შეუწყო მათი ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევას.**

— გეთანხმები, დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო. ამ დუმილმა ისინი წაახალისა და სპეკულაციურ ოპერაციებში ჩართო.

**— იქნებ უფრო დეტალურად ავუხსნათ ხალხს ამ სპეკულაციური ოპერაციების არსი, რადგან ახლა მაინც გაიგონ, რატომ გაღარიბდნენ და რატომ გამდიდრდნენ თაღლითები ე.წ. ჩინოსანთა მფარველობით. იქნებ გაფრთხილდნენ, კიდევ არ გაყონ თავი შარში. გახსენებაც არ მინდა, ამ ჯიბის ბანკებმა როგორ გააუბედურეს ხალხი.**

— **იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კარი შეეღოთ.** ჰოდა, უპრობლემოდ იღებდნენ ბანკიდან საკუპონო სესხებს მსხვილ თანხებში თავიანთი ჯიბის ბანკებისთვის, გადმოჰქონდათ ეს თანხები **კავკასიის ბირჟაზე** და ყიდულობდნენ ამერიკულ დოლარებს იმ მომენტისთვის არსებული კურსით. **ასეთი ოპერაციის შედეგად მიმოქცევაში გამოსული არაუზრუნველყოფილი ფულის ნაწილი მიემართებოდა სამომხმარებლო ბაზარზე და კატასტროფულად ზრდიდა ფასებს. ნაწილი ისევ ბირჟაზე ბრუნდებოდა და აუფასურებდა კუპონს უკვე დოლარის მიმართ.** ამას უდიდესი მასშტაბი ჰქონდა. დილით რომ 100 ათასი კუპონი მიგეღო ეროვნული ბანკიდან და გეყიდა 1000 აშშ დოლარი (კურსი 1:100), საღამოს ან მეორე დილას შეგეძლო, მხოლოდ 10 დოლარად გეყიდა 100 ათასი კუპონი (რადგან გაცვლითი კურსი ეცემოდა) და სრულად დაგებრუნებინა ბანკიდან აღებული სესხი, ხოლო 990 დოლარი წმინდა მოგება დაგრჩებოდა ყოველგვარი სერიოზული ძალისხმევის გარეშე, მთელი დანარჩენი საზოგადოების ხარჯზე!

ეს იყო შიშისა და შეშფოთების საფუძველი.

**— ბრაზისგან და ნერვიულობისგან გული მიჩერდება. ზედაპირზეა, რატომ იყო „კუპონა“ რომან გოცირიძე ე. შევარდნაძის დროს ვიცე-პრემიერი, როგორ მოახერხა გამდიდრება, როგორ გახდა ნაცების ჯილა-დეპუტატი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და დღემდე ჩვენი ჭკუის დამრიგებელი.**

**აღარ მეპარება ეჭვი, რომ დემურ დვალიშვილიც ამ მაფიას შეეწირა თუ შეწირეს...**

**სად იბეჭდებოდა კუპონი?**

— თავდაპირველად კუპონი დაიბეჭდა ბრიტანეთში, მაგრამ ძალიან უხარისხოდ. ალბათ, ამიტომ გაუქმდა ხელშეკრულება ბრიტანელებთან და იმ დროისთვის კუპონი საფრანგეთში იბეჭდებოდა. იმ მძიმე პერიოდში ეს მარაგიც ამოიწურა. ახალი შეკვეთა იგვიანებდა. გაიზარდა მოთხოვნა ფულის ნიშნებზე. აღარ გაიცემოდა ხელფასები და მიზერული პენსია. შეჩერებული იყო ყურძნის დამზადებისთვის გაცემული უზარმაზარი ემისიური სესხების ათვისება. იქმნებოდა ჰიპერინფლაციის წინაპირობები.

1 ნოემბერს საფრანგეთიდან ჩამოვიდა კუპონების მსხვილი პარტია. მეორე დღესვე მიეწოდა ეროვნული ბანკის ათივე ფილიალს და ამ უკანასკნელის მეშვეობით — შესაბამის კომერციულ ბანკებს. ყურძნის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი კუპონების ეს უზარმაზარი მასა, დამამზადებლებისა და ბანკების ერთობლივი ძალისხმევით, მყისიერად, ხშირ შემთხვევაში ქარხნული შეფუთვით (ფანერის ყუთებით) ხვდებოდა **კავკასიის ბირჟაზე** და ერთვებოდა საბირჟო სპეკულაციებში, რამაც გამოიწვია დოლართან მიმართებაში კუპონის კურსის ფატალური ვარდნა. ბუნებრივია, კატასტროფულად გაიზარდა სამომხმარებლო ფასები. ამას დაუმატეთ ხელფასების, პენსიების ანაზღაურება, რამაც ინფლაციის არნახული მასშტაბები გამოიწვია.

**— ყველაფერი კარგად მახსოვს. მილიონი კუპონით 1 კოლოფი ასანთიც მიყიდია. საკუთარი თვალით ვხედავდი სასოწარკვეთილ ადამიანებს, დაკეტილ ციცქნა მაღაზიებსაც კი. იყო ქაოსი და საშინელი უიმედობა.**

**ჩემი ღრმა რწმენით, ეს იყო საქართველოსა და მისი ხალხის ღალატი და ამ დანაშაულს არ უნდა ეხებოდეს არავითარი ხანდაზმულობა, ყველამ პასუხი უნდა აგოს.**

— ისტორიისთვის უთუოდ მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ობიექტური მიზეზების გარდა, რა სუბიექტურმა ფაქტორებმა შექმნეს ეს გაუსაძლისი ვითარება: ეს უცოდინარობა იყო თუ შეგნებული, გამიზნული ქმედება?

**— ხომ არ გეწყინება, რომ გითხრა — ახლა გურული ბებიის შვილიშვილი მელაპარაკება და არა ქიზიყელი ჯავახიშვილი!**

— არა, მართლა, გულწრფელად გეუბნები.

**— მეც მინდა, ქართულ-კახური, გულქართლით გითხრა, რომ ეს იყო დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. ასე რომ, ეჭვი აღარ მეპარება, რატომ დარბოდა იმ პერიოდში ვიცე-პრემიერი ამირან ქადაგიშვილი შევარდნაძის კარზე — ახალგაზრდა ბანკირი ავირჩიოთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად და ვაიძულოთ, გაგვათეთროსო... ამდენად ისიც მინდა გავიგო, მათი პროექტი იყავი თუ...**

— *(დიდხანს ფიქრობს)*. გპირდები! ვერავინ იტყვის, რომ მე ოდესმე მიჭირდა სიმართლის თქმა, მაგრამ...

**— მაინტერესებს ბიძინა ივანიშვილთან მუშაობის და ადამიანური ურთიერთობების ამბები „ქართუ ბანკის“ მიღმაც, რადგან შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამხელა ინტერვიუს მიუხედავად, ხელშესახებსა და მკითხველისათვის საინტერესოს მაინც არაფერს ამბობ. ამ დროს კი საქართველოს პოლიტიკისა და ეკონომიკის მთელ შიდა საიდუმლოს საუკეთესოდ იცნობ. იცი „კუპონას“ საქმენი საგმირონი, იცი დემურ დვალიშვილის მკვლელობის დეტალები და შავი სიის პერიპეტიები, როგორ გამდიდრდნენ ერთნი და როგორ გაღატაკდნენ მეორენი.**

**ამ თემებზე აუცილებლად აგალაპარაკებ და შენ თუ არა, მე დავარღვევ შენს ჭირვეულ დუმილს! შევთანხმდით?**

— *(ფიქრობს)* შევთანხმდით!

*ესაუბრა*

***მაყვალა ბერიანიძე***

***გაგრძელება იქნება***

*როგორი იქნება 27 ოქტომბერი?! — ეს ის კითხვაა, რომელსაც დღეს ყველა სვამს, პასუხი კი სხვადასხვა და არაერთგვაროვანია. თუ რა ხდება ცის კაბადონზე, ვის მხარეზე არიან ვარსკვლავები და როგორია ასტროლოგ* **მიხეილ ცაგარელის** *პოლიტიკური პროგნოზი, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:*



## მიხეილ ცაგარელი:

# დაბნელებების დერეფანი დასრულდა, მაგრამ წინ გვაქვს პოლიტიკური შტორმი!

— გაიხსენეთ, რას ვამბობდი თქვენი გაზეთის ფურცლებიდან 2024 წლის დასაწყისში — **ამ წლის ყველაზე კრიტიკული თვეები ოქტომბერ-ნოემბერი იქნება-მეთქი.** ამ საკითხს არჩევნების გარდა, წმინდა ასტროლოგიური კუთხითაც გავუსვი ხაზი. ახლა სწორედ ამ ურთულეს პერიოდში ვიმყოფებით.

**განსაკუთრებით მძიმე დღეებს, ანუ პიკს, 7 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე უნდა ველოდოთ, როდესაც დედამიწა მთლიანად უარყოფით ენერგოველში იქნება,**

თუმცა, არც მანამდეა სიმშვიდე ცის კაბადონზე. ორი ძალიან ბოროტი პლანეტა — ე.წ. **ლაქშია** და **მარსი** ერთსა და იმავე გრადუსში **კირჩხიბის ზოდიაქოში** შეხვდნენ ერთმანეთს.

**— ეს რას ნიშნავს?**

— გაძლიერდება ქვეყნებს შორის ტერიტორიების დაპყრობის სურვილი. **ისრაელის, უკრაინის და მათ ირგვლივ განვითარებულ საომარ მოქმედებებში შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც ჩაერთონ.** ყველა შეეცდება საომარი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას და სხვათა ტერიტორიების დაუფლებას. შეიძლება, ამ ეტაპზე ჩვენს მეზობლებს ამის სურვილი მაინცდამაინც არა აქვთ, მაგრამ, თუ ქვეყანა აირია და ვითარება საომარ სიტუაციამდე მივიდა, ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ყველა თავისას წაიღებს — თურქეთიც, აზერბაიჯანიც, სომხეთიც და რუსეთიც!

დაძაბულობას შექმნის **პლანეტა იუპიტერის** რეტროგრადულობა. როცა ძალაუფლების მმართველი პლანეტა იუპიტერი რეტროგრადული, ანუ უკუმავალი ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი მთავრობის დაბრუნების სურვილი ძლიერდება და, რაც ყველაზე ყურადსაღებია, ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობებს საკმაოდ ცუდი ფორმა ექნება. ამას წმინდა ასტროლოგიური კუთხით, აგრესიისა და ომის მმართველი პლანეტა **მარსის** დაძაბული ურთიერთობები განაპირობებს. გარდა ამისა, **პლანეტა მერკური** დაპირისპირებაში იმყოფება გამარჯვების პლანეტა **იუპიტერთან,** რაც კიდევ უფრო დაძაბავს პოლიტიკურ სიტუაციას.

კიდევ ერთხელ ვამბობ, **არჩევნები 23 რიცხვამდე რომ ჩატარებულიყო, უკეთესი იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროს მზე სასწორის ზოდიაქოშია,** რომელიც გაცილებით მშვიდი და ნაკლებად აგრესიული ნიშანია.

**26 ოქტომბერს მზე უკვე მორიელის ზოდიაქოში იქნება და ხალხში აგრესია ერთი-ორად მოიმატებს.**

**— და მაინც, როგორი იქნება 27 ოქტომბერი?**

— არჩევნების დამთავრებისთანავე დაიწყება საარჩევნო უბნების ბლოკირება და გამოსვლები. იქნება მიტინგები, პარლამენტის ბლოკირების მცდელობაც. **არ არის გამორიცხული, სიტუაციის დასაძაბავად მსხვერპლზეც წავიდნენ. ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ხალხის ემოციაზე იმუშაონ.** გამოსვლების სათავეში იქნება **სალომე ზურაბიშვილი** და კიდევ უფრო გამწვავდება ხელისუფლების მოწინააღმდეგე ელჩების განცხადებები. გაიხსენეთ, რა გააკეთეს ვენესუელაში? მიუხედავად იმისა, რომ იქ ხალხმა თავისი წარმომადგენელი აირჩია, ამერიკელებმა პრეზიდენტად ოპოზიციის ლიდერი აღიარეს. კარგა ხანი ორი პრეზიდენტი ჰყავდათ — ერთი არჩეული და მეორე ამერიკის მიერ დასმული, თუმცა, საბოლოოდ ხალხის მასა მთავრობას დაუდგა გვერდით და ეს გეგმა ნაცარში ჩაუვარდათ. დიდია ალბათობა იმისა, რომ ასეთი რამ საქართველოშიც მოხდეს. ამიტომ დღეს ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი შანსია ხალხის ერთიანობა და მთავრობის დროული, სწორი რეაგირება მოვლენებზე. **ხელისუფლება არ უნდა შედრკეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აჰყვეს დასავლელი ლიდერების განცხადებებს.** ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და აჩვენოს ამერიკასა და ევროპას, რა უნდა ქართველ ხალხს და არა იმ გარეწრებს, რომლებიც მათ ფულებზე გაიყიდნენ. **ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პატრიარქის სიტყვა და მისი ავტორიტეტი!** თუ ჩვენ ერთად არ დავდგებით, საქართველო, უბრალოდ, აღარ იარსებებს! ყველამ უნდა გაიგოს, ახლა ჩვენი ქვეყნისთვის ურთულესი ისტორიული მომენტია!

**— ასე ფიქრობს ოპოზიციაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 26 ოქტომბერს რუსეთუმე ხელისუფლება დამარცხდება და ევროპული გზა გაიმარჯვებს!**

— ოპოზიცია აბა, რას იტყვის?! ჯერ არჩევნები არ ჩატარებულა და გაყალბებაზე საუბრობენ. მე იმ უკმაყოფილო ადამიანებს მივმართავ, რომლებიც პირად საუბრებში მეუბნებიან, ხელისუფლებას ხმას არ მივცემთო — **თუ თქვენ სწორ არჩევანს არ გააკეთებთ და ხელს შეუწყობთ „ქართული ოცნების" ჩაძირვას, დაკარგავთ ქვეყანას! მოგწონს თუ არა „ოცნება", არჩევანი მის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს! „ოცნების" გამარჯვების შემდეგ პირველი მე გამოვალ და მოვთხოვ დაპირებების შესრულებას, მაგრამ ამ ეტაპზე დაივიწყეთ ხელფასებიც და სამუშაო ადგილებიც, რადგან საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას!**

კიდევ ერთხელ ვამბობ, **ეს არის ერთადერთი ისტორიული არჩევანი იმიტომ, რომ საქართველო გადარჩეს!**

**— გადარჩენას ევროპული გზიდან გადახვევას ეძახით?**

— არაერთხელ მითქვამს, იმ ძალებს, რომლებიც შეერთებულ შტატებსა და ევროპაშია მოკალათებული, მათ, გინდ, ომის პარტია უწოდეთ და, გინდ — დემონური ძალების კრებული, სურთ საქართველოს სრული დამონება თავიანთი გლობალური მიზნების მისაღწევად. მათთვის საქართველოს ზონა არის განსაკუთრებული მნიშვნელობის და ამიტომ აყეფებენ ელჩებს. კარგად იციან, თუ ახლა თავისას არ მიაღწევენ, საქართველოს დაკარგავენ. ამ ქვეყნის გაძლიერება კი პირდაპირ კავშირშია ჩინეთის გაძლიერებასთან. ამიტომ იქნება დასანქცირება, ყველანაირი მუქარა, შეიძლება, სვიფტიდანაც გაგვთიშონ, მაგრამ ეს გზა გასავლელია, რათა საქართველო ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ნეიტრალური ქვეყანა გახდეს! **რა ჯობია — საქართველოს ნგრევა, რუსეთთან დაჯახება და მოსპობა თუ დარჩენა ნეიტრალურ ნორმალურ ქვეყნად, რომელსაც სერიოზული შანსი აქვს, ევროპისა და ამერიკის გარეშე ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკური ჰაბი და აბრეშუმის გზის მთავარი საყრდენი გახდეს?!**

მესმის, საზოგადოებისთვის ძალიან მძიმეა იმის გაგება, რომ ჩვენი ნანატრი ამერიკა და ევროპა პარაზიტებისგან შემდგარი დემონური ძალების კოალიციაა, მაგრამ, გვინდა თუ არა, ამის აღიარება მაინც მოგვიწევს, უბრალოდ, მერე გვიანი არ იყოს! ხომ ხედავთ, უკვე ღია ომზეც გადავიდნენ. პირდაპირ ითხოვენ იმას, რასაც აქამდე ირიბად ამბობდნენ — რუსეთს სანქციე-



**„გაიგეთ, ხალხო, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს კი არა, შოლცს და მაკრონს ემსახურება!"**

### კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



არჩევნების დღეს **პრეზიდენტის რეზიდენციაში მოწყობილი იქნება საკოორდინაციო პლატფორმა,** რათა ჩვენ გავუწიოთ მონიტორინგი ყველაფერ იმას, რაც იმ დღეს მოხდება და შემდეგ **ერთად ვიზეიმოთ გამარჯვება.**

„რეზონანსი"

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



მოვუწოდებ საფრანგეთიდან საშოვარზე ჩამოსულ **სალომე ზურაბიშვილს: გეყოთ, რა ბიზნესიც აკეთეთ ჩვენს ქვეყანაში თქვენ და თქვენმა წინაპრებმა!** თქვენ **არ გეხებათ** არავითარი მთავრობის ფორმირება, არც კონსტიტუციით და არც პოლიტიკურად, **არ გეხებათ** არანაირი პრემიერ-მინისტრის არჩევა, **არ გეხებათ** არანაირი პოლიტიკური პროცესების რეგულირება. თქვენ და ივანიშვილს **გეხებათ** ერთადერთი — **დაახვიოთ და წახვიდეთ პოლიტიკიდან სამუდამოდ!**

„რეზონანსი"

**[illegible]**
*„ევროპელი დემოკრატების" გენერალური მდივანი*



**სალომე ზურაბიშვილის პრემიერობის კანდიდატი ცნობილი მეცნიერია,** რომელიც ძალიან მოსწონდა **ბატონ ბიძინას,** მერე კი უცებ შემოტრიალდა ეს ადამიანი და გადავიდა მის საპირისპირო მხარეს.

„ახალი თაობა"

**გიგი უგულავა**
*კოალიცია „ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი*



ე.წ. ტექნიკური მთავრობის **პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი** არჩევნებამდე უნდა დასახელდეს და ის თავად **სალომე ზურაბიშვილი** უნდა იყოს.

„ინტერპრესნიუსი"

ბი დაუწესეთო. გეკითხებით, ამით ვინ დაზარალდება, რუსეთი თუ ჩვენი ქვეყანა?!

ევროკავშირი თვითონ არღვევს თავისივე დემოკრატიულ პოსტულატებს. აბა, ერთი ხელისუფლებამ თქვას, დავუშვებთ ლგბტ ჯგუფებს, დავანგრევთ ოჯახის ინსტიტუტს, ტრადიციებს, დავეტაკებით რუსეთსო, მაშინვე იტყვიან, თქვენ ჩვენი ნამდვილი მეგობარი ხართ, გაგიხსნით გზას ევროპაშიო.

**თუ გინდათ, საქართველო რუკიდან წაიშალოს და გაცამტვერდეს, ხმა მიეცით კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას!** ჩვენ უნდა ავაშენოთ დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობა ექნება. ეს არის საქართველოს განვითარების გზა, კოსმიური მისია და არა დასავლეთის ვასალობა იმ დაპირებებით, თითქოს რაღაცას მოგვცემენ.

## არაფერსაც არ მოგვცემენ და არც ევროკავშირში მიგვიღებენ. ისევე გვატყუებენ, როგორც საუკუნეების განმავლობაში ატყუებდნენ სხვა ქვეყნებს.

**— ანუ უარი უნდა ვთქვათ ევროპულ ოჯახში გაწევრიანებაზე?**

— ევროპა მეც ძალიან მიყვარს თავისი კულტურული ცივილიზაციით, მწერლობით, მხატვრობით და ა.შ. ამერიკაც კარგია თავისი სამეცნიეროკვლევითი პოტენციალით, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო. ის, რაც დღეს ხდება, არის მათი სრული კატასტროფა როგორც მორალური, ასევე ეკონომიკური. ეს ქვეყნები ინგრევიან და ცდილობენ, ამ ნანგრევებში ჩვენი ქვეყანაც მოიყოლონ! ევროპასა და ამერიკას აბსოლუტურად არ აღელვებს საქართველო. მათ ერთადერთი მიზანი აქვთ — რუსეთთან დაპირისპირება! დღეს ევროპა ისეთ რამეს აკეთებს, რაც თავის დროზე არც სპარსეთს, არც თურქეთს, არც მონღოლეთს და არც რუსეთს არ გაუკეთებია. **ისინი მიწებს გვართმევდნენ, ფიზიკურად გვსპობდნენ, მაგრამ ერი მორალურად არ გაუხრწნიათ.**

**— პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის კარზე მოფუსფუსე ოპოზიციონერების შანსებზე რას იტყვით?**

— გაიხსენეთ, წინა არჩევნებზე რა ხდებოდა. ნაციონალებმა მაშინაც შექმნეს კოალიციური მთავრობა. ზუსტად იგივე რიტორიკით აპირებდნენ ხელისუფლებაში მოსვლას, უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ ახლა **მარგველაშვილის** ნაცვლად პრეზიდენტი **ზურაბიშვილია.** ნუ გიკვირთ ეს ფუსფუსი, ნურც ის, რომ **სალომე ზურაბიშვილი** ე.წ. ევროპელ ლიდერებს ხვდება. **ეს ხალხი აფინანსებს მას, ამ ხალხმა დაასმევინა ბიძინა ივანიშვილს იგი პრეზიდენტად, როგორც თავისი აგენტი. ვალდებულია, არჩევნების წინ შეხვდეს თავის პატრონებს და ახალი მითითებები მიიღოს.**

**გაიგეთ, ხალხო, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს კი არა, შოლცს და მაკრონს ემსახურება! თუმცა, უნდა დავამშვიდო ისინი, ვინც მისი ამ ვოიაჟებით და ძირგამომთხრელი საქმიანობით შეწუხებულია — ვარსკვლავები მის მხარეს არ არიან.**

როცა პრეზიდენტის არჩევნები იყო, მაშინ მის ზოდიაქოში გამარჯვების პლანეტა იმყოფებოდა. ახლა **თევზების ზოდიაქოში** ერთ-ერთი უმძიმესი დასჯის პლანეტა **სატურნია.** შესაბამისად, მას წარმატების არანაირი შანსი არა აქვს. რაც უნდა აკეთოს, სულ რომ ცერებზე დადგეს, წინ ვერ წავა, უამრავი დაბრკოლება შეექმნება.

ხუთპროცენტიანი ბარიერი შესაძლოა, მხოლოდ ნაციონალურმა მოძრაობამ და გახარიას პარტიამ გადალახოს, ისიც მიზერული რაოდენობით.

**— ხაზარაძემ არა?**

— ვვარაუდობ, რომ მხოლოდ 4 პროცენტს აიღებს. თუმცა, არჩევნებამდე 10 დღეზე მეტია და შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს. **არ გამოვრიცხავ, გამომზეურდეს კომპრომატებიც.** ხელისუფლებას უამრავი მასალა აქვს, დაწყებული ნაციონალების მამაძაღლობებით, დამთავრებული ათასი სხვა გარიგებებით, რომელიც, მათ შორის, ნარკოტრაფიკთან არის დაკავშირებული, რის გამოც თავის დროზე **გიორგი სანაია** მოკლეს. მას ჰქონდა მასალები **პეტრე ცისკარიშვილის** და სხვა ნარკოტრაფიკული ჯგუფების შესახებ. ამიტომაც მოიშორეს თავიდან. **„ქართულმა ოცნებამ“ ჩემზე უკეთ იცის, რა უნდა გააკეთოს — როგორ გამოიყენოს მათ ხელთ არსებული კომპრომატები.**

**— როგორია ბიძინა ივანიშვილის ჰოროსკოპი?**

— **მერწყულს,** რომლის ნიშნის ქვეშაც არის ბიძინა ივანიშვილი დაბადებული, საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს. მის მზეს ჰარმონიული ურთიერთობა აქვს გამარჯვების მმართველ **პლანეტა იუპიტერთან** და მფარველ ანგელოზთან. ორივე ახლა **ტყუპების ზოდიაქოში** იმყოფებიან. ტყუპები და მერწყული კი მეგობრული მონათესავე ნიშნები არიან, რაც მას სწორი გადაწყვეტილებების მიღების და წარმატების მიღწევის მაღალ შანსს აძლევს.

ასტროლოგიურად კარგი პერიოდი აქვს **ირაკლი კობახიძესაც.** სასწორიც ტყუპების მონათესავე ნიშანია. გამარჯვების დიდი შანსი აქვს **დონალდ ტრამპსაც,** რადგან ტყუპების ზოდიაქოს ნიშანში არის დაბადებული. **სასწორი, ტყუპები და მერწყული საუკეთესო ტრიოა, რომელიც ყველაზე კარგად უგებს ერთმანეთს.** გამარჯვების შემთხვევაში, დიდია ალბათობა, საერთო ენაც გამონახონ.

მართალია, 2 ოქტომბერს **დაბნელებების დერეფანი** დასრულდა, მაგრამ წინ გვაქვს **პოლიტიკური შტორმი,** ძალიან რთული გამოცდა — გადარჩენა-არგადარჩენა! ვარსკვლავები ჩვენკენ არიან, გვაძლევენ უნიკალურ შანსს, რომ გავძლიერდეთ და განვვითარდეთ, მაგრამ, თუ ეშმაკისკენ წავედით და საქართველოში დემონურმა ძალებმა იძალადა, აუცილებლად დავისჯებით!

იმედი მაქვს, ქართველი ერი არ აჰყვება ემოციებს, ლამაზ დაპირებასა და მუქარას, რომლებიც დიდი რაოდენობით წამოვა დასავლეთისგან, ჭკვიანურად აწონ-დაწონის ყველაფერს და გვერდით დაუდგება „ქართულ ოცნებას“, ხელს შეუწყობს იმ გამარჯვებას, რომელიც შემდგომში საქართველოს აღორძინების წინაპირობა იქნება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




# „თუ გინდათ, საქართველო რუკიდან წაიშალოს და გაცამტვერდეს, ხმა მიეცით კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას!“




## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*ანალიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილს** უკვე საკუთარი თამაშის წესები აქვს, რომელსაც ოპოზიციას უყენებს, თუმცა, **არცერთი მათგანი არ ეთანხმება,** განსაკუთრებით — ნაციონალები, რომლებმაც **ყველაზე კარგად იციან, ეს ქალბატონი ვინც ბრძანდება.**

„რეზონანსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*



რასაც **სალომე ზურაბიშვილი** აკეთებს, ორხელისუფლებიანობის პირდაპირი მანიშნებელია **— ეს არის სახელმწიფო გადატრიალება,** როცა ოპოზიციას იბარებ და პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე ელაპარაკები! პირდაპირ ვამბობ — **ეს ქალბატონი არის მთავარი აგენტი!**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ბარამიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



12 წელიწადია, ნაციონალურ მოძრაობას **დევნიან და გვაპატიმრებენ, გვესვრიან, გვცემენ,** მაგრამ ვერაფერი უქნეს ჩვენს გუნდს, ვერც ახლა შეგვაშინებენ.

„ინტერპრესნიუსი“

**ანა დოლიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ასლან აბაშიძის** „აღორძინებას“ **უფრო საინტერესო და უფრო ენერგიული საარჩევნო პროგრამა ჰქონდა,** ვიდრე „ქართულ ოცნებას“ — **მათი ამბავი დამთავრებულია, სძინავთ, სულს ლაფავენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი მარგველაშვილი**
*პარტია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



„ქართულმა ოცნებამ“ **ნამდვილი სახე** უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გამოაჩინა. **ივანიშვილი წავა** კი არა, უზუნდარას იცეკვებს, ისე **წავა და კიდევ ბოდიშს მოიხდის.**

„ახალი თაობა“

# ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲛᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲡᲯᲐᲓᲘᲐ!

*როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები აქტიურად ცდილობენ, ქართველი საზოგადოება დაარწმუნონ, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ეროვნული რეფერენდუმის მნიშვნელობა აქვს და აუცილებელია, მასში მონაწილეობა ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქემ მიიღოს.*

— **26 ოქტომბრის არჩევნები არის რეფერენდუმი, რაზეც ქართველმა ხალხმა არჩევანი უნდა გააკეთოს ომსა და მშვიდობას შორის!** — აცხადებენ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები.

— **26 ოქტომბრის არჩევნები არის რეფერენდუმი, რომელზეც ქართველმა ხალხმა არჩევანი უნდა გააკეთოს რუსეთსა და დასავლეთს შორის!** — აცხადებენ კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლები და მათი უცხოელი აპეკუნები.

— **26 ოქტომბერს არჩევნებზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს, რათა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოვიპოვოთ და ერთხელ და სამუდამოდ დავუსვათ წერტილი ომისა და ნგრევის პარტიას — ნაციონალურ მოძრაობას!** — მოუწოდებენ ამომრჩეველს „ქართული ოცნების" ლიდერები.

— **26 ოქტომბერს არჩევნებზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს, რადგან ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის პირობებში ხელისუფლება ხმების გაყალბებას ვერ შეძლებს და ივანიშვილის რუსულ რეჟიმს პოლიტიკურ სანაგვეზე გავისტუმრებთ!** — ეუბნებიან ამომრჩეველს კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერები.

ერთი სიტყვით, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პოლიტიკური ტემპერატურა და საარჩევნო თამასა რაც შეიძლება მაღლა ასწიონ, რათა **26 ოქტომბერს** ამომრჩეველი სახლში არ დარჩეს და საარჩევნო უბნებს მიაწყდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ გარკვეული უპირატესობა ოპოზიციის მხარეს არის, რადგან **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ, ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲘ.**

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, **ოპოზიციის ამომრჩევლებს არჩევნებზე წასვლა არასოდეს ეზარებათ, ხელისუფლების ამომრჩეველთა ნაწილი კი ყოველთვის ფეხს ითრევს და საკუთარ სიზარმაცესა თუ უპასუხისმგებლობას, ძირითადად, იმით ამართლებს, რომ „ხელისუფლება მაინც მოიგებს".**




ახლაც, 26 ოქტომბრის უმნიშვნელოვანესი არჩევნების წინ, „ქართული ოცნების" ბევრი მომხრე, განსაკუთრებით კი ის კატეგორია, რომელსაც ხმის მისაცემად დედაქალაქიდან რომელიმე რეგიონში ან ერთი რაიონიდან მეორეში უწევს წასვლა, სწორედ იმიტომ არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას, რომ ფიქრობს — **„ქართული ოცნება" მაინც გაიმარჯვებსო!**

არადა, დღეს საქართველოს მართლაც ისეთი პოლიტიკური რეალობა უდგას და ქართული სახელმწიფო ისეთი ეგზისტენციური საფრთხეების წინაშე დგას, ადამიანს საკუთარი სამშობლოს ბედი და საკუთარი ოჯახის მომავალი ოდნავ მაინც თუ აღელვებს, **26 ოქტომბერს** გული სახლში ვერ უნდა დაუდგეს!

იმ შემთხვევაშიც კი, თუ არჩევნებში მონაწილე არცერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერ მხარს, ხმის მისაცემად მაინც უნდა წახვიდე, რათა შენი მოქალაქეობრივი პოზიცია ბიულეტენში თუნდაც ყველა პარტიის გადახაზვით გამოხატო და არა — სახლში მხართეძოზე წოლით.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში ისეთი არჩევნები, გნებავთ, ისეთი რეფერენდუმი ტარდება, რომ მასში მონაწილეობა ყველა ამომრჩევლის მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი და მორალური ვალდებულებაა!**

ისე კი, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არჩევნებზე წასვლა და ხმის მიცემა კანონით არის სავალდებულო!

კონკრეტულად, **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 22 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ — არგენტინის, ავსტრალიის, ბელგიის, ბოლივიის, ბრაზილიის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, კოსტარიკის, დომინიკის რესპუბლიკის, ეკვადორის, ეგვიპტის, საბერძნეთის, ჰონდურასის, ლიბანის, ლუქსემბურგის, მექსიკის, ნაურუს, პანამას, პარაგვაის, პერუს, სინგაპურის, ტაილანდისა და ურუგვაის მოქალაქეებს** კანონი არჩევნებში მონაწილეობას ავალდებულებს და არასაპატიო მიზეზით ხმის არმიცემის შემთხვევაში სხვადასხვა სახის სანქციას უწესებს.

მაგალითად, ევროკავშირის წევრ **ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ ხმის სავალდებულო მიცემის კანონი 1894 წლიდან მოქმედებს და 2003 წლამდე მისი დარღვევისათვის საკმაოდ მკაცრი სანქციები იყო დაწესებული.** კერძოდ, ბელგიის მოქალაქე, რომე-



## ᲣᲘᲜᲡᲢᲝᲜ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘ:

### ცუდ ხელისუფლებას ირჩევენ კარგი ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე არ მიდიან!

## ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ!

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტარი*



საარჩევნო კამპანიას საქართველოში **უცხო სახელმწიფოები** ატარებენ თავიანთი საელჩოებისა და სპიკერების საშუალებით. **ეს არის ქვეყნის დამოუკიდებლობაზე გადავლა.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ"

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲓᲣᲐ**
*„ქართული ოცნების" ზუგდიდის მაჟორიტარი კანდიდატი*



სოფელ ოდიშში **ნაცმოძრაობის ძალადობრივმა რეჟიმმა** თავისივე მოქალაქეების წამების ადგილი შექმნა — **ადამიანებს აუპატიურებდნენ, იღებდნენ და მსხვერპლებს აშანტაჟებდნენ.** ეს მასალები ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამალავებიდან ამოვიღეთ და დახურულ კარს მიღმა ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარვუდგინეთ, შემდეგ კი გავანადგურეთ! **ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი რეჟიმი ჩვენს ქვეყანაში არასდროს დაბრუნდება — ქართველმა ხალხმა მათ უარი უთხრა!**

„ᲘᲛᲞᲠᲔᲡᲘ"

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲮᲣᲐᲠᲐᲫᲔ**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**თუკი ვინმეა შეუთავსებელი ევროკავშირის ღირებულებებთან,** ეს თავად დასავლეთის დღევანდელი ხელისუფლებაა. **მათ დემოკრატია ფეხქვეშ გათელეს.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ"

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ეკონომიკის მინისტრი*



ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენ **თვისობრივად სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ 2012 წელთან შედარებით** და ძალიან კონკრეტული მიზნები და გეგმები აქვს ხელისუფლებას **2028 წლისთვის.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ"

**ᲛᲐᲘᲐ ᲑᲘᲗᲐᲫᲔ**
*პარლამენტარი*



**ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** არჩევნებში **„ქართული ოცნების" მხარდაჭერით გაიმარჯვა** და იმისთვის, რომ ამომრჩეველთან პირნათელი ვიყოთ, **იმპიჩმენტი აუცილებლად უნდა დაიწყოს.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ"



ლიც არჩევნებში არ მიიღებდა მონაწილეობას, **40-დან 80 ევრომდე** ფულადი ჯარიმით ისჯებოდა, ხოლო **ზედიზედ 4 არჩევნებში ხმის არმიცემის შემთხვევაში, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას 10 წლით კარგავდა.**

მართალია, 2003 წლიდან ბელგიაში ამ კანონის აღსრულება, ფაქტობრივად, აღარ ხდება, მაგრამ გაუქმებული არ არის და **სახელმწიფოს შეუძლია, ნებისმიერ დროს აამოქმედოს.**

ევროკავშირის წევრ კიდევ ერთ სახელმწიფოში — **საბერძნეთში** — ხმის სავალდებულო მიცემის კანონი 2000 წლამდე ისეთ მკაცრ სანქციას აწესებდა, როგორიც **არჩევნებში მონაწილეობისათვის თავის ამრიდებელი მოქალაქისათვის პასპორტისა და მართვის მოწმობის ჩამორთმევაა.** 2000 წლიდან საბერძნეთში მკაცრი სანქციები გაუქმდა, მაგრამ **ხმის სავალდებულო მიცემის კანონი** დღესაც არსებობს.

**არგენტინაში** ხმის სავალდებულო მიცემის კანონი ფულად ჯარიმასთან ერთად სამოქალაქო უფლებების შეზღუდვასაც ითვალისწინებს. მაგალითად, **არგენტინის მოქალაქეს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას არასაპატიო მიზეზით არ მიიღებს, ერთი წლის ვადით საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთმევა.**

**ბრაზილიაში** არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის მხოლოდ იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც კითხვა არ შეუძლიათ, ხოლო დანარჩენ ამომრჩევლებს კანონი ხმის მიცემას ავალდებულებს და დამრღვევთათვის ჯარიმებს აწესებს.

**ავსტრალიური** კანონმდებლობით, ხმის უფლების მქონე მოქალაქე, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, **20 დოლარით** დაჯარიმდება.

და მაინც, **რამდენად მართებულია, ადამიანს არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულება კანონის ძალით აჰკიდო?**

სამართლის, პოლიტიკისა და საარჩევნო სისტემის ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონი მოქალაქეს ხმის მიცემას არ უნდა ავალდებულებდეს, რადგან ეს დემოკრატიის პრინციპებს დაარღვევს და ადამიანის თავისუფლებას შეზღუდავს, მეორე ნაწილის აზრით კი, **არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქის ისეთივე ვალდებულებაა, როგორიც, მაგალითად, გადასახადების გადახდა და, რაც უფრო მეტი ადამიანი მისცემს ხმას, მით უფრო ლეგიტიმური იქნება გადაწყვეტილებები, რომლებსაც არჩეული ხელისუფლება მიიღებს.**

ასეა თუ ისე, საქართველოში ჯერ არ არსებობს **დაწერილი კანონი,** რომელიც მოქალაქეს არჩევნებში ხმის მიცემას დაავალდებულებს, მაგრამ

**არსებობს დაუწერელი კანონი, რომელმაც საქართველოს ყველა პატრიოტი, პატიოსანი და ღირსეული მოქალაქე 26 ოქტომბერს**

**საარჩევნო ურნასთან უნდა დააყენოს**

და ხმა მიაცემინოს იმისათვის, რომ ქვეყანა **ისევ მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ნაცბანდას არ ჩაუვარდეს ხელში!**

ამ **დაუწერელ კანონს** სამშობლოს სიყვარული და ქვეყნისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობა ჰქვია!

ამ **დაუწერელ კანონს** ჰქვია საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

სხვათაშორის, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში გამოჩენილმა ათენელმა კანონმდებელმა და რეფორმატორმა **სოლონმა** დააწესა, რომ ნებისმიერ ათენელს, რომელიც ქვეყანაში არსებული შიდა მღელვარების დროს საკუთარ პოზიციას არ გამოხატავდა და რომელიმე მხარეს არ დადგებოდა, მოქალაქის ყველა უფლება ჩამოერთმეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში **ხმის სავალდებულო მიცემის კანონი** არ გვაქვს, 21-ე საუკუნის საქართველოს მოქალაქეები ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ათენელი სოლონის მიერ მიღებულ კანონს უნდა დაემორჩილონ და 2024 წლის 26 ოქტომბერს ხმის მისაცემად მართლაც ქუდზე კაცი გამოვიდეს!

**2024 წლის 26 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების წინ საქართველოს ყველა პატრიოტმა და ღირსეულმა მოქალაქემ დიდი ბრიტანელი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის უინსტონ ჩერჩილის სიტყვებიც უნდა გაიხსენოს:** „ცუდ ხელისუფლებას ირჩევენ კარგი ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე არ მიდიან!“

**კარგი ადამიანები 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევნებზე უნდა წავიდნენ!**

*ჯაბა ხუბუა*



ათენელი კანონმდებელი და რეფორმატორი სოლონი. ძვ.წ. 638-558

**ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში გამოჩენილმა ათენელმა კანონმდებელმა და რეფორმატორმა სოლონმა დააწესა, რომ ნებისმიერ ათენელს, რომელიც ქვეყანაში არსებული შიდა მღელვარების დროს საკუთარ პოზიციას არ გამოხატავდა და რომელიმე მხარეს არ დადგებოდა, მოქალაქის ყველა უფლება ჩამოერთმეოდა!**



***ლეგენდარულმა ქართველმა ფალავანმა, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან ბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარ ზურგზე გადაიტანა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი პარლამენტის დეპუტატი და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი იყო, მაგრამ კარგა ხანია, პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა და საჯარო სივრცეშიც, ფაქტობრივად, აღარ ჩნდება. არადა, დღეს, როცა ქვეყანა ურთულესი პოლიტიკური რეალობისა და უცხოეთიდან ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის წინაშე დგას, მისნაირი ადამიანების აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სად არის, რას საქმიანობს და დგას თუ არა კვლავ ბიძინა ივანიშვილის გვერდით, რომლის ერთგულების ფიცი ჯერ კიდევ 2011 წელს გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო? ამ და სხვა აქტუალურ კითხვებს ლუკა კურტანიძე წინამდებარე ინტერვიუში უპასუხებს:***




# თუ ვინმეს ტვინი უდუღს და ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობაზე ფიქრობს, პირდაპირ ვეუბნები – ისეთ დღეს დაგაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!

— ვიყავი, ვარ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავრჩები იმ ფიცის ერთგული, რომელიც ჩემს ძმებთან — **სოსო ჯაჭვლიანთან** და **მერაბ შათირიშვილთან** ერთად გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დავდე. ეს იყო 2011 წლის 25 დეკემბერს, როცა დიდ მეფესა და ერთმანეთს შევფიცეთ, რომ ბოლომდე ვიდგებოდით ერისკაცის — **ბიძინა ივანიშვილის** გვერდით.

ეს ფიცი კიდევ ერთხელ გავიმეორე სოსოს წინაშე, როცა გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე უკანასკნელად ვნახე. მასთან შობის წინა დღეს მივედი და ვუთხარი, რომ სიცოცხლის ბოლო წამამდე იმ პირობის ერთგული ვიქნებოდი, რომელიც დავით აღმაშენებლის საფლავზე მუხლმოყრილებმა დავდეთ.

ასე რომ, კითხვაც არ უნდა გაუჩნდეს არავის — **ლუკა კურტანიძემ** ფერი ხომ არ იცვალაო? მართალია, ბევრმა მართლაც იცვალა ფერი და ზნე, ბევრმა დაკარგა ღირსება და სიტყვის ფასი, მაგრამ ასეთ ადამიანებთან არავითარი საერთო არ მაქვს.

**— ბოლო დროს სოციალურ ქსელში რამდენიმე ვიდეო გავრცელდა, რომელშიც ჩანს, რომ სასულიერო პირის მსგავსად ხართ შემოსილი და დიდი წვერი გაქვთ. ამის გამო, ბევრი კითხულობს — ლუკა კურტანიძე ბერად ხომ არ აღიკვეცაო?**

— ბორჯომის ხეობაში ვცხოვრობ სრულიად მარტო, შავად შემოსილი და უფალთან ახლოს. ვაანალიზებ ჩემ მიერ გავლილი ნახევარი საუკუნის ყოველ დღეს და ღმერთს მადლობას ვწირავ ყველაფრისათვის. უკან რომ მოვიხედავ, არ შემრცხვება, რადგან ჩემი სამშობლოსა და ერისათვის არასოდეს მიღალატია. დიახ, ბევრჯერ შევცდი, ბევრჯერ დავეცი, ჩემს თავს ბევრჯერ ვუღალატე, მაგრამ ჩემი სამშობლოსა და ერისათვის არ მიღალატია და ასე ვიქნები ცხოვრების ბოლო წამამდე. იერიც შემეცვალა, მაგრამ გული და სული ისევ ისეთი მაქვს, შავ სამოსელს კი მხოლოდ მაშინ ვიხდი, როცა საჭიდაო ხალიჩაზე გავდივარ.

**— ხელისუფლების ლიდერები ხშირად იმეორებენ და საზოგადოების ნაწილიც ფიქრობს, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენ-**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



თუკი ჩავთვლით, რომ არჩევნებზე 2 მილიონი კაცი მივიდა და **„ოცნებამ“ 35 პროცენტი მიიღო,** ეს დაახლოებით **700-750 ათასი ხმაა,** რაც ძალიან რეალურია ყოველგვარი გაყალბების გარეშეც „ოცნებისთვის“. თუ **მანდატების 20 პროცენტი** დარჩება გადაუნაწილებელი, ეს ნიშნავს, რომ **„ქართული ოცნება“ დაახლოებით 60-62 მანდატს მიიღებს.** აქედან გამომდინარე, მას კიდევ **14-16 მანდატის დამატება დასჭირდება** ხელისუფლებაში დასარჩენად და აი, აქ ჩნდება კიდევ ერთი საკითხი... **ივანიშვილს არ გაუჭირდება 15 კაცის მოძებნა, რომლებიც „ქართული ოცნების“ მხარეს გადავლენ.** ეს შეიძლება **15-20 მილიონი დოლარი დაუჯდეს.** მილიონ დოლარზე რამდენი იტყვის უარს დღევანდელი ოპოზიციური კანდიდატებიდან?

„კვირის პალიტრა“

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის“ წევრი*



დღეს არჩევნები სამართლიან გარემოში კი არა, **რევოლუციის ფონზე** მიმდინარეობს. ერთი წლისთავზე **უნდა ჩავატაროთ ვადამდელი არჩევნები,** სადაც ნამდვილად იქნება სამართლიანი და კონკურენტული გარემოც.

„ახალი თაობა“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



ვფიქრობ, ოპოზიციის ინტერესებში არ შედის, რომ **წინასაარჩევნო პროცესი ასე მდორედ მიმდინარეობდეს** და რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, **არჩევნებამდე აქციების ორგანიზებას აპირებენ.**

„რეზონანსი“

**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილს** უნდა პრეზიდენტის სასახლე **„კოლექტიური ნაცმოძრაობის“ საარჩევნო შტაბად აქციოს.**

„ინტერპრესნიუსი“

*დასაწყისი მე-11 გვერდზე*

დასაწყისი მე-11 გვერდზე



*ლუკა კურტანიძე და ბიძინა ივანიშვილი. 2012 წელი*

**„დღეს ბიძინა ივანიშვილის ერთგულება საქართველოს გამთლიანების პროცესში მონაწილეობას ნიშნავს!“**

# ლუკა კურტანიძე:

# პირადად მე, ლუკა კურტანიძე, ხელისუფლებიდან ბევრ ვინმეზე ვარ ნაწყენი და ბევრისთვის მაქვს პასუხი მოსათხოვი, მაგრამ ამ ყველაფერს გვერდზე ვდებ, რადგან სახელმწიფოსა და სამშობლოს ასე სჭირდება!

**ტო არჩევნები საქართველოსათვის 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებზე არანაკლებად მნიშვნელოვანია. თქვენ, როგორც „ძველი გვარდიის“ წარმომადგენელი, იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას?**

— 2012 წელს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი საქართველოში ხელისუფლების შეცვლით ნამდვილად არ იყვნენ დაინტერესებული ისე, როგორც დღეს არიან. პირიქით, აშშ-ის მაშინდელი ელჩი **რიჩარდ ნორლანდი,** რომელიც ძალიან კარგი ადამიანი იყო, ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოებას პირადად იცავდა და 1 ოქტომბრის არჩევნებამდე 3-4 დღის განმავლობაში გვერდიდან არ მოშორებია, რადგან იცოდა, მასზე ფიზიკური თავდასხმის რეალური საფრთხე არსებობდა. თუ სწორად მახსოვს, ამერიკის ელჩმა ბატონი ბიძინას რეზიდენციაში ღამეც კი გაათია, რაც სააკაშვილისა და მისი ძაღლებისათვის მკვეთრი გზავნილი იყო, რომ არ გაებედათ ის, რაც დაგეგმილი ჰქონდათ.

სამაგიეროდ, დღეს სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ — **ამერიკის ადმინისტრაცია და ევროკავშირის დიდი სახელმწიფოები ყოვლად უსამართლო კრიტიკით, უსაფუძვლო ბრალდებებითა და სანქციებით ცდილობენ ჩვენი ხელისუფლების დასუსტებასა და დამხობას მხოლოდ იმის გამო, რომ ერისკაცი ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და სუვერენიტეტს იცავენ.**

ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, გამაოგნებელი და შეურაცხმყოფელი იყო **ბაიდენის ადმინისტრაციის** სამარცხვინო საქციელი, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძეს** ვახშამზე მიწვევა გაუუქმეს. წარმოუდგენელია, ასე დაამცირო მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა, რომელიც კოსოვოდან დაწყებული, ავღანეთით დამთავრებული, ყველა საერთაშორისო მისიაში შენ გვერდით იბრძოდა, სისხლს ღვრიდა და სიცოცხლეს სწირავდა.

არასოდეს დამავიწყდება ამერიკელი ხალხის ამაგი, რომელიც ქართველებს სარჩოს გვიყოფდა მაშინ, როცა გვშიოდა და გვწყუროდა, მაგრამ ისეთ უსამართლობასა და დამცირებას, რაც **ბაიდენის ადმინისტრაციამ** გვაკადრა, ვერასოდეს შევეგუებით. თუმცა, რა უნდა გაგვიკვირდეს იმ ადმინისტრაციისაგან, რომელიც აცხადებს, რომ ტრანსგენდერები ამერიკის სულს წარმოადგენენ და ლგბტ თემის წარმომადგენლობა პატრიოტობას ნიშნავს? იმედი მაქვს, ამერიკელი ხალხი **დონალდ ტრამპის** სახით ღირსეულ პრეზიდენტს აირჩევს და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაც ღირსების კალაპოტს დაუბრუნდება.

**— სრულიად აშკარაა, რომ კოლექტიურ დასავლეთს „ქართული ოცნებისათვის“ პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს და საქართველოს ხელისუფლებაში კოლექტიური ნაცმოძრაობის დასმას აპირებს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია საფრთხე, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანა კვლავ სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენთა ხელში აღმოჩნდეს?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას საშინელი სისხლისღვრა და ქვეყნის განადგურება მოჰყვება! ცხადია, ნაცებსა და მათ სატელიტებს არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნიათ, მაგრამ, **თუ ე.წ. მაიდნის მოწყობას შეძლებენ და ძალაუფლებას გადატრიალების გზით ჩაიგდებენ ხელში, ქვეყანას მაშინვე ომში გახვევენ და უკრაინის მსგავს პოლიგონად გადააქცევენ.** მეტიც, ეს უსამშობლო მანქურთები, პატრონების ბრძანების შესაბამისად, მეორე კი არა, მესამე ფრონტსაც გახსნიან და რუსეთს კი არა, ირანსაც შეუტევენ. ამერიკის ლიდერები, რომლებიც პირდაპირ აცხადებენ — უკრაინას იარაღს მანამდე მივაწვდით, სანამ **უკანასკნელ უკრაინელს** არ ამოხდება სული, საქართველოსთან მიმართებაშიც სწორედ ასე მოიქცევიან და უკანასკნელ ქართველამდე იომებენ, ოღონდ კი რუსეთს რაიმე ზიანი მიაყენონ.

ამდენად, ქართველები მარტივი არჩევანის წინაშე ვდგავართ — **ან ომი უნდა ავირჩიოთ ან მშვიდობა!** ან ფრთხილად გავიყვანოთ ჩვენი სამშობლო გლობალური ცეცხლის რკალიდან, ან გამოუცხადებელ მესამე მსოფლიო ომში ჩავებათ და საქართველოსაგან მხოლოდ ნანგრევები დარჩება!

## შესაძლოა, „ქართულ ოცნებაზე“ ბევრი ადამიანია გაბრაზებული, მაგრამ, თუ სახელმწიფოებრივად ვაზროვნებთ, ახლა ეს ბრაზი უკანა პლანზე უნდა გადავწიოთ.

პირადად მე, ლუკა კურტანიძე, ხელისუფლებიდან ბევრ ვინმეზე ვარ ნაწყენი და ბევრისთვის მაქვს პასუხი მოსათხოვი, მაგრამ ამ ყველაფერს გვერდზე ვდებ, რადგან სახელმწიფოსა და სამშობლოს ასე სჭირდება.

ერთი სიტყვით, თუ მშვიდობა და საქართველოს გამთლიანება გვინდა, მაშინ ერისკაც **ბიძინა ივანიშვილს** უნდა დავუჯეროთ და არა იმ უსამშობლო პოლიტიკანებს, რომლებსაც საქართველოსათვის ბოროტების, გარყვნილების, ცრემლისა და სისხლის მეტი არაფერი მოუტანიათ!

**— საქართველოს გამთლიანება ახსენეთ და საინტერესოა, როგორც აფხაზეთიდან დევნილი, რას ფიქრობთ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე აფხაზი და ოსი თანამემამულეებისათვის ბოდიშის მოხდის შესახებ, რასაც დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა მოჰყვა?**

— კიდევ ერთხელ ვამბობ — მხოლოდ სამშობლოს ინტერესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და ყველაფერი პირადი გვერდზე გადავდოთ! **აფხაზებმა მამა მხოლოდ იმიტომ დამიხვრიტეს, რომ ქართველი იყო, მაგრამ 2018 წელს, როცა ევროპის ერთ-ერთ ქალაქში აფხაზებს შევხვდი, ვუთხარი — ჩემი კუთხის შვილები ხართ და ძალიან მომენატრეთ, თქვენ ჩემი სული და გული ხართ-მეთქი!**

**— საოცარ რამეს ამბობთ!**

— აფხაზური დელეგაციის წევრები — **ასტამურ ტანია, ზურაბ ლაკერბაია** და სხვები, რომლებიც თავის დროზე **არძინბას** უახლოეს გარემოცვაში იყვნენ, ჩემგან ნამდვილად არ მოელოდნენ ასეთ თბილ შეხვედრას, რადგან კარგად იცოდნენ ჩემი პირადი ტრაგედიის შესახებ.

საერთოდ, მტერსაც ღირსეულად უნდა მოექცე და ისიც ღირსეულად მოგეპყრობა. ირანელი მოჭიდავე **ალი რეზა ჰეიდარი,** რომელიც ჩემი დაუძინებელი მოწინააღმდეგე იყო, მსოფლიო ჩემპიონატზე მისსავე სამშობლოში დავამარცხე. თეირანის უზარმაზარი სპორტის სასახლე გადაჭედილი იყო

## კვირგვინოსნები

**რობინ დანიგანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



**„ქართული ოცნება“ დემოკრატიულად არჩეული მთავრობაა და შეიძლება, მომდევნო არჩევნებზეც ასე იყოს,** ჩვენ არ ვირჩევთ, ვინ მოიგებს ან ვინ წააგებს, ამას ქართველი ხალხი წყვეტს. **დავინახეთ პოზიტიური ნაბიჯები მთავრობისგან, ცესკოსგან და სამოქალაქო საზოგადოებისგან,** ჩემი აზრით, ცესკოს თავმჯდომარე და გუნდი მზად არიან, ხელი შეუწყონ **არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებას.**

„რუსთავი-2“

**ნუკა არჩველაძე**
*ჟურნალისტი*



მივმართავ **ქალბატონ დანიგანს:** ჩვენი არჩევანის დაცვის ბერკეტები ჩვენს ხელშია და **თქვენი უსუსური ჩარევა თქვენვე არ მოგიტანთ ხეირს!** თქვენ დაარღვიეთ საელჩოს მნიშვნელობის ყველა პრინციპი და ყველა ჩარჩოდან გახვედით! საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. **და არ უნდა მისცეთ თავს უფლება, რომ ის აშშ-ის შტატ ჯორჯიაში აგერიოთ!**

„საერთო გაზეთი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



მინდა, **დანიგანს** მივმართო: **იანკი, გოუ ჰოუმ! თქვენი ადგილი საქართველოში აღარ არის!** ვგულისხმობ ზნედაცემულ ბიუროკრატიას და არა ამერიკელ ხალხს, რომელიც **ბაიდენის ადმინისტრაციისგან არანაკლებ დაჩაგრულია. ღებნანებმა, დანიგანებმა, კრამერებმა, ბლინკენებმა, ბაიდენებმა** საკუთარ სახელმწიფოს ღირსება და დიდება დაუკარგეს.

„საერთო გაზეთი“

**ლევან სანიკიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდიუმი*



**ჩვენი ამერიკელი მეგობრები ქართველი ხალხის**, იმ ადამიანების გვერდით დგანან, რომლებიც 26 ოქტომბერს ამ ქვეყანაში მხარს დაუჭერენ ცვლილებას, **არ მოიხდიან ბოდიშს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისთვის** და ახალ პროდასავლურ კოალიციურ მთავრობას აირჩევენ.

„რეზონანსი“

და მისი გულშემატკივრები ხმაურით ანგრევდნენ იქაურობას, მაგრამ, როცა გავიმარჯვე, მეტოქის ქომაგთა წინაშე დავდექი და ქედი მოვიხარე, რასაც დიდი ოვაციები მოჰყვა. ირანელები დღემდე არ ივიწყებენ ამ ჟესტს, ღირსეულ საქციელს მიფასებენ და ჩემდამი პატივისცემით არიან გამსჭვალული.

ერთ ამბავსაც გაგიმხელთ, რომელზეც საჯაროდ არასოდეს მისაუბრია — საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დახმარებით აფხაზი ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე გადავარჩინე.

**— ეს როდის და როგორ მოხდა?**

— 2021 წელს აფხაზეთში ავტოკატასტროფაში მოყვნენ **ძმები ჯინჯოლიები,** რომელთაგან ერთი დაიღუპა, ხოლო მეორე — 22 წლის ბიჭი — უმძიმეს მდგომარეობაში იყო და თუ ადგილზე დარჩებოდა, მისი გადარჩენის 1-პროცენტიანი შანსიც არ არსებობდა. როგორც კი ეს ამბავი შემატყობინეს, მაშინვე დავტრიალდი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დახმარებით, მომაკვდავი აფხაზი ბიჭი თბილისში გადმოვიყვანეთ, სადაც არამიანცის საავადმყოფოს ექიმებმა შეუძლებელი შეძლეს და 22 წლის ახალგაზრდა გადაარჩინეს. შემდეგ იმ ბიჭის დედამ, აფხაზმა ქალბატონმა, მადლიერების ნიშნად ძღვენი გამომიგზავნა — აფხაზური ღვინო, შებოლილი სულგუნი, ჩაი და რაღაც-რაღაცები, რომლებსაც დღემდე ხელუხლებლად ვინახავ.

**აფხაზებმა მამა დამიხვრიტეს, მაგრამ მე აფხაზი ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლის გადარჩენაში მივიღე მონაწილეობა და არ დაგიმალავთ, ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელი!**

**— და მაინც, პირდაპირ არ მიპასუხეთ, რას ფიქრობთ აფხაზებისა და ოსებისათვის ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით?**

— ერისკაცის — **ბიძინა ივანიშვილის** განცხადება სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშია და საქართველოს ეროვნული ინტერესებით არის ნაკარნახევი! თუმცა, სანამ აფხაზებთან და ოსებთან მივალთ, **ჯერ ქართველებმა უნდა მოვუხადოთ ერთმანეთს ბოდიში იმისათვის, რაც 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში დავატრიალეთ.** გავიხსენოთ, როგორ და რამდენჯერ იქნა აოხრებული სამეგრელო, რა ცოდვა ტრიალებდა კახეთსა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, როგორ იყო გახვეული თბილისი სამოქალაქო ომის ცეცხლში... **ამ ყველაფრისთვის ერთმანეთს არ უნდა მოვუბოდიშოთ და პატიება არ ვთხოვოთ?** თუ ამას არ გავაკეთებთ, აფხაზი და ოსი როგორღა გვენდობა?

რაც მთავარია, ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ჩვენი საქმითა და საქციელით უნდა დავანახოთ ერთმანეთს, რომ მართლა ძმები ვართ და ერთიანი საქართველო უნდა ავაშენოთ!

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა მართლა იკვეთება?**

— მე მჯერა იმის, რაც ერისკაცმა ბრძანა — დღეს მსოფლიოში გეოპოლიტიკური ვითარება ისე რადიკალურად იცვლება, რომ შესაძლოა, მალე საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანების მომენტიც დადგეს, ასეთ დროს კი ქვეყნის ხელისუფლებაში ეროვნულად მოაზროვნე პატრიოტები უნდა იყვნენ და არა — სამშობლოს გამყიდველი რენეგატები, როგორებითაც სავსეა კოლექტიური ნაცმოძრაობა!

**ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა ივანიშვილის მსგავსი ერისკაცის ლიდერობით საქართველოს შეუძლია, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო გახდეს!**

ღრმად მწამს ისიც, რომ დღეს **ბიძინა ივანიშვილის** ერთგულება საქართველოს გამთლიანების პროცესში მონაწილეობას ნიშნავს და ვინც ერისკაცის გვერდით ვდგავართ, ამაყად შევალთ საქართველოს ისტორიაში!

და კიდევ:

**ბიძინა ივანიშვილის გარდა არავის აქვს მორალური უფლება, გაერთიანებული საქართველოს მეთაური იყოს! დიახ, პრეზიდენტისა თუ პრემიერ-მინისტრის რანგში, სწორედ იგი უნდა ჩაუდგეს სათავეში გამთლიანებულ საქართველოს, რადგან მის გარდა ეს არავის დაუმსახურებია!**

**— ბოლოს კიდევ ერთხელ გკითხავთ — რამდენად რეალურია საფრთხე, რომ 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს და ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდეს?**

— დღეს სახელმწიფო ინსტიტუტები, უპირველეს ყოვლისა კი, ძალოვანი სტრუქტურები მოწოდების სიმაღლეზე დგანან და ქვეყანაში არეულობას არ დაუშვებენ. თუ რომელიმე უცხო სახელმწიფო პირდაპირ ომს არ გამოგვიცხადებს, საქართველოში ე.წ. მაიდანი და სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოხდება.

**თუ ვინმეს ტვინი უდუღს და ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობაზე ფიქრობს, პირდაპირ ვეუბნები — ისეთ დღეს დაგაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!** თქვენი დანდობა არ იქნება და ვერავინ გაგვაჩერებს, სანამ ყველა მოღალატეს სათითაოდ არ ამოვძირკვავთ!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**




**„იმედი მაქვს, ამერიკელი ხალხი დონალდ ტრამპის სახით ღირსეულ პრეზიდენტს აირჩევს და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაც ღირსების კალაპოტს დაუბრუნდება!“**

# „ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებას საშინელი სისხლისღვრა და ქვეყნის განადგურება მოჰყვება!“

**„აფხაზებმა მამა მხოლოდ იმიტომ დამიხვრიტეს, რომ ქართველი იყო, მაგრამ 2018 წელს, როცა ევროპის ერთ-ერთ ქალაქში აფხაზებს შევხვდი, ვუთხარი — ჩემი კუთხის შვილები ხართ და ძალიან მომენატრეთ, თქვენ ჩემი სული და გული ხართ-მეთქი!“**




მადლიერი აფხაზი დედის მიერ ლუკა კურტანიძისათვის გამოგზავნილი საჩუქარი

## კვირგვინოსნები

**ნინო ჟორჩხავა**
*ექსპერტი*



ჩვენს დღევანდელობაში ისეთი ჯადო აქვს პრეზიდენტის სავარძელს, რომ **სალომე ზურაბიშვილის ხელმეორე იმპიჩმენტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება** — იმპიჩმენტი ძალიან მცირეა იმ ღალატის შესაფასებლად, რასაც ის სჩადის.

„იმედინიუსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ვინც ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებას“ მხარი დაუჭიროს, უბრალოდ, შეხედეთ, **მგონი, ივანიშვილიც აღარ აპირებს 41 შემოხაზოს — ღარიბაშვილი რომ 41-ს არ შემოხაზავს,** ასპროცენტიან გარანტიას გაძლევთ.

„ინტერპრესნიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**რა ტექნიკური მთავრობა, რა მოწვეული ენჯეოშნიკური ე.წ. სპეციალისტები?** ბავშვები რომ ქვიშაში თამაშობენ, უფრო სერიოზულად ირჯებიან, ვიდრე **ზურაბიშვილი** და მასთან დაკავშირებული **აგენტოკრატიის** სხვა ვასალები.

„რეზონანსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სალომე ზურაბიშვილს** იმპიჩმენტი გამოუცხადა მოსახლეობის უმრავლესობამ და **ის აღარ მოიაზრება მათთვის ქვეყნის პრეზიდენტად.** ახლა რჩება სამართლებრივი ნაწილი, რასაც **ახალი მოწვევის პარლამენტი სისრულეში მოიყვანს.**

„იმედინიუსი“

# ნურავინ ეცდება, დაგვარწმუნოს, რომ ყოველი მეათე ქართველი ღვინოში ჩაშარდვასა და მამის გულზე ძაღლის დამარხვას აძლევს ხმას!

***წინა კვირას ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის საერთაშორისო ცენტრ „გორბის“ კვლევები გამოქვეყნდა.***

როგორც გვამცნეს, „გორბიმ“ პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით საქართველოში 18-დან 30 სექტემბრის ჩათვლით 1700 რესპონდენტს ერთადერთი შეკითხვით მიმართა — **„საპარლამენტო არჩევნები ამ კვირას რომ ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?“**

მიღებული პასუხები დააჯამეს, აწონ-დაწონეს და პარტიათა რეიტინგი შემდეგნაირად გადაანაწილეს: **„ქართული ოცნება“** — 59,5 პროცენტი, **ნაცმოძრაობა და მასზე ატორლიალებული პარტიები** — 13,6 პროცენტი, **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის გაერთიანება** — 10,3 პროცენტი, **მამუკა ხაზარაძე** — 4,5 პროცენტი, **გიორგი გახარია** — 3,8 პროცენტი, **იაგო ხვიჩიას „გირჩი“** — 2,7 პროცენტი, **პატრიოტთა ალიანსი და ალტინფო** — 2,5 პროცენტი, **სხვა პარტიები** — 3,1 პროცენტი.

დავიწყოთ იმით, რომ „გორბის“ კვლევები, როგორც წესი, ხშირად მართლდება და ჩვენს თვითმიზანს წინამდებარე რეიტინგების განქიქება-რევიზია ნამდვილად არ წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ გაოცებას ვერ ვმალავთ იმ შედეგის გამო, რაც **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის უბორნიას** დაუწერეს! დიახ, ჩვენ ამომრჩევლის ის 10,3 პროცენტი გვაფიქრებს და გვატირებს, რომელიც, თურმე, **ნიკუშა გვარამიას, ნიკანორ მელიას, ლიაკა ხოშტარიასა და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს** არჩევნებში აძლევს ხმას.

„გორბის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, გამოდის, რომ საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის მეათედი, ანუ **ასიდან ათი კაცი მზად არის, ჩააშარდოს ღვინოსა და „ბორჯომში“, გარდაცვლილ მამას გულზე ძაღლი დაამარხოს, ჩაიხადოს შარვალი, წაიკუზოს და მოტიტვლებული უკანალი რუსებს მიუშვიროს!**

იგივე ხალხი ფიქრობს — რაკი **პირი** მათი საკუთრებაა, ამ **პირით,** რასაც უნდა, იმას გააკეთებს! კერძოდ, უნდა, **პირს** აიმყრალებს, უნდა, ლაშა ბუღაძეს აკოცებს „ტინკი-ვინკიზე“, უნდა, ლევან ბერძენიშვილს უკბენს უკანალზე და უნდა, სოფო ჯაფარიძეს გაუღებს პირს, აქაოდა, „ღიმილიანი საქართველო“ მინდა, ყველა კბილი დამაძრე და უკბილო დამტოვეო!

„გორბის“ მიერ **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძისთვის** დაწერილი **10,3-პროცენტიანი რეიტინგი** კიდევ იმას ნიშნავს, რომ ქართველი ამომრჩევლის 10 პროცენტი მიესალმება **ლიაკა ხოშტარიას „ეფესბეს“ გაცხადებულ აგენტობას და რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცნობილი პუტჩისტის — ძაღლთაპირი გოგია ხოშტარიას დაფინანსებას,** რომელმაც საქართველოს ტელევიზიის შენობაში რეჟისორ გიორგი შენგელაიას ერთი ამბავი დააწია — ზვიადი საქართველოდან ცოცხალი როგორ გაუშვიო?!

**ეს ის ლიაკა ხოშტარიაა, რომელმაც საპატრიარქოს წითელი საღებავი შეასხა, ხოლო პოლიციის მანქანას „კაპოტზე“ შეახტა და სამართალდამცველს დაემუქრა — თავყბას დაგინგრევო!**

სხვათაშორის, ეს ამბავი **ხოშტარიას** რომ ხახვივით შერჩა, ხოლო **გრიგოლ ვაშაძეს** სპეცრაზმელისთვის თავში ჩარტყმა ეპატია, სწორედ ამის გამოა, საქართველო დღემდე რომ ვერ წყნარდება და შინაური თუ გარეული ჭკუას გვასწავლის.

მოკლედ, ამ „კვლევით“ ქართველ ერს ეუბნებიან და არწმუნებენ — **რაც გინდა, გაიჭაჭოთ და გულზე მჯიღები იბრაგუნოთ, ხომ ხედავთ, ყოველი მეათე ქართველი შარვალჩახდილი, უწმინდური, გარყვნილი, ეკლესიის მტერი, ბიუჯეტის ვირთხა, ქალობა და კაცობადაკარგული, უცხო ქვეყნის აგენტი, მოძალადე და სქესარეულია, რომელსაც პირი და უკანალი გაერთიანებული აქვს!** აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ **10,3 პროცენტში** ის ხალხიც მოიაზრება, რომელიც მზად არის, მამას გულზე ძაღლი დაამარხოს, ხოლო მამის დასაფლავება რესტორანში ივენთით აღნიშნოს და თავისნაირ ნაძირალებთან ერთად იხუნცულოს!

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ხალხი ასე წამხდარი და გადაგვარებული, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ არის და გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქროთ, რომ „გორბის“ მიერ ჩატარებული „კვლევა“, რომელიც **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის** გაერთიანებული საროსკიპოს რეიტინგს ეხება, აშკარად საზოგადოების „დაკვლევებას“ ემსახურება!

„გორბის“ ე.წ. კვლევა **გვარამია-მელია-ხოშტარია-ჯაფარიძის უბორნიასთან** მიმართებაში ისევე ახლოა სიგიჟესთან, როგორც **ზურაბ ჭიაბერაშვილი** და **გიორგი ჩალაძე** — სააკაშვილის გარშოკთან!

ეს არის ქართველი ერის მოღორებისა და გაბითურების ერთგვარი სპეცოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დეზორიენტაციასა და ყალბი წარმოდგენების დამკვიდრებას, თითქოს ქართველი ერი ისე დაჩაჩანაკდა და გაირყვნა, რომ ჩვენში **ღვინოში ჩამშარდველებს, შარვალჩახდილებს, მშობელი მამის გულზე ძაღლის დამმარხველებს, ეკლესიის მტრებსა და სქესარეულებს** საზოგადოებაში დიდი ფასი აქვთ, რომლებსაც ასეულობით ათასები პატივს მიაგებენ, ხმას აძლევენ და პარლამენტში ექაჩებიან!







## თუ ქართველი ერის 10 პროცენტი მართლაცდა იმ საროსკიპოს აძლევს ხმას, რომელსაც ნიკუშა, ლიაკა და ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილი წარმოადგენენ, მაშინ ეს ქვეყანა მართლაცდა გარყვნილი სააკაშვილისა და მისი სამგლეთის ღირსი ყოფილა!

ამ უწესოთა **10,3-პროცენტიანი რეიტინგის** წესიერ და პატიოსან საქართველოს არ სჯერა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო მდივანი*



ევროპარლამენტის რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **სააკაშვილი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს,** ნათელია, რომ პოლიტიკური დევნა შეუთავსებელია ევროპულ ღირებულებებთან.

„პირველი არხი“

**კახა ზაქარეიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილს** თამამად შემიძლია ვუთხრა, რომ ოპოზიციას ვერაფერს შესძენს კარგს და **ხმას თუ არ ამოიღებს, უკეთესი იქნება.** როგორც კი ოპოზიცია გაიმარჯვებს, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ **ისინი ყველაფერს გააკეთებენ სააკაშვილის ციხიდან გამოსაშვებად.**

„რეზონანსი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



26 ოქტომბერს **ქართველი ხალხი იმპიჩმენტს გამოუცხადებს „ოცნების“ რეჟიმს** და გაუშვებს სახლში.

„რეზონანსი“

**თეონა აქუბარდია**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



სასაცილოა ახალი პირობის გაჩენა **დეკემბერში პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით,** დეკემბერში საპრეზიდენტო ვადა ისედაც ეწურება.

„რეზონანსი“

**ბაჩუკი ქარდავა**
*პოლიტიკური ჯგუფის „ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“ წევრი*



26 ოქტომბრის შემდეგ **პრეზიდენტის იმპიჩმენტის** თავი გექნებათ კი არა, სარკეში საკუთარი თავის დანახვისა შეგეშინდებათ.

„ახალი თაობა“

# გენერალისიმუსი

№49 (285) ★ 2024 წლის 14 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან


# თუ გინდათ, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი შედგეს, წაუყენეთ სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას ეს ბრალდებები!

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

*საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი* ***დიმიტრი ლორთქიფანიძე,*** *რომელსაც საპარლამენტო კომისიის ფარგლებში უამრავი მაღალჩინოსანი ჰყავს გამოკითხული, დარწმუნებულია, რომ სახეზეა გაუგონარი ღალატი და დანაშაული, რომელსაც არჩევნების შემდეგ შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს:*





— 2016 წლის 4 ოქტომბერს, არჩევნებამდე სამი დღით ადრე, თბილისის ცენტრში, კოლმეურნეობის მოედანზე, **დარჩო ხეჩუაშვილთან და შოთა ჭიჭიაშვილთან** ერთად, გივი თარგამაძის აფეთქებაში მონაწილეობდა ვინმე **„დიმა“,** რომელთანაც ხეჩუაშვილს კონტაქტი ჰქონდა. შოთა ჭიჭიაშვილს ვიცნობდი და როგორც მონიტორინგის ჯგუფის წევრი და პარლამენტარი, ციხეში არაერთხელ შევხვედრივარ. ის გახლდათ რეციდივისტი, დედით ხევსური და მამით — ქისტი. პირველად ორთაჭალის კრიტში ვნახე, ხოლო მეორედ — მეშვიდე დაწესებულებაში, „კანონიერ ქურდებთან“. მაშინ მითხრა, რომ აპირებდა ისლამის მიღებას... ეს პიროვნება იყო ყველაზე სახიფათო და რთული საქმეების სერიული შემსრულებელი.

რაც გივი თარგამაძეს მოუწყვეს, ძალიან ჰგავს შოთა ჭიჭიაშვილის ხელწერას. გივი თარგამაძე მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობის დამმონტაჟებელმა **დარჩო ხეჩუაშვილმა,** რომელიც დათა ახალაიას კუდ-ის სპეცრაზმელია, დაუშვა ელემენტარული შეცდომა და აფეთქების ტალღა მიმართა არა მძღოლისა და მის გვერდით მჯდომი პირისკენ, არამედ — საბარგულისკენ! ასე რომ არა, გივი თარგამაძის სხეულის ნაფლეთებს ვერავინ იპოვიდა. კუდ-ს დარჩო ხეჩუაშვილის მსგავსი ამფეთქებლები მრავლად ჰყავდა... ასეთები ასევე იყვნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმშიც, რომელიც ბაჩო ახალაიას ექვემდებარებოდა. აფეთქების მოწყობის სპეციალისტები ჰყავდათ ფინანსურ პოლიციაშიც, რომლებიც პირდაპირ **დავით კეზერაშვილის** ბრძანებებს ასრულებდნენ. აი, მაგალითად, **კობა დავითაშვილს** უშუალოდ კეზერაშვილის სპეცრაზმელები დაესხნენ თავს. დამნაშავეები ცნობილი არიან... ღრმად ვარ დარწმუნებული,

**2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ისეთი საქმეები ამოტივტივდება და ისეთი მყარი არგუმენტები დაედება დენაციფიკაციის პროცესს, რომ ყველანი სახტად დავრჩებით!**

**— აქამდე რა უშლიდა ხელს დენაციფიკაციას?**

— ნუ განვსჯით ამ ხელისუფლებას! უკრაინის ომის დაწყებამდე და მრავალპოლუსიანი მსოფლიოს გამოცხადებამდე, გლობალური დასავლეთის ნებისმიერი სურვილი და კაპრიზი სრულდებოდა. ე.წ. კოჰაბიტაციაც მათი კაპრიზი და სურვილი იყო, რომელიც უნდა შესრულებულიყო.

**— თარგამაძის აფეთქებაში თქვენ ახსენეთ ვინმე „დიმა“, რომელიც დარჩო ხეჩუაშვილთან კონტაქტობდა... ვინ არის ეს კაცი?**

— **„დიმა“** უნდა ვეძებოთ ისევ და ისევ **კუდ**-ის, სასჯელაღსრულების სპეცრაზმისა და ფინანსური პოლიციის სპეცრაზმის პირად შემადგენლობაში. საერთოდ, ამ სამი სპეცრაზმის პირად შემადგენლობაში შერჩეული ჰყავდათ 20-30 კაცი, რომელიც ყველაზე ბინძურ დავალებას ასრულებდა. აი, მაგალითად, ნავთლუღის ბაზარში რომ სრულიად უდანაშაულო აჭარელი ბიჭები დახვრიტეს, ეს ბინძური დავალება **დათა ახალაიას** კუდ-ის სპეცრაზმმა შეასრულა. **დათა ახალაიაზე** ამ დანაშაულის გამო დაუსწრებელი განაჩენი გამოტანილია, მაგრამ საბერძნეთიდან მისი ექსტრადირება ორჯერ ვერ განხორციელდა ისევე, როგორც ვერ განხორციელდა **დავით კეზერაშვილის** ექსტრადირება პარიზიდან. კეზერაშვილი 2015 წელს დააკავეს მონაკოში, ამოიღეს პირადი ნივთები, ასევე ნივთიერი მტკიცებულებები და აურაცხელი ოდენობით ნაღდი ფული. საფრანგეთის გენერალურმა პროკურორმა ეს ყველაფერი საქართველოში გადმოაგზავნა, მაგრამ იმდენად დიდი წნეხი იყო საქართველოს ხელისუფლებაზე, **კეზერაშვილის** დაპატიმრება და ექსტრადირება მაინც ვერ მოხერხდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ამის შემდეგ კეზერაშვილის სახელი და გვარი ამოტივტივდა იარაღით უკანონო ვაჭრობისა და ქოლცენტრების საქმეში. ეს უკვე საერთაშორისო მაფიაა. არ დაგავიწყდეთ, ვინ არის **დავით კეზერაშვილი!** იგი გახლავთ წაგებული ომის მინისტრი, რომელიც პოლიტიკაში მოვიდა „კალოშებით“ და წავიდა ოფშორებში გაზიდული პარტიული „ობშიაკითა“ და მილიარდებით! ამ ფულის უკან არ დგანან მხოლოდ **სააკაშვილი, თემურ ალასანია და გიული ალასანია,** ეს არის საერთაშორისო **გლობალური ომის პარტიის** ფული.

სხვათაშორის, **გლობალური ომის პარტია** პირველად ახსენა პრეზიდენტმა **დუაიტ ეიზენჰაუერმა,** ხოლო **ჯონ კენედი** შეეწირა მასთან ბრძოლას. არც ის დაგვავიწყდეს, რომ 2003 წელს გლობალურმა ომის პარტიამ მოკლა სერბეთის პრემიერ-მინისტრი **ზორან ჯინჯიჩი,** რომელიც ისტორიის ნათელ მხარეს იდგა და არ აპირებდა კოსოვოსა და მეტოხიის აღიარებას! ამას იმიტომ ვამბობ, **ნაძირალები ბიძინა ივანიშვილს რომ დასცინიან — აკვარიუმში იმალება და შუშებშია გამომწყვდეულიო, საფრთხე მართლაც რეალურია... ახლა ჩვენ ისეთ ომში შევდივართ, ამ უბინძურესი და საშიში ძალისგან ყველაფერია მოსალოდნელი.** ამიტომ, როგორც უშიშროების ძველი მუშაკი, ვიწონებ იმ უსაფრთხოების ზომებს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის დაცვა მიმართავს!

**— „ქართული ოცნება“ მოსახლეობას ჰპირდება, რომ არჩევნების შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავენი გასამართლდებიან! თქვენ მაშინ საპარლამენტო კომისიის წევრი იყავით და მაინც რა დანაშაული აქვთ ჩადენილი სააკაშვილსა და ნაცხროვას საქართველოს წინააღმდეგ?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **სააკაშვილიც,** მაშინდელი პრემიერ-მინისტრი **ლადო გურგენიძეც** და ასევე უშიშროების საბჭოს მდივანი **კახა ლომაიაც** სახელმწიფო დამნაშავეები არიან და დიდი ხნით ციხეში უნდა ისხდნენ!

ომის დროს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მალხაზ აკიშბაია** ქვეყნიდან გარბოდა, ხოლო **კობა ნაყოფია** ომის დაწყებიდან მეორე დღესვე — 8 აგვისტოს უკვე მოსკოვში იყო! ტალიავინის დასკვნის დადებიდან მეორე დღესვე საქართველოში სააკაშვილისა და მისი ხროვის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გლობალურმა ომის პარტიამ „ქართულ ოცნებას“ ამ გამოძიების დაწყების უფლება არ მისცა. **ეროსი კიწმარიშვილის** მკვლელობა რომ გამოვიძიოთ, აუცილებლად მივალთ 2008 წლის აგვისტოს ომამდე. ვიცი, რასაც ვამბობ, რადგან ვესწრებოდი იმ კომისიის სხდომებს და პირადად მყავს დაკითხული **სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა** და უამრავი მაღალი თანამდებობის პირი.

**დავით კეზერაშვილმა** ოსიაურში უკრაინიდან შემოიტანა იარაღი, რომელიც იყო მთლიანად უვარგისი. ეს საქმე იმდენად გახმაურდა, 2010 წელს იძულებული გახდნენ, გამოძიება დაეწყოთ, მაგრამ საქმე მიაფუჩეჩეს. ამ დანაშაულის ყველა ფიგურანტი ცნობილია. აი, მაგალითად, სააკაშვილის დროს გენერალი **ზაზა გოგავა** დაინიშნა გაერთიანებული შტაბების მეთაურად, რომელსაც არავითარი სამხედრო განათლება არ ჰქონდა! იგი უშიშროების სპეცრაზმ „ომეგას“ წევრი იყო, რომელსაც მე ვკურირებდი. დღეს რომ პოლიტიკას აფარებენ თავს, დამნაშავეები არიან, რადგან ისეთ სამხედრო ავანტიურაში მონაწილეობდნენ, რასაც მათი კომპეტენცია ვერ სწვდებოდა. მაგალითად, **ვანო მერაბიშვილი** იყო ტოპოგრაფი, რომლის კარიერაც პირდაპირ უკავშირდება დავითგარეჯის გაყიდვის ისტორიას, რაც დაკავშირებულია მსოფლიო ბანკის ოპერირებასთან საქართველოში და ასევე სააკაშვილის ბრძანებასთან **მერაბიშვილის, ადეიშვილისა და კეზერაშვილისადმი,** რათა გაექროთ 150-ათასიანი და 200-ათასიანი მასშტაბის რუკების, მათ შორის, იზოჰიბსებიანი რუკების კვალი საქართველოში. **ივერი მელაშვილი** 1980 წლიდან მუშაობდა მიწათმოწყობის სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტში რიგით მიწათმომწყობად. **ვანო მერაბიშვილმა** ივერი მელაშვილი ჯერ მსოფლიო ბანკის პროექტში ჩართო, სადაც მისი შპს „გეო“ მონაწილეობდა და უზარმაზარი თანხები აშოვნინა, ხოლო შემდეგ, როგორც სანდო პირი და გადმობირებული აგენტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა!

ზუსტად ისეთივე ფიგურაა **ნატალია ილიჩოვაც,** ანუ სინამდვილეში **ნატალია ბადალიანი,** რომელიც კაპიტანმა **ეკა ზიზაურმა** „დაავერბოვკა“! სწორედ **ნატალია ილიჩოვა-ბადალიანი** მიუყვანეს ივერი მელაშვილს მარჯვენა ხელად, რომელსაც არც აკადემიური ხარისხი აქვს და არც სახელმწიფო ენა — ქართული იცის!

**— მივუბრუნდეთ ომის დანაშაულებს!**

— დაკითხვებმა გამოავლინა, რომ ფორმალურმა პრემიერ-მინისტრმა **ლადო გურგენიძემ** საერთოდ არაფერი იცოდა, ხოლო ვანო მერაბიშვილი, სააკაშვილი და უგულავა აცხადებდნენ, რომ ისინი რუსეთის მხრიდან ამოდენა აგრესიას არ ელოდნენ! ჩემი გენერალური შეკითხვა ყველას მიმართ ასეთი იყო — **რატომ არ ამოქმედდა ჟენევის კონვენციით გათვალისწინებული ევაკუაციის გეგმა და რატომ არ გაიხსნა მოსახლეობისთვის თავშესაფრები?** აღმოჩნდა, რომ თბილისში არსებული 407 თავშესაფრიდან უგულავასა და სააკაშვილს ყველა გაყიდული ჰქონდათ, ხოლო მართვის გენერალური პუნქტი, რომლის ადგილსამყოფელსაც ვერ დავასახელებ, საერთოდ არ მუშაობდა. თავშესაფრების გაყიდვებში ჩართული იყო **საფოსტო ბანკი.** ჩემი დასკვნა იყო უმწვავესი, რაშიც მხარი დამიჭირა ამერიკის ელჩმა **უილიამ კორტნიმ.** სხვათაშორის, სწორედ ამერიკის საელჩოს ზეწოლით მიეცა რეკომენდაცია პროკურატურას, რომ **კეზერაშვილის** წინააღმდეგ დაეწყო გამოძიება. წარმოგიდგენიათ, ომის დაწყებიდან მეორე დღეს გათიშეს კავშირგაბმულობა და სამხედრო ნაწილებს შორის კავშირი გაწყვიტეს. ოფიცრები მობილურებით ურეკავდნენ ერთმანეთს... **სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ 43-ე ბრიგადა შეეწირა რუსულ „კა-52“-ებს, რომლებიც ღამის თბომაძიებლებით იყვნენ აღჭურვილი.** ჩვენს საიდუმლო კავშირგაბმულობას ამერიკული კომპანია „მოტოროლა“ ახორციელებდა. ეს იყო ინდივიდუალური დაშიფვრის რეჟიმზე მომუშავე რაციები, რომელთა მოსმენაც წარმოუდგენელი იყო, მაგრამ კავშირგაბმულობა ამ მოღალატეებმა მთლიანად გამოიყვანეს მწყობრიდან!

**— ეს მიზანმიმართულად მოხდა?**

— **ეს იმ გამოძიებამ უნდა თქვას, რომლის დაწყების პირობაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საქვეყნოდ დადო!** გორი არ დაიცვეს და განგებ მიუგდეს რუსებს, რათა იქ საშინელი კატასტროფა მომხდარიყო და მერე ამით რუსულ-ქართული ურთიერთობები სამუდამოდ ჩაეხერგათ!

**აი, რატომ არ უნდა გამოვიდეს სააკაშვილი ციხიდან! საერთოდ, თუ გინდათ, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი შედგეს, წაუყენეთ სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას ეს ბრალდებები!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**გორი არ დაიცვეს და განგებ მიუგდეს რუსებს, რათა იქ საშინელი კატასტროფა მომხდარიყო და მერე ამით რუსულ-ქართული ურთიერთობები სამუდამოდ ჩაეხერგათ!**

## „აი, რატომ არ უნდა გამოვიდეს სააკაშვილი ციხიდან!“

# პაატა აბულაძე:



# აშკარად იკვეთება საფრთხე, რომელიც მაიდანზე და თვით სისხლისმღვრელ ომზეც კი მეტია!

## ვეტერანის თვალით ★

*„— მაიდანი არ შედგება! მაგრამ უახლოეს მომავალში მაიდანზე დიდი განსაცდელი გველის!“* ***— გვითხრა ტერიტორიული მთლიანობისათვის ომების ვეტერანმა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა პაატა აბულაძემ:***

— სოდომისტურ დასავლეთს არ დარჩა არანაირი რესურსი, რათა საქართველოში გადატრიალება მოახდინოს და სათავეში მისი მარიონეტი ძალა მოიყვანოს, რადგან რეგიონში საფუძვლიანად შეიცვალა გეოპოლიტიკური მდგომარეობა კოლექტიური დასავლეთის საწინააღმდეგოდ.

პოლიტიკურ დაფაზე დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ დასავლეთი აკეთებდა სვლებს, ამჟამად გარემოება შეიცვალა — ამერიკას ავღანეთიდან სამარცხვინოდ გამოქცევა მოუწია, პარალელურად, პლანეტაზე როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით — თანდათან მოძლიერდნენ ტრადიციული მსოფლმხედველობის მატარებელი ეროვნული სახელმწიფოები — **ჩინეთი, რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი...** ამ სახელმწიფოებმა შექმნეს კოლექტიური დასავლეთის ალტერნატიული ალიანსები. **მსოფლიო ერთპოლუსიანი რომ აღარ არის, ეს კარგად გამოჩნდა თავდაპირველად ყაზახეთში და სულ ახლახან — ვენესუელაში, სადაც დასავლეთი ხელისუფლებების დამხობას აპრობირებული სცენარით ცდილობდა, მაგრამ სასტიკი ფიასკო იწვნია!** ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული, რომ საქართველოში დასავლური სცენარით დესტაბილიზაცია არ დაუშვან.

**— და მაინც, თუ თბილისის ცენტრში არჩევნების შემდეგ ვითარება ავის მომასწავებლად დაიძაბა, სიტუაციის გასანეიტრალებლად რას იღონებენ ჩვენი მეზობლები?**

— ცხადია, საქართველოდან დესტაბილიზაცია მთელ კავკასიას გადაედება და მართული ქაოსის გასახანგრძლივებლად ჩვენთან შემოაღწევენ „ალქაიდა“, „დაიში“, ამერიკელების შექმნილი სხვა ორგანიზაციებიც, რასაც დაგეგმილი პროექტების შეჩერება ან, სულაც, ჩაშლა მოჰყვება. ამიტომ ჩვენი მეზობლები პრინციპულად არ დაუშვებენ ასეთ მოვლენას, თუნდაც თავად დასჭირდეთ საქართველოში სამხედროების შემოყვანა. მარტო რუსეთზე საუბარი არ არის, აზერბაიჯანის და თურქეთის ინტერესებიც გასათვალისწინებელია!

რაც შეეხება რუსეთს, შეგახსენებთ, რომ კანონი აქვთ მიღებული, რომ მოსალოდნელი საფრთხის გასანეიტრალებლად უცხო ქვეყანაშიც იომებენ. ასეთ მიდგომაში გასაკვირი არაფერია — ამერიკა ხომ რახანია, სწორედ ამერიკისთვის სასურველ წესრიგს ამყარებს არამხოლოდ სამეზობლოში, ოკეანის გაღმაც! უკრაინაში მყოფი „ქართული ლეგიონი“ რუსეთს ტერორისტულ ორგანიზაციად აქვს აღიარებული და, თუ „ნაცურ რევოლუციაში“ „ქართული ლეგიონიც“ მიიღებს მონაწილეობას, როგორც ამას დიდი ხანია, აანონსებენ, ეს პირდაპირი საფუძველი გახდება საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსასვლელად. შემოსვლაც არ დასჭირდებათ — ისედაც ყურის ძირში იმყოფებიან, ცხინვალთან. უფრო მეტიც, **როგორ გგონიათ, ირანი დაუშვებს, რომ თბილისიდან აფრენილმა ამერიკულმა ბომბდამშენებმა ცეცხლი გაუხსნან?**

შეგახსენებთ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის შარშანდელ განცხადებასაც აქციების პერიოდში: „საქართველოში შექმნილი გარემოება საფრთხეს უქმნის თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას!“ ამის შემდეგ აქციები ძალიან მალე დასრულდა. მართალია, საქართველოში ომის გაჩაღებისა და ლიბერასტული დღის წესრიგის დამყარების მომხრეები აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ ამასობაში ამ თემების მიღმა შეიძლება ისეთი საფრთხე გამოგვეპაროს, რომელიც მაიდანზე და თვით სისხლისმღვრელ ომზეც კი მეტია!

**— ომზე მეტად საშიში რაღა უნდა იყოს?**

— ახლო აღმოსავლეთში სამხედრო და ჰუმანიტარული კრიზისია. უკვე ასეულათასობით ადამიანი აიყარა საცხოვრებელი კერებიდან. ლიბანიდან და იემენიდან ლტოლვილების თვალუწვდენელი ნაკადები თურქეთისკენ მოემართებიან, რათა იქიდან ევროპაში და შუა აზიაში გადაინაცვლონ. გერმანიამ, საფრანგეთმა და ესპანეთმა საზღვრები ჩაკეტეს. პოლონეთის პრეზიდენტმა პირდაპირ ლტოლვილების მიმართულებით ცეცხლის გახსნაც მოითხოვა, თუ ისინი მის ქვეყანაში შესვლას შეეცდებიან! **ვოლოდიმირ ზელენსკი** კი ლტოლვილების უკრაინაში მისაღებად მზადყოფნას აცხადებს. **ახლა მთავარი ის არის, ლტოლვილები რა გზით დააპირებენ ევროპისკენ და შუა აზიისკენ მსვლელობას და მათი გზა გაივლის თუ არა საქართველოზე!** ევროპა უზარმაზარ თანხებს ხარჯავს, რათა თურქეთის ტერიტორიაზე კარვებში მყოფი დევნილები მისი მიმართულებით არ გაატაროს. საქართველოს, როგორც ქვეყანას, არსებობა აღარ უწერია, თუ ჩვენს ტერიტორიაზე ლტოლვილების ნაკადები შემოაღწევენ, რადგან მუსულმან დევნილთა დიდი რაოდენობით საქართველოში შემოსვლა მთლიანად შეცვლის დემოგრაფიულ ბალანსს ადგილობრივი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ; ამასთან, გაგვინადგურებს ეკონომიკას და, რაც ყველაზე მთავარია, ეს ხალხი თავის ენას და კულტურასაც შემოიტანს, რაც ლიბერასტებისგან ისედაც შევიწროებულ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას მომენტალურად კოლაფსში ჩააგდებს.

**— ამ საფრთხეს როგორ უნდა გავუმკლავდეთ?**

— ამ საფრთხეს დამოუკიდებლად ვერ გავუმკლავდებით, ამიტომ სასწრაფოდ რუსეთთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობა და აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთს თავადაც არ აწყობს, კავკასიაში ბალანსი ქრისტიანული მოსახლეობის საზიანოდ შეიცვალოს. ჩვენი სამეზობლო საკუთარ პრობლემებს დიალოგში ჩვენი მონაწილეობის გარეშეც გადაწყვეტს, თუმცა, ჩვენი სიჯიუტის გამო ეს საქართველოს ხარჯზე მოხდება! სამეზობლოსთან ურთიერთობების დალაგება კი მაიდანსაც აგვაცილებს და ლტოლვილების საფრთხესაც!

**— უკრაინის ფრონტზე რა ხდება?**

— რუსები წარმატებით მიიწევენ წინ, უკრაინის სიღრმეში. უკროფაშისტებმა 16 ათასი ბოევიკი დაკარგეს, აღარც მძიმე ტექნიკა შერჩათ და ამჟამად რუსების სამიზნედ იქცნენ, რომლებიც მათ გადარჩენის ერთადერთ საშუალებას უტოვებენ — ტყვედ ჩაბარებას! თუმცა, ეს ულტიმატუმიც კი არ ვრცელდება დაქირავებულ უცხოელ ბოევიკებზე და ნაცისტური მსოფლმხედველობის უკრაინელ სამხედროებზე, რომლებიც უკვე სახელობითად არიან ამოცნობილნი. მახსენდება ცნობილი რუსი მხატვრის **ილია რეპინის** ტილო — **„ჯვაროსნული სვლა კურსკის გუბერნიაში“,** რომელზეც ასახულია მე-19 საუკუნის მიწურულს კურსკში ღვთისმშობლის ხატის (Курская Коренная икона Божией Матери) მიმართ უჩვეულო თაყვანისცემა, რაც რუსის მენტალობაშია გამჯდარი.

**გამორიცხულია, რუსმა თავის ძირძველ მიწაზე, რომელზეც ღვთისმშობელს პატივს მიაგებს, ან მიხაკისფერი ფაშიზმი, ან ე.წ. ფერადი ჭირი, ლგბტ ფაშიზმი აბოგინოს! არც კიევს დათმობს, სადაც უდიდესი მართლმადიდებლური სავანე — კიევ-პეჩორის ლავრა ეგულება, რომელსაც დროებით ანტიქრისტეს ხროვა** დაეპატრონა და შეურაცხყოფს.

ახლახან თვით **ბორელმა** განაცხადა, რომ უკრაინის დამარცხების შემთხვევაში, ევროკავშირის არსებობა ეჭვქვეშ დადგება! **მართლაც, ბუნებრივია, ლიბერასტული ფაშიზმის ფიასკოს ევროკავშირის დაშლა მოჰყვეს და პლანეტის პოლიტიკური რუკაც საფუძვლიანად და ობიექტურად შეიცვალოს.** ქართველებს ისტორიული არჩევანის საშუალება გვეძლევა — ან გავაგრძელოთ სირაქლემის როლში ყოფნა და „ღირსებით ევროკავშირისკენ“ სწრაფვა, რომელსაც, ბიბლიური ბაბილონის გოდოლის მსგავსად, გარდუვალი კატასტროფა მოელის, ანდა ბოროტებაზე სიკეთის პლანეტარული მასშტაბით გამარჯვების დიადი პროცესის თანამონაწილენი გავხდეთ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



კურსკის ღვთისმშობლის ხატი



ილია რეპინის ტილო – „ჯვაროსნული სვლა კურსკის გუბერნიაში“

---



# მიხეილ კვესელაავა

## ახ

*იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“*

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-48*

### უნამუსო ერთგულება...

ერთხელ მეც მქონდა მასთან საუბრის შემთხვევა. ვიცოდი, ბანაკში, საწერ მაგიდაზე რომ ვიღაც ულვაშებიანი პატიმრის მოჭრილი და გამხმარი თავი ედო, წითელი ხის ლამაზ კვარცხლბეკზე დადგმული. შოუკროსმა ის პროცესზე წარმოადგინა, როგორც საბრალდებო მასალა. მე ძალიან მაინტერესებდა, რად უნდოდა ეს მოჭრილი თავი ჰოსს. საწერ მაგიდაზე ხომ ჩვეულებრივ რამე ლამაზ ნივთს დგამენ, ვთქვათ, ბრინჯაოს ფიგურას, ვინმე გამოჩენილი ადამიანის ბიუსტს ან სხვა რამეს, რასაც ალეგორიული ან სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, თვალს ესიამოვნება და გონებისთვისაც სასარგებლოა.

აგერ 30 წელიწადია, რაც ჩემს მაგიდაზე ჩაფიქრებული მეფისტოფელის ფიგურა დგას, ანტოკოლსკის ნამუშევარი. როცა იმას ვუყურებ, ყოველთვის ის O, homo, fuge!.. მახსენდება და ცდუნების წინაშე თავის შეკავებაზე ვფიქრობ, ადამიანის გამხმარი თავის ქალა კი... გაუგებარია, რას უნდა გამოხატავდეს ეს? მითუმეტეს, რომ ახალმოჭრილის შთაბეჭდილებას ტოვებს: მაღალი ნათელი შუბლი აქვს, უკან გადავარცხნილი შავი თმები, გრძელი, ძირს დაშვებული ულვაშები და რბილად დახურული ქუთუთოები, თითქოს თვლემსო, სახეზე კი იმასაც ირონიული ღიმილი უთამაშებს, რასაც კიდევ უფრო შესამჩნევს ხდის ოდნავ გახსნილი ტუჩებიდან მოკიაფე თეთრი კბილები...

ამაზე რომ ვკითხე, ჰოსმა რაღაც „ფსიქიკურ ტრანსზე“ დაიწყო ლაპარაკი, „პერმანენტული განწყობილების სიმყარეზე“.

— როცა დახვრეტებს აწარმოებ ან გაზკამერებში მიერეკები ხალხს, — თქვა მან, — ისეთ „ფსიქიკურ ტრანსში“ შედიხარ, რომ ეს საშინელი სურათები შენს ნერვულ სისტემაზე არ მოქმედებს, არ გაღელვებს, არც სინანულის გრძნობას იწვევს და „სიბრალულის იმუნიტეტს“ გიმუშავებს, ოღონდ უნდა ეცადო, რომ ამ „ტრანსიდან“ არ გამოხვიდე...

ამისათვის, ჰოსის აზრით, საჭიროა, ყოველთვის ერთსა და იმავე ბუნებრივ მდგომარეობაში იყო.

— დახვრეტებს რომ მორჩები და კაბინეტში შეხვალ, იქაც ადამიანის მოჭრილ თავს უყურებ და არ კარგავ ერთხელ უკვე გამომუშავებულ განწყობილებას, —




**ჰანს ფრანკი, რომელმაც პოლონეთში 3 მილიონზე მეტი ადამიანი გაჟლიტა და „სიამაყის გრძნობით“ მოახსენა „თავის ფიურერს“: ჩემს საგენერალ-გუბერნატოროში ებრაელები და ტილები მოსპობილიაო...**

დაასკვნა მან...

...მოხდა ისე, რომ ციხის სასადილოში ჰოსი პირადადაც შეხვდა თავის შემქმნელებს. ყველა ამრეზილად უყურებდა მას, გარდა გერინგისა. არც არავინ ისურვა „იმ ჭუჭყიან ღორთან“ საუბარი. გერინგი კი სამი მილიონი კაცის მოსპობის „ტექნიკური საკითხებით“ დაინტერესდა:

— როგორ შეიძლებოდა ერთ ბანაკში ამდენის მოსპობა? — იკითხა მან.

ჰოსმა აუხსნა გაზკამერების, კრემატორიუმებისა და კონვეიერების ტექნიკური დეტალები: ერთ სეანსზე ორი ათასი კაცი მიჰყავდათ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა, თურმე, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილიყო.

— ვინ იძლეოდა ამის ბრძანებებს? — ჰკითხა გერინგმა,ვითომ თვითონ არ იცოდა ეს!

მოვლენ ახალი თაობები, — განაცხადა მან, — რომლებიც გაეცნობიან ამ საშინელ ამბებს და შეძრწუნებულნი იტყვიან: ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს შესაძლებელი იყო?! არა, ამას არ შეიძლება დანაშაული ეწოდოს. „დანაშაული“ ძლიერ რბილი სიტყვაა ამის გამოსახატავად. ქურდობა — ესაა დანაშაული, კაცის მოკვლა — ესეც დანაშაულია. ამგვარი საშინელება კი ყოველივე ამას აღემატება! მასობრივი მკვლელობანი, ორი ათასი კაცისა ერთად! ოქროს კბილები და ბეჭდები — რაიხსბანკში! თმები — ლეიბებისათვის! ღმერთო ძლიერო!.. და ყოველივე ეს ერთი დემონის ბრძანებით, რომელიც ადამიანის სახით მოევლინა ქვეყანას!..

ამას ამბობდა კაცი, რომელმაც სამ მილიონზე მეტი ადამიანი გაჟლიტა პოლონეთში და „სიამაყის გრძნობით“ მოახსენა გერინგი თითქოს მოტყდა. Donnerwetter!.. ისევ ეს მასობრივი მკვლელობანი!.. და ხმას დაუწია:

— მაინც არ უნდა თქვათ ასე. ან შირახს რა უფლება აქვს, ჯალათი უწოდოს მას? მე ვიცი, რასაც იტყვით ამაზე: ეს სიმართლეაო... შეიძლება, მაგრამ სხვაგვარად მაინც თქვას...

ის ჯილბერტი კი სულ კბილის მატლივით შეუჩნდა გერინგს:

— როცა ჰიტლერს ერთგულად ემსახურებოდით, მაშინაც ხომ იცოდით, რომ ჯალათი იყო? — ჰკითხა მან უკვე მოტეხილ გერინგს.

ის კი უცებ აფეთქდა:

— კი მაგრამ, ღმერთო მაღალო! ჯანდაბას თქვენი თავი და ტანი! მე ხომ არ შემიძლია, ავდგე და იმ ტილიანი შირახივით ვიძახო, ჩვენი ფიურერი ჯალათი იყო, რომ ხელკეტებით შეიარაღებულ თეთრმუზარადიან პოლიციელებს მოუხდათ „კამათის“ შეწყვეტა...

## ქალბატონი - ნომერი პირველი...

მეორე დღეს შავი ლიმუზინი გავიდა ნიურნბერგიდან და გეზი ზაკლინგენის ტყისაკენ აიღო. მშვენიერი დარი იდგა. ირგვლივ ნაადრევი გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა. ნაზამთრალი ხეები ჯერ კიდევ არ იყო მწვანით შემოსილი, მაგრამ კვირტები კი სკდებოდა უკვე. მანქანა ისარივით მიქროდა ფართო ავტოსტრადაზე... მძღოლთან ისევ ის ჯილბერტი იჯდა და რაღაც სიმღერას ღიღინებდა თავისთ-



# ერგასის დღე

— ჰიმლერი, ჰიტლერის დავალებით, — მიუგო ჰოსმა.

აქ ისევ ჯილბერტმა „უკბინა“ ყოფილ რაიხსმარშალს:

— ხედავთ? ესეც ერთგულია ფიურერისა!

გერინგი გაბრაზდა:

— ერთგულება კი არა, ეს მოვალეობაა! აბა, რა გამოვა, რომ ყველა ოფიცერმა უარი თქვას უფროსების ბრძანებათა შესრულებაზე!..

ჯილბერტმა ვეღარ მოითმინა და სიტყვა შეუნაცვლა:

— ასეთმა ბრმა ერთგულებამ გამოიწვია ამდენი დანაშაული!

აქ მან ჯიბიდან ადგილობრივი გაზეთი „Nürnberger Nachrichten“ ამოიღო და გაბრაზებულ გერინგს უჩვენა უზარმაზარი ასოებით აწყობილი მეთაური: „უნამუსო ერთგულება“. თან დასძინა:

— აჰა, წაიკითხეთ და გაიგეთ, რას ფიქრობენ ახლა გერმანელები ასეთ უნამუსო ერთგულებაზე!

გერინგმა ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— მე სულაც არ მაინტერესებს, რას ჯღაბნიან ამერიკული კონტროლით გამოცემული გერმანული გაზეთები!

...როგორ არ აინტერესებდა, მაგრამ უნდოდა, ისტორიის წინაშე გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის წამებულად გაესაღებინა თავი... ის ხალხი კი უკვე ზიზღით აქცევდა მათ ზურგს... ხალხი კი არა, თვითონაც ამას ცდილობდნენ. შიშით თუ შეგნებით, სულერთია, ასე კი იყო. განა დამახასიათებელი არ არის, რომ პროცესზე არ აღმოჩნდა არცერთი ბრალდებული, რომელსაც ეცადა, მაინც დაეცვა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის პოლიტიკა, რასაც ასეთი გაშმაგებით ქადაგებდნენ წლების განმავლობაში... მე ვამბობ, არცერთი! ის კი არა, თითქმის ყველა მათგანი თითს თავიანთი ყოფილი ფიურერისაკენ იშვერდა და იძახდა:

მაგან ჩაიდინა მთელი ეს საშინელება!..

შირახმა „თავის ფიურერს“ საჯაროდ ჯალათი უწოდა.

— ჩემი დანაშაული ის არის, რომ მე ვზრდიდი ახალგაზრდებს ადამიანისათვის, რომელიც ჯალათი აღმოჩნდა, — უკვე მერამდენედ იმეორებდა იგი.

ფრანკმა სულ იუდა ისკარიოტელის პოზა მიიღო:

— საუკუნეები გაივლიან და „თავის ფიურერს“ — „ჩემს საგენერალგუბერნატოროში ებრაელები და ტილები მოსპობილია...“

ფარისევლობა ამაზე შორს სად წავა!..

... ერთი მხოლოდ გერინგი ცდილობდა „ფიურერის ღირსების“ დაცვას... ისიც ორჭოფულად. უნდოდა, ეთქვათ: ერთი კაცი ხომ მაინც აღმოჩნდა ბოლომდე ჰიტლერის ერთგულიო. ციხეში იგი ესაუბრა კიდეც რიბენტროპს ამის შესახებ. ის კი არ იცოდა, როგორღაც ეს საუბარიც რომ იწერებოდა „ისტორიისათვის“, და ძალაუნებურად ამხილა თავისი თავი. ჯერ, „ჰიტლერი გერმანელი ერის ინტერესებისათვის ბრძოლას შეეწირა“, ასე ვთქვათო, მაგრამ თვითონვე შეეჭვდა ამაში და ადრევე ნათქვამი გაიმეორა:

— ო, ეს მასობრივი მკვლელობანი! ამას რა უნდა ვუყოთ, ვინ დაიჯერებს, რომ ამ საშინელებას რამე კავშირი აქვს ერის ინტერესებთან!..

ეს არც არავის სჯეროდა, ბრალდება და საზოგადოებრივი აზრი კი დაჟინებით მოითხოვდა პასუხს კითხვაზე:

— ვინ იძლეოდა ასეთ განკარგულებებს?

რა უნდა ეთქვათ? გერინგმა კი უთხრა რიბენტროპს: არა, ჩვენ არ უნდა ვთქვათ, რომ ჰიტლერიო. ჯერ არც ის ამბობდა ამას, მაგრამ ჯილბერტმა უკუღმართად შეუბრუნა კითხვა:

— მაშ, ვინ? იქნებ თქვენი განკარგულებით ხდებოდა ეს?

გერინგს შეეშინდა.

— არა, ჩემით არა! — იყვირა მან.

იქვე მდგომ ფრიჩეს გაეცინა:

— რა თქმა უნდა, არა, — ირონიულად ჩაილაპარაკა მან, — ეს განკარგულებები, თურმე, რომელიღაც სერჟანტს გაუცია!

ზაუკელმა დატუქსა ფრიჩე:

— რა საჭიროა საერთოდ ამაზე ლაპარაკი! ეს არცხვენს ჩვენს სამშობლოს!..

გერინგმაც ხმას აუწია და ისე მიმართა ყველას:

— ნუ გავიწყდებათ, რომ ჰიტლერი სახელმწიფოს მეთაური იყო!

— ნაცისტური სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც გაჟლიტა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი! — ჩაერია მათ საუბარში პაპენი.

თი იყო-მეთქი. რატომ გავიწყდებათ, რომ ის ჩვენთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე პიროვნება!..

ამაზე თითქმის ყველა მიესია გერინგს და, რაც შეეძლოთ, ლანძღეს თავიანთი ყოფილი ფიურერი... შტრაიხერი დუმდა მხოლოდ, კაიტელიც განზე იყო გამდგარი... რიბენტროპი კი საერთოდ არ იღებდა ხმას ასეთ დროს.

გერინგმა რომ დაინახა, როგორ აუჯანყდნენ მოციქულები თავიანთ ანტიქრისტეს, სულ გამოვიდა მოთმინებიდან:

— ეს რა ტრაგიკომედიაა! — იყვირა მან, — ან ეს საზიზღრები რას აკეთებენ?! ჰიტლერმა მე სიკვდილი მომისაჯა და თითქოს მევე უნდა მქონდეს უფლება, ასეთი რამე ვთქვა, და არა — ამათ! თუნდაც შპეერსა და შირახს, რომლებიც ძალიან უყვარდა ჰიტლერს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე... მე, დიახაც, მაქვს ამის უფლება, მაგრამ მაინც არ ჩავდივარ ამას... პრინციპისათვის... მე მას შევფიცე ერთგულება და არ შემიძლია, უკან დავიხიო... რაცა ვარ, ისა ვარ და არც არავინ უნდა მოელოდეს, რომ ჩემი ცხოვრების 52 წლისთავზე შევიცვალი შეხედულებებს!..

მერე ისეთი ალიაქოთი ატყვის. კვირა დღე იყო და ისიც „თავის ჭკუაზე“ ატარებდა დროს...

რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანამ სადღაც მიუხვ-მოუხვია და ერთსართულიანი სახლის წინ გაჩერდა. „Neuhaus“ ეწერა შესასვლელთან. ფანჯარაზე ფარდა ფრთხილად გადაიწია და წამით ვიღაც მანდილოსნის შეშინებული სახე გამოჩნდა. გარშემო სრული მყუდროება სუფევდა. ჯილბერტი გადმოვიდა მანქანიდან, რაღაც შეხვეული გადმოიტანა და კარზე დააკაკუნა...

ხმა არავინ გასცა... მერე იგივე გაიმეორა. ისევ დუმილი...

— ეი, ვინა ხართ, გააღეთ კარი! — დაიძახა მან.

ერთი წუთის შემდეგ „სადარბაზო“ გაიღო და მსახური ქალი გამოვიდა.

— ქალბატონი გერინგი შინ ბრძანდება? — იკითხა ჯილბერტმა.

— მობრძანდით! — შეიპატიჟა მსახურმა და წინ გაუძღვა მოულოდნელად გამოჩენილ ამერიკელ ოფიცერს.

სახლი უბრალო იყო, ღარიბულად მოწყობილი, მაგრამ სუფთად მოვლილი... დერეფანი გაიარეს, ერთი ოთახი, მეორე და პატარა სასტუმროში შევიდნენ. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ერთი მაგიდა იდგა. წიგნების კარადა და რამდენიმე სავარძელი.

— დაბრძანდით! — მიიპატიჟა მსახურმა სტუმარი და ოთახიდან გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ კი სახლის დიასახლისი შემოვიდა: მაღალი, ტანსრული, ფართო, სევდიანი თვალებითა და უბრალო ტანისამოსით... ყოველგვარი სამკაულის გარეშე. ეს იყო მსოფლიოში უმდიდრესი კაცის, რაიხსმარშალ ჰერმან გერინგის ცოლი: „იმპერიის ქალბატონი ნომერი პირველი“.

— ემი, — თქვა შემოსულმა და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — გერინგი!..

კალთაზე მას რვა-ცხრა წლის ლამაზი ქერათმიანი გოგონა ედა ჩაბღაუჭებოდა და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა სტუმარს...

ჯილბერტმა ბავშვს ტკბილეული გადასცა და დიასახლისთან ერთად ბუხრის წინ მოიკალათა...

... ემიმ მსახური იხმო და ბავშვი გაატანა... სათამაშოდ. მერე ჯილბერტს მიუბრუნდა და შესჩივლა:

— წარმოგიდგენიათ? იმ გიჟმა ბრძანება გასცა, მოეკლათ ეს ბავშვი!

ის „გიჟი“ ჰიტლერი იყო. ემი მოჰყვა, როგორ დააპატიმრეს ისინი ჰიტლერის ბრძანებით, ემუქრებოდნენ სიკვდილით, მარტო ჰერმანს კი არა, ემის და ამ პატარა ბავშვსაც...

— წარმოგიდგენიათ?! — იძახდა იგი ისევ: — ჰერმანი გაგიჟებული იყო.. როგორ დააბრალა ჰიტლერმა ღალატი! მე სულ იმის მეშინოდა, ყარაულებს არ მოეკლათ, როცა იგი ჰიტლერს ლანძღავდა. ღმერთო!.. რაც ჩემმა ქმარმა ერთგულება გაუწია ჰიტლერს... მან დაკარგა ჯანმრთელობა, ბედნიერება. პირველი ცოლი... იგი ყველაფერში მხარს უჭერდა ჰიტლერს... ეხმარებოდა ძალაუფლების მოპოვებაში და... მადლობის მაგივრად დაპატიმრება და მოკვლა?! ჩემი ბავშვისაც!.. ეს რომ გავიგეთ!..

მსახურმა ჩაი შემოიტანა, მაგიდაზე დადგა და უკანვე გაბრუნდა.

საუბარი საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებებს შეეხო. გერინგი რომ ამბობდა პროცესზე, ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო, ტყუილი გამოდგა... გერინგს კი არა, მის ცოლსაც სცოდნია ყველაფერი.

— როცა ამის შესახებ გავიგე, — უთხრა მან ჯილბერტს, — წერილი მივწერე ჰიმლერს, ნება მოეცა ჩემთვის, დამეთვალიერებინა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი. ჰიმლერმა თავაზიანად მიპასუხა, მაგრამ მაინც უარი შემომითვალა: რაც შენი საქმე არ არის, იმაში ნუ ერევიო...

ჯილბერტმა აქ ეშმაკურად შეუბრუნა კითხვა:

— თქვენმა მეუღლემ რომ გაიგო, ჰიტლერი მკვლელიაო, ამან არ იმოქმედა მის ერთგულებაზე?..

ემი გერინგში უცებ გაიღვიძა ბრუნჰილდეს სულმა. იგი ამაყობდა „ჰერმანის სიმტკიცით“ და, როგორც ჯილბერტი შენიშნავს, „ის საშინელი ამბები“ სულაც არ ანგრევდა მის ილუზიებს ამის თაობაზე. პირიქით, ამართლებდა კიდეც ქმრის ერთგულებას „იმ გიჟი ჰიტლერისადმი“.

— ერთმა კაცმა მაინც ხომ უნდა თქვას: დიახ, მე მხარს ვუჭერდი ფიურერს, ახლა კი აქა ვარ, თქვენ წინაშე, და, რაც გინდათ, ის მიყავითო, — განუცხადა ემი გერინგმა ჯილბერტს და განაგრძო:

— თორემ ჩვენთვის, ყველასთვის ისე სამარცხვინოა, როცა ვხედავთ, რამდენი გერმანელი ამბობს, მხარს არასოდეს ვუჭერდით ჰიტლერს, ძალით შეგვიყვანა პარტიაში. ეს გულისამრევი ფარისევლობაა. ჰერმანს კი


ემი და ედა გერინგები სტუმრად ჰიტლერთან. 1940 წელი

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე

უნდა, აჩვენოს ყველას, რომ ის უკან არ იხევს, როგორც მხდალი ბრბო...

...იმავე საღამოს ჯილბერტი გერინგის საკანში იყო. ზიკლინგენიდან მას ცოლის წერილი და პატარა ედას სურათი ჩამოუტანა. გერინგმა არ ისურვა მისი თანდასწრებით წერილის წაკითხვა. როგორ არიანო, ეს ჰკითხა მხოლოდ. მერე ისევ იმ ერთგულებაზე ილაპარაკეს, ჰიტლერის ბრძანებაზეც, დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ გერინგი. როგორც მოღალატე...

— მე არ მჯერა, რომ ეს ბრძანება ჰიტლერმა გასცა, — თქვა გერინგმა, — ეს სულ იმ ჭუჭყიანი ღორის — ბორმანის საქმეა. ოხ, ერთი ის გოჭი მომცა აქ, ამ საკანში... ხუთი წუთით... მხოლოდ ხუთი წუთით... დაკეტილ კარებში... თქვენ მაშინ არ მოგიხდებოდათ მისი გასამართლება. მე მას მივახრჩობდი საკუთარი ხელით... იმიტომ კი არა, რაც მე მიყო, არა, მხოლოდ იმ ჭუჭყიანი საქმეებისათვის, რაშიც მან გახვია ფიურერი...

...ასეთი ერთგული პალადინის პოზა მარტო გერინგს ეჭირა. სხვები (შტრაიხერის გამოკლებით, რომელსაც ანგარიშში არავინ აგდებად) სულ ჰიტლერსა და ჰიმლერს აბრალებდნენ ყველაფერს, თუმცა, ციხე შიგნიდანაც ტყდებოდა.

— არ დაიჯეროთ, რომ ამათ არაფერი არ იცოდნენ! — უთხრა ფრანკმა ჯილბერტს.

ეს ჩვენ არც გვჯეროდა. ისედაც ვიცოდით, ყველა რომ ერთ პირზე იდგა იმთავითვე: ჰიტლერი, გერინგი, ჰიმლერი, კაიტელი, რიბენტროპი, როზენბერგი, ჰაიდრიხი და ჰოსი — პოლიტიკური მოღვაწენი, არმიის სარდლები, ესესის მეთაურები, დიპლომატები თუ გესტაპოს თანამშრომლები. წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამაზე ღაღადებდნენ... ათასი ფუთი ბრალდების სიმძიმე ერთნაირად აწვა მხრებზე გერინგსაც და კალტენბრუნერსაც, კაიტელსაც და შირახსაც, ყველას, ვინც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განსასჯელთა სკამზე იჯდა ან სადმე სხვაგან, სადაც კი მართლმსაჯულების ხელი მისწვდა მათ...

## ბრალდება ეკრანიდან...

მტკიცების თუ რა უკომპრომისო ძალა ჰქონდა ამ დოკუმენტებს, ასეთი კურიოზული ფაქტიდანაც ჩანს.

პროცესის ერთ-ერთ მორიგ „მძიმე დღეს“, როცა ჰიტლერელთა ველურობის უსაშინლეს დოკუმენტებს ადგენდნენ, ბალდურ ფონ შირახმა თავისი დამცველის საშუალებით პროტესტი განაცხადა:

— მე ეჭვი არ შემაქვს ბრალმდებელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასალების ავთენტიკურობაში. მჯერა, რომ მთელი ეს საძაგლობა ჩადენილია, მაგრამ ტრიბუნალი სწორად არ იქცევა, ამთავითვე რომ არ განსაზღვრავს, ბრალდებულთაგან სახელდობრ ვის ედება ამაში ბრალი. ისე კი გამოდის, თითქოს ეს გვეხება ყველას, მათ შორის მეც, რაც შეურაცხყოფს ჩემს სინდისს იმაზე მეტად, ვიდრე დანაშაული მიმიძღვის. ჩემდათავად მე ვაცხადებ, რომ ამ პროცესამდე არასოდეს გამიგონია საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ, არც არასოდეს მინახავს და არც არაფერი ვიცი ამის თაობაზე.

ტრიბუნასთან მაშინ ჯეკსონი იდგა. მან ირონიულად გადახედა შირახს და ტრიბუნალს სთხოვა, ნახევარი საათით შესვენება გამოეცხადებინა.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ ლოურენსმა ჩაქუჩი დაჰკრა და შესვენება გამოაცხადა.

ჩვენ ვესტიბიულში გამოვედით. როგორც ჩანდა, შირახის პროტესტმა გავლენა მოახდინა: კორესპონდენტები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ცხარედ კამათობდნენ.

50 წუთის შემდეგ კვლავ მიგვიხმეს დარბაზში. ტრიბუნასთან ისევ ჯეკსონი დადგა და შირახის პროტესტი გაიმეორა:

— ბრალდებული შირახი აცხადებს, რომ მას არაფერი სმენია საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, არასოდეს უნახავს არცერთი მათგანი და არც არაფერი იცის ამის თაობაზე.

მერე თავის თანაშემწეს მიუბრუნდა და მითითება მისცა:

— გთხოვთ, გვიჩვენოთ ფილმი!



ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები

სინათლე ჩაქრა. ეკრანზე ისევ საკონცენტრაციო ბანაკი გამოჩნდა, ახლა უკვე — რაღაც საზეიმო გარემოებაში: შესასვლელთან ორკესტრი იდგა და შეხვედრის მარშს უკრავდა. მერე ალაყაფის კარები გაიღო და მაღალი თანამდებობის პირთა მთელი ჯგუფი შემოვიდა. ისინი გაემართნენ პატიმრების კარებისაკენ, დაათვალიერეს გაზკამერა, კრემატორიუმი. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიბნელეში გაისმოდა ჯეკსონის ხმა:

— ცენტრში დგას შირახი, ცენტრში დგას შირახი, გთხოვთ, დააკვირდეთ, ცენტრში დგას შირახი!

ჩვენც კინოკამერის საშუალებით მათთან ერთად კიდევ ერთხელ ვიმოგზაურეთ ჯოჯოხეთის ცხრავე გარსში და ვნახეთ ისეთი საშინელება, რომლის ხელახლა გახსენება არც ღირს...

ფილმის ჩვენება რომ დამთავრდა და დარბაზში სინათლე აინთო, ჯეკსონმა ტრიბუნალის წევრებს მიმართა:

— გთხოვთ, დამიდასტუროთ, რომ თქვენ ეკრანზე ნახეთ ბრალდებული ბალდურ ფონ შირახი, რომელიც ათვალიერებს ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკს.

ტრიბუნალმა, რა თქმა უნდა, ეს დაადასტურა. დაცვის მხარეს არაფერი უთქვამს, არც შირახს. ჯეკსონმა კი ახლა ასეთი განკარგულება გასცა:

— გთხოვთ, შემოიყვანოთ მოწმე.

დარბაზში შემოვიდა ვიღაც მორგვივით სქელი, თავგადაპარსული კაცი სამოქალაქო ტანისამოსში. იგი შეშინებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს და ხაზგასმული თავაზიანობით ასრულებდა ბრალმდებლის მითითებებს.

— გთხოვთ, დააკვირდეთ ამ კაცს და დაიმახსოვროთ მისი სახე, — თქვა ჯეკსონმა და ისევ თავის თანაშემწეს მიუბრუნდა:

— ერთხელ კიდევ გვიჩვენეთ ფილმი!

დარბაზში ისევ ჩაქრა სინათლე. ეკრანზე ისევ იმავე კადრებმა გაირბინეს. სიბნელეში კი ჯეკსონის ხმა ისმოდა:

— გთხოვთ, დააკვირდეთ კაცს ესესის ფორმაში, შირახის მარჯვნივ! გთხოვთ, დააკვირდეთ და დაადასტუროთ, რომ ეს იგივე კაცია, რომელიც ახლა მოწმედაა გამოძახებული... გთხოვთ, დააკვირდეთ და ა.შ.

ეკრანზე მართლაც იგივე კაცი იყო, ოღონდ უფრო სქელი, სახეგაბადრული და რაღაც აუწერელი მლიქვნელური გამომეტყველებით.



იოახიმ ფონ რიბენტროპი

ფილმი დამთავრდა. სინათლე აინთო. დარბაზი დაძაბულია. ტრიბუნალი ადასტურებს, რომ მოწმე და ის კაცი ერთი და იგივე პიროვნებაა. დაცვის მხარე ისევ დუმს. შირახს შავი სათვალე აქვს აფარებული. ჯეკსონი ეკითხება მოწმეს:

— ხომ არ უარყოფთ, რომ ის კაცი თქვენა ხართ?

— არა, — უპასუხებს მოწმე, რომელიც იმ საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი აღმოჩნდა.

— უამბეთ ტრიბუნალს, რატომ გადაიღეთ ეს ფილმი, — ეუბნება ჯეკსონი. მოწმე ცალი თვალით შირახისაკენ იყურება და ისე ამბობს:

— ბატონი გაულაიტერი შირახი უკმაყოფილო იყო ბანაკის გამტარუნარიანობით. ჩვენ კი მეტი არ შეგვეძლო თითო გაზკამერითა და კრემატორიუმით, ისიც საკმაოდ მოძველებულით. მაშინ ბატონმა შირახმა მოისურვა, ადგილზე შეემოწმებინა ეს და დაგვინიშნა დღე. ჩვენ რაკი ასეთ პატივსაცემ სტუმარს მოველოდით, რა თქმა უნდა, მოვემზადეთ შესახვედრად, მოვიწვიეთ ორკესტრი, კინოოპერატორები და...

მერე არცაა საინტერესო. ისედაც ყველაფერი გასაგები იყო, თუმცა, ჯეკსონმა მაინც მიმართა შირახს:

— ბრალდებულო შირახ! ხომ არ გსურთ თქვენი პროტესტის განმეორება?

პასუხის ნაცვლად შირახმა თავი ჩაქინდრა.

ასეთი იყო იმ ათასი ფუთი ბრალდების სიმძიმე...

## შავი კორპუსი

ისინი კი მაინც ესესელებს აბრალებდნენ ყველაფერს. „ეს სულ იმ ჭუჭყიანი ღორების საქმეაო“, — აცხადებდა კაიტელი. სხვებიც, იმაზე კი არ ფიქრობდნენ, თვითონაც რომ ესესელები იყვნენ. ბევრ მათგანს ესესის გენერლის ჩინიც ჰქონდა, მათ შორის — რიბენტროპს, ჰესს, ფრანკს, ფრიკს, ზაუკელს, ნოირატს. ისინი ახლა ემიჯნებოდნენ, ციხეში, იმ „ჭუჭყიან ღორებს“, თორემ იყო დრო, როცა მესამე იმპერიის ყველა დიდი სახელმწიფო მოღვაწე თავისი ღირსების საქმედ თვლიდა ესესელთა ამ „ამაყი კორპუსის“ რიგებში ყოფნას. რიბენტროპი თავის თხოვნაში წერდა:

— მე ყოველთვის განსაკუთრებულ პატივად ჩავთვლი, ვეკუთვნოდე ფიურერის ამ ამაყ კორპუსს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დიდი გერმანული იმპერიის მომავლისათვის.

რიბენტროპი მაშინ, ცხადია, არ ფიქრობდა, ამ სიტყვებს სასამართლო პროცესზე რომ შეახსენებდნენ. ასე კი მოხდა. როგორც კი მან სცადა, დაპირისპირებოდა ესესის საქმიანობას, ინგლისელმა ბრალმდებელმა მაქსუელ-ფაიფმა „მოაგონა“, რომ თვითონაც ეკუთვნოდა ამ ორგანიზაციას. რიბენტროპმა ეს ვერ უარყო, მაგრამ მაინც განაცხადა „მე ესესის მხოლოდ საპატიო წევრი ვიყავიო“. ამის გამო მაქსუელ-ფაიფი ბოლომდე მიჰყვა ამ საკითხს.

**მაქსუელ-ფაიფი:** ბრალდებულო რიბენტროპ! მე მინდა, რომ მოჰყვეთ ესესთან თქვენი დამოკიდებულების შესახებ. ხომ არ გნებავთ, პროცესის მიმდინარეობის ამ ეტაპზედაც ამტკიცოთ, თითქოს ამ ორგანიზაციის მხოლოდ საპატიო წევრი იყავით? თქვენი დამცველი, ალბათ, რაღაც გაუგებრობის ნიადაგზე აცხადებს ამას.

**რიბენტროპი:** ეს გაუგებრობა კი არ არის, ნამდვილად ასეა. მე მივიღე ჰიტლერისაგან ესესის ფორმა, ისე კი არასოდეს არავითარ ფუნქციას არ ვასრულებდი ესესის ორგანიზაციაში. მაგრამ როგორც ელჩს, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრს, არსებული წესის მიხედვით, უნდა მიმეღო ესესის რამე ჩინი და მე გავხდი კიდეც ესესის ერთ-ერთი ფიურერი.

**მაქსუელ-ფაიფი:** მე ვამტკიცებ, რომ ეს სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს. ესესში მიღება თქვენ ითხოვეთ ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე 1933 წლის მაისში სრულუფლებიანი ელჩი გახდებოდით. მართალია თუ არა ეს?

**რიბენტროპი:** დიახ, ასეა მე ყოველთვის ვეკუთვნოდი ესესის ორგანიზაციას.

მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რიბენტროპმა მაინც სცადა აერია სრულიად ნათელი საკითხი, მაგრამ გამოცდილი გამომძიებელი არ დაიბნა.

**მაქსუელ-ფაიფი:** თქვენ ახლაც თქვით, რომ ესესის წევრობა საპატიო ხასიათისა იყო, რადგან ჰიტლერს უნდოდა, ფორმა გქონოდათ. მე თქვენ გეკითხებით: 1933 წელს შეიტანეთ თუ არა განცხადება, რომ მიეღეთ ესესის რიგებში ჩვეულებრივი წესით. ასეა თუ არა ეს?

**რიბენტროპი:** რა თქმა უნდა, საჭირო იყო განცხადების შეტანა. მაგრამ საქმე ასე იყო. მიღებებზე მე რამდენჯერმე გამოვჩნდი ჩემი უზარმაზარი ნაცრისფერი პალტოთი. ამის გამო ჰიტლერმა მითხრა, რომ საჭიროა, მქონდეს ფორმა. როდის იყო ეს, არ მახსოვს, მე ვფიქრობ — 1933 წელს. და მე, როგორც ელჩმა, მივიღე კიდეც სათანადო წოდება, ხოლო შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრი რომ გავხდი, კიდევ უფრო მაღალი.

**მაქსუელ-ფაიფი:** მაშასადამე, 1933 წელს ითხოვეთ, შეხვედით ესესში და მიიღეთ არცთუ ისე მაღალი წოდება შტანდარტენფიურერისა. ასეა, არა?

**რიბენტროპი:** დიახ, ასეა.

**მაქსუელ-ფაიფი:** ობერფიურერი თქვენ გახდით მხოლოდ 1935 წლის 20 აპრილს, ბრიგადენფიურერი — იმავე წლის 14 ივნისს, გრუპენფიურერი — 1936 წლის 13 სექტემბერს, ობერგრუპენფიურერი — 1940 წლის 20 აპრილს. ვიდრე ელჩი გახდებოდით, სამი წლის განმავლობაში თქვენ ითვლებოდით ესესში და ჩვეულებრივი გზით იღებდით ახალ-ახალ წოდებას. ასეა, არა?

**რიბენტროპი:** დიახ, მაგრამ მე არასოდეს არავითარი მუშაობა არ მიწარმოებია ესესში.

**მაქსუელ-ფაიფი:** თქვენ ითხოვეთ, რომ მიეღეთ დივიზია „ტოტენკოპფში“ („ადამის თავი“), არა?

**რიბენტროპი:** არა, ეს მართალი არ არის!

**მაქსუელ-ფაიფი:** განა თქვენ არ გახსოვთ, რომ ჰიმლერისაგან მიიღეთ განსაკუთრებული ბეჭედი და ხანჯალი დივიზიისა „ადამის თავი“? განა თქვენ არ გახსოვთ ეს?

**რიბენტროპი:** არა, არ მახსოვს, მე არასოდეს არ ვყოფილვარ დივიზია „ადამის თავში“.

**მაქსუელ-ფაიფი:** 1933 წლიდან მოკიდებული თქვენ ყოველთვის დაინტერესებული იყავით ესესით, ომის დროსაც. ასეა არა? მგონი, თქვენი მიმოწერა ჰიმლერთან გრძელდებოდა 1941 თუ 1942 წლამდე.

რიბენტროპს არ მოეწონა, ეს მიმოწერა რომ გაიხსენეს. მართალია, მისი შინაარსი არ გადმოუციათ, მაგრამ ისედაც ცხადი იყო, თუ რა „საქმიანი მიმოწერა“ უნდა ჰქონოდა მას იმპერიის პირველ ჯალათთან...

...ნათქვამია: იდაყვი ახლოა, მაგრამ ვერ უკბენო. ეს ვერ გაითვალისწინეს ბრალდებულებმა... ესესი მათი „იდაყვი“ იყო, რასაც ასე ადვილად ვერ უკბენდნენ...

ესესის ცოდვა მათაც აწვათ კისერზე. სწორად თქვა საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ:

— ამრიგად, ესესის ერთი და იგივე სისტემა აერთიანებდა ტრებლინკის კომენდანტს უნტერშარფიურერ კურტ ფრანცს, „გაზვაგონების“ გამომგონებელ უნტერშტურმფიურერ ბეკერს, ცოცხალ ადამიანებზე ცდების ჩამტარებელ ესესელ ჰაუპტშტურმფიურერ დოქტორ რაშერს და იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ესესის ობერგრუპენფიურერ რიბენტროპს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გენერალისიმუსი
2024 წლის 14 ოქტომბერი. №49 (285)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.





გოგიტა კიკნაძე 1975-1992

„ჩემი 17 წლის ძმა საკუთარი სურვილით გაეშურა სამშობლოს დასაცავად და სიცოცხლეც უყოყმანოდ გაწირა!“

## თამარ კიკნაძე:

# სამშობლოსათვის სიკვდილი არაა ტრაგედია!

***აფხაზეთის პირველ ომში დაღუპული 17 წლის მეომრის გოგიტა კიკნაძის დას, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს, მრავალი საერთაშორისო სამხედრო მისიის მონაწილე თამარ კიკნაძეს ნაცები და ლიბერასტები ცინიკურად შეურაცხყოფენ, რადგან შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმებს საჯაროდ გმობს და მშვიდობას უჭერს მხარს!***

*1992 წლის 2 ოქტომბერი. აფხაზეთი ცეცხლის ალშია გახვეული. სადაცაა გაგრა დაეცემა... 17 წლის მეომარი **გოგიტა კიკნაძე,** თანამებრძოლთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ფეხოსანთა საბრძოლო მანქანაში ჯდება და ბრძოლის ეპიცენტრისკენ მიემართება. საბრძოლო მანქანას მტრის ჭურვი ხვდება. გადარჩენილი თანამებრძოლები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფ ჭაბუკს სასწრაფო დახმარების მანქანაში ათავსებენ. ეს არის უკანასკნელი სტოპ-კადრი, რომელშიც ცოცხალი გოგიტა დააფიქსირეს. მას შემდეგ მისი კვალი იკარგება. არსებობს ვარაუდი, რომ სასწრაფო დახმარების მანქანამ სამშვიდობოს გააღწია; მეორე ინფორმაციის თანახმად, მანქანა ააფეთქეს და ჭაბუკი მეომარი იქვე ჩაიფერფლა... **ასეა თუ ისე, გოგიტა კიკნაძე ოჯახის წევრებისთვის მარად 17 წლის ჭაბუკად, შინმოუსვლელ მეომრად იქცა, ოღონდ ტრაგედია ამით არ დასრულებულა.** გაივლის 32 წელი და თავად სამშობლოს გამყიდველები დაღუპული გმირის დას **მოღალატეს** დაუძახებენ!*

**თამარ კიკნაძე:** — ჩემი ძმა გაგრის დაცემის დღეს, 1992 წლის 2 ოქტომბერს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მასზე დარდს გადაჰყვა მამაჩემი **გიორგი კიკნაძე,** ხოლო დედა და დები, ვინაიდან საფლავიც არ გაგვაჩნია, სახლის წინ სკვერში აღმართულ მემორიალზე გამოსახულ ფოტოს ვეფერებით. ამ ხნის განმავლობაში გულში იმედი მაინც ბჟუტავს — იქნებ გადარჩა?! როგორც კინოფილმებში ხდება ხოლმე — იქნებ ამნეზია დაემართა და სადმე ისევ დააბიჯებს... ნაცლიბერასტებისგან განსხვავებით, რომლებსაც სხვების სიცოცხლის ხარჯზე წარმოუდგენიათ მტერთან ომი და შარვლის ჩახდისა თუ როყიო შეძახილების გარდა არაფერი ეხერხებათ. ჩემი 17 წლის ძმა საკუთარი სურვილით გაეშურა სამშობლოს დასაცავად და სიცოცხლეც უყოყმანოდ გაწირა!

**ჩემო ძამიკო, ჩემო ვაჟკაცო, გმირო ბიჭო, არცერთი დღე არ თენდება და არ ღამდება, შენზე რომ არ ვიფიქრო და თვალწინ არ მედგე; რაც დრო გადის, მეტი ტკივილი და მეტი დარდი ხარ. ტყუილია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, რომ უთქვამთ!**

**— როდის ეკონტაქტეთ ძმას უკანასკნელად?**

— არც კი ვიცოდით, გოგიტა გაგრაში თუ იმყოფებოდა. პოლიციის აკადემიაში დღემდე ინახება პატაკი, სადაც 17 წლის გოგიტა წერს: **„ვარ 20 წლის, კარგად ვფლობ საბრძოლო იარაღს, გთხოვთ, წამიყვანოთ აფხაზეთში!“** — ასაკი მოიტყუა და არც არავის გადაუმოწმებია. ასე წავიდა, არავინ არაფერი ვიცოდით. 1 ოქტომბერს სახლში დარეკა, სწორედ ეს იყო მისი ბოლო კონტაქტი ოჯახთან. მე ვუპასუხე და მოვატყუე — მამას ინსულტი დაემართა, მძიმედაა, ჩამოდი-მეთქი. მერე დედამ გამომტაცა ყურმილი. მიხვდა, რომ ჩამოტყუება გვინდოდა და უპასუხა: **„დე, ეს ურჯულოები ჩვენი დაღუპული ბიჭების თავებით ფეხბურთს თამაშობენ, როგორ მივატოვო ომში თანამებრძოლები, ამის მერე რა კაცი ვიქნები?“** — ეს იყო მისი ბოლო სიტყვები და ბოლო საუბარი ჩვენთან...

აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების დროს არაერთი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. უამრავი დედა გამწარდა და შავები ჩაიცვა. დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება არაერთი მებრძოლი; წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ დღესაც მიმდინარეობს ცხედრების მოძიების პროცესი, ზოგი მშობელი ისე წავიდა იმქვეყნად, შვილის საფლავიც სანატრელად ჰქონდა.

### არ მინდა, ბოროტმა ძალებმა ჩემი ქვეყანა ისევ ჩაითრიონ წინასწარ წასაგებად განწირულ, გაყიდულ ომებში, როგორც ეს მოხდა შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის დროს!

დასაკარგი ტერიტორიები აღარა გვაქვს!

**— ამ პოზიციის გამო გიტევენ ნაცლიბერასტები?**

— გოგიტას დებს — **მე** და **მაიას** შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დაწყება ძმის ფაქტორმა გადაგვაწყვეტინა. **მაია კიკნაძე** აგვისტოს ომის ვეტერანია. მე კი პირველი სამხედრო პოლიციელი ქალი ვარ, 2016 წლიდან 6-ჯერ (2-ჯერ ავღანეთში, 4-ჯერ ცენტრალურ აფრიკაში) ვიყავი საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მონაწილე. **ჩემი ძმის ხსოვნის პატივსაცემად ჩავიცვი სამხედრო ფორმა და, თუ სამშობლოს დასჭირდება, თავსაც უყოყმანოდ შევწირავ!**

სამშობლოსთვის სიკვდილი არაა ტრაგედია. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ტრაგედია და უბედურება უკანასკნელ გზაზე, დედის ცრემლის გარეშე დარჩენილი 17 წლის ღიმილის ბიჭია, რომლის განგმირული სხეული, ვინ იცის, სად განისვენებს...

**ჩემი ოჯახის ტრაგედია 32-მა უმძიმესმა, ცრემლებით სავსე წელიწადმა ვერ გაანელა! ეს თანამედროვე ნაცაქტივისტი ლაჩრები კი, რომლებიც სამშობლოს საზღვრებს გარედან იმართებიან — არც ჩემი ოჯახისგან გაღებულ მსხვერპლს ითვალისწინებენ, არც ჩემს ქალობას — უტიფრად მლანძღავენ და მემუქრებიან.** დასავლელი მენტორების მითითებების შესაბამისად, ისინი იმ ომში ჩასაბმელად გვიბიძგებენ, რომელიც ჩვენს ქვეყანას მხოლოდ გამანადგურებელ შედეგს უქადის, თანაც, თვითონ მონაწილეობას არ აპირებენ, სხვისი სიცოცხლის ხარჯზე სურთ პატრონების გულის მოგება!

### სააკაშვილის ხელისუფლებამ დედაჩემს ხელმეორედ მოუკლა სამშობლოსთვის თავშეწირული შვილი, როდესაც გოგიტა კიკნაძის სახელობის 182-ე საშუალო სკოლას სტატუსი მოუხსნა, კედლიდან სტენდი ჩამოხსნა, ხოლო გმირების ფოტოები სანაგვეში გადაუძახა!

მან ვეტერანების მშვიდობიანი აქცია სასტიკად დაარბია და ომს გადარჩენილი ვაჟკაცები დაუნდობლად სცემა! ამის შემდეგ საღად მოაზროვნე ადამიანმა როგორ უნდა მისცეს ხმა ამ მავნებლებს?! მათ უნაკლოდ მხოლოდ სამშობლოს მოყვრის — მტრად, ხოლო მტრის მოკეთედ დასახვა ეხერხებათ!

**— თუმცა, ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ სწორედ ნაცებს უჭერენ მხარს...**

— გამოცდილებამ გვასწავლა, რომ **უცხოელი პარტნიორები** ჩვენს სამშობლოს თავს დატეხილი განსაცდელების გამო მხოლოდ აღშფოთდებიან ხოლმე. მათგან ქმედითი მხარდაჭერის იმედი არ უნდა გვქონდეს, მითუმეტეს, რომ ამჯერად თავად დგანან ნაცების უკან. არავის უნდა მივცეთ უფლება, ჩვენი ბიჭები საზარბაზნე ხორცად გამოიყენოს! მეგობრობა და პარტნიორობა გამორიცხავს მენტორულად თითის ქნევას. მათი მუქარის არ გვეშინია, **26 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან გადაწყდება საქართველოს ბედი.**

სამწუხაროდ, ამერიკის საელჩო ბოროტების გამართლებისა და ტყუილების საამქროდ გადაიქცა. თავადაც კარგად იციან, რომ ნაცები და მათი სატელიტები საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებლები არიან, ამიტომაც ხელისუფლებაში მათ მოყვანას რევოლუციური სცენარით გეგმავენ, როგორც ეს არაერთხელ ჩაუდენიათ არაერთ ქვეყანაში! ლეგიტიმურად არჩეული მთავრობის ძალადობრივი გზით დასამხობად რომ ემზადებიან, ამაზე ისიც მეტყველებს, 26 ოქტომბრისათვის ამერიკის მოქალაქეებს სიფრთხილისაკენ რომ მოუწოდებენ. გამოდის, წინასწარ სცოდნიათ, რაც უნდა მოხდეს.

**— რა შეიძლება დავუპირისპიროთ ამ განზრახვას?**

— თუნდაც სიცოცხლის ფასად უნდა დავიცვათ ჩვენი არჩევანი და თითოეული ხმა. დროა, შეიგნონ, რომ ქართველობა აღარ დაუშვებს იმ მავნებლების ხელისუფლებაში დაბრუნებას, ახალ მაიდანს და მოვლენების უკრაინიზაციას. მალე ჯამბაზ ზელენსკისაც თავისივე ხალხი გაასამართლებს იმ გენოციდისათვის, რაც უკრაინაში მოაწყო პატრონების დაკვეთით! **სააკაშვილსაც იგივე ელოდება!** თავად უფალმა შეარჩია ბატონი ბიძინა საქართველოს გადარჩენის მისიის შესასრულებლად. მადლობა მას და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, ღმერთმა გააძლიეროს ბოროტებასთან ბრძოლაში! აქვე მინდა, სახალხო გაზეთის „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან მივმართო მოსახლეობის უმრავლესობას, რომელმაც ზედმიწევნით იცის მშვიდობისა და ომის ფასი — ერთად დავუსვათ წერტილი ბოროტებას — სახელად ნაცმოძრაობა!

## „ერთად დავუსვათ წერტილი ბოროტებას – სახელად ნაცმოძრაობა!“

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

***2024 წლის 9 ოქტომბერს, როცა ლგბტ ფაშისტებით, ამერიკის აგენტებით, გიული ალასანიას ფულებზე გაწუწკებული ღორებითა და მექრთამეებით გადაჭედილმა ევროპარლამენტმა საქართველოს წინააღმდეგ სამარცხვინო რეზოლუცია მიიღო, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბიძინა ივანიშვილის მიერ ჯერ კიდევ 2024 წლის ივნისში „კრისტის“ აუქციონზე 1 მილიონ 250 ათას გირვანქა სტერლინგად ნაყიდი უდიდესი ქართველი ჰიმნოგრაფის, მე-10 საუკუნეში მოღვაწე ბერის იოანე ზოსიმეს მიერ შესრულებული ხელთუქმნელი პალიმფსესტი ჩამოვიდა!***

# ეს წერილი

## ევროპარლამენტში შეკრებილმა ლგბტ ფაშისტებმა, გიულის ფულზე გაწუწკებულმა ევროღორებმა და გარყვნილი სააკაშვილის ლობისტებმა

# უნდა წაიკითხონ!

ცნობილია, რომ დღემდე საქართველოში **იოანე ზოსიმეს** მიერ შესრულებული რამე ხელნაწერი არ არსებობდა. 949 წლიდან ქართველი ბერი წმინდა მიწაზე საბაწმინდის მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო მე-10 საუკუნის მიწურულს, დიდი ალბათობით, წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღესრულა.

იმ ფონზე, როცა ევროკავშირი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გაუქმებას ითხოვს და **ქალად გადაკეთებულ კაცს ქესარია აბრამიძეს** ლამის საზოგადო მოღვაწედ აცხადებს; **როცა პირდაპირ გვემუქრებიან** — ბიძინა ივანიშვილი უნდა დასანქცირდეს, მკვლელი სააკაშვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს, ხოლო რუსეთს საქართველომ სანქციები დაუწესოსო; როცა ქრისტიანობას ყველგან და, მათ შორის, საქართველოშიც ძალიან უჭირს და ქართველი ერი დანის პირზე გადის, სწორედ მაშინ საქართველოში შემოდის ჩვენი დიდი მამის **იოანე ზოსიმეს პალიმფსესტი,** რომლის მე-5-მე-7 საუკუნეებით დათარიღებულ და უძველესი არამეულით შესრულებულ პირველ ფენას ქართველმა ბერმა ახალი ქართული ტექსტი გადააწერა.

**იოანე ზოსიმე** ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა მათ შორის, ვინც საქართველოს ეროვნული იდეოლოგია შექმნა. მან, როგორც ბრწყინვალე კალიგრაფმა, მთარგმნელმა და წიგნების რესტავრატორმა ახალი ყდა გაუკეთა ყველაზე ძველ ქართულ ხელნაწერს, 864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავს, რომელშიც ქართული ენის უკვდავი საგალობელი — **„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“** ჩაურთო. სწორედ აქ არის ჩაწერილი მისი ხელით, რომ **„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქუიან!“**

სწორედ **იოანე ზოსიმეს** ამ თეზამ და ქართული ენისა და, ზოგადად, საქართველოს განღმრთობის იდეამ შთააგონა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ამერიკელებისა და რუსების გაწირულ და შევარდნაძის მსტოვართა მიერ წამებით მოკლულ **ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისსიის“** დაწერა.

ეს ის **ზვიადია,** რომლის სულიერ მეგობარსა და ქრისტესმიერ ძმას **მერაბ კოსტავას** 1989 წლის 18 თებერვალს „გეპეის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მამუკა ხაზარაძე** კომკავშირელ ზონდერებთან ერთად სკამის გადაჭრილი ფეხებით დაერია! **პირადად ხაზარაძემ მერაბ კოსტავაზეც კი აღმართა ხელი, რაც „ვივამედში“ წამოკოტრიალებულმა გარყვნილმა მიხეილ სააკაშვილმაც დაადასტურა.** როცა ჩვენ ამის შესახებ საზოგადოებას ვამცნეთ და იმ თაღლითობის არნახული მასშტაბების შესახებაც დავწერეთ, რაც „თიბისი“ ბანკის უსტაბაშს უკავშირდება, „ქართული ოცნების“ სასამართლოს მოსამართლე **თამაზ ურთმელიძემ** გაგვამტყუნა და მამუკა ხაზარაძე გაამართლა!

**ხანდაზმულ თაღლით მამუკა ხაზარაძეს ვპირდებით, რომ იმ 5 ათას ლარს, რომელიც „ქართული ოცნების“ სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯიბიდან ამოგვაცალა და შეთქვლიფა, აუცილებლად წავართმევინებთ!**

გვითქვამს და ვიმეორებთ: ქართული ქრისტიანული იდენტობა და ჩვენი ეროვნული იდეოლოგია დგას სამ ბურჯზე — **ვახტანგ გორგასალზე, გიორგი მერჩულესა** და **იოანე ზოსიმეზე!** წმინდა მეფე **ვახტანგ გორგასალმა** ქართველებს გვიანდერძა — **„ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს და ნუ და-**



ბიძინა ივანიშვილის მიერ „კრისტის“ აუქციონზე 1 მილიონ 250 ათას გირვანქა სტერლინგად შეძენილი იოანე ზოსიმეს უძველესი და უნიკალური ხელნაწერი 2024 წლის 9 ოქტომბერს თბილისში ჩამოიტანეს და ხელოვნების მუზეუმს გადასცეს!





## კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ ჩხეტიანი**
*ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე*



**საქართველოში დაბრუნდა იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი** — ეს გახლავთ **მორიგი ქველმოქმედების აქტი** ფონდ „ქართუსა“ და **ბიძინა ივანიშვილის** მხრიდან.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ხმალაძე**
*კონსტიტუციონალისტი*



იმედია, 26 ოქტომბერს **ამომრჩეველთა აქტიურობა** ისეთი ინტენსიური იქნება, რომ **პატარა სიყალბეები** ვერ მოახდენს არსებით ზეგავლენას შედეგებზე.

„კვირის პალიტრა“

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი, ისტორიკოსი*



**შეიძლება, „ქართული ოცნება“ არ მოგწონს,** ეს შენი არჩევანია, მაგრამ ვინ მოგწონს, **ხაზარაძეს, ელისაშვილს, დოლიძეს, ნაცვლიშვილს, ცუცქირიძეს** აფერადებ?! გეკითხებით, ვის აფერადებთ — **„ბირჩს“** და **გვარამიას,** თუ **ბახარიას** და საქართველოს მარადიულ უბედურებას — **ძიძიგურს?** ან იქნებ, **არმაზ ახვლედიანი** მოგწონთ?! თუ **ნაცებს** აფერადებთ?! ოპოზიცია არჩევნებისთვის კი არა, **გადატრიალებისთვის ემზადება.** სცენარი დიდმის საელჩოში უკვე დაწერილია.

„საერთო გაზეთი“

**ეკა სეფაშვილი**
*პარლამენტარი*



პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებით ნეგატიურ შეფასებებს აკეთებენ, **ნაცმოძრაობას ჰყავს მოსყიდული და გლობალური ომის პარტიის დაკვეთას ასრულებენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ქვეყანა, რომელიც **კონგრესის შემადგენლობაში მიცვალებულებს ირჩევს,** საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ვერ დაგვიწუნებს!

„საერთო გაზეთი“

# ხანდაზმულ თაღლით მამუკა ხაზარაძეს ვპირდებით – იმ 5 ათას ლარს, რომელიც „ქართული ოცნების“ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯიბიდან ამოგვაცალა, აუცილებლად წავართმევინებთ!



**უტევებთ გზასა ბერძენთასა!“**

951 წელს, წმინდა არქიმანდრიტ **გრიგოლ ხანძთელის** გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, **გიორგი მერჩულემ** ხანძთის სავანეში დაწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და ქართველებს დაგვიტოვა უნიკალური ფორმულა-განსაზღვრება დიდი საქართველოსი, ანუ „ქართლისა“ — **„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგჳიწყალენ!“**

საქართველოს დაუძინებელ მტრებს შევახსენებთ, რომ **გიორგი მერჩულეს** მიერ ნახსენებ **ქართლში** საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხე კი არა, **ფრიადი ქუეყანა,** ანუ მთელი საქართველო — ამერი და იმერი იგულისხმება, ანუ **გიორგი მერჩულეს** ფორმულით, იმერეთიც, გურიაც, სამეგრელოც, აფხაზეთიც, სვანეთიც, აჭარაც, თუშ-ფშავ-ხევსურეთიც, სამცხე-საათაბაგოც, რაჭა-ლეჩხუმიც, ტაო-კლარჯეთიც, კახეთ-ჰერეთიც **ქართლი, ანუ საქართველოა.** ეს საკითხი დიდ ქართველ მეცნიერს **პავლე ინგოროყვას** თავის ფუნდამენტურ ნაშრომში **„გიორგი მერჩულე“** ვრცლად აქვს განხილული. სწორედ დიდი საქართველოს იდეის აღორძინება და განსაკუთრებით აფხაზეთის პრობლემის ეროვნულ პრიზმაში განჭვრეტა იყო მიზეზი, რის გამოც 1955 წელს პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“, კრემლის გადაწყვეტილებით, გაყიდვიდან ამოიღეს და გაანადგურეს!

რაც შეეხება **ბერ იოანე ზოსიმეს,** მან ქართული ღმრთის ენად გამოაცხადა, ყველა ენაზე უფრო აღმატებული მისია დააკისრა და ქართველებს დაგვიბარა — **მეორედ მოსვლის ჟამს უფალი მხოლოდ ქართულ ენაზე განიკითხავს ყოველ სულიერსო!**

ამ ფონზე ლგბტ იდეოლოგიის ვართაპეტმა და ცნობილმა ტვინმოღრეცილმა პროფესორმა **გიგი თევზაძემ,** რომელიც სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის ზეობის ჟამს განათლების პოლიტიკას კურირებდა, ქართველ საზოგადოებას „შემოუგდო“ იდეა — **ქართულ ენაზე უარი ვთქვათ და სახელმწიფო ენად ინგლისური შემოვიღოთო!**

— 2008 წლის 3 მაისს, მამაჩემის გარდაცვალების დღეს... მამა 2000 წელს დაიღუპა... ჩემი მანქანით ავარიაში მოვყევი. ტრასაზე რამდენჯერმე დავბზრიალდი და დიდ ხეს შევასკდი. საბედნიეროდ, მარტო ვიყავი, სალონში სხვა არავინ მჯდარა. მივიღე ქალა-ფუძის, ორივე მენჯისა და მარცხენა ლავიწის ძვლის მოტეხილობა, მქონდა მრავლობითი სისხლჩაქცევები თავის ტვინში. ერთი სიტყვით, 25 წლისამ სიკვდილს თვალებში ჩავხედე, მაგრამ ჩემთვის ძვირფასმა ადამიანებმა საიქიოში არ შემიშვეს, უკან დამაბრუნეს. ბებიამ და ბაბუამ კარიც არ გამიღეს — გაბრაზდნენ, აქ რა გინდაო და გამომაგდეს. უცებ მამასთან აღმოვჩნდი, კრემისფერ ოთახში. მონატრებულები ერთმანეთს ჩავეხუტეთ. გულში მაგრად ჩამიკრა, დამკოცნა, მომეფერა და კარიდანვე გამომაბრუნა — წადი, ნანას და ნატოს მიხედეო, — მთხოვა.

**— ვინ არიან ნანა და ნატო?**

— **დედა** და ჩემი უმცროსი **და.** საიქიოდან გამობრუნებული 22 დღე კომაში ვიყავი. საავადმყოფოდან მამაჩემის დაბადების დღეს გამომწერეს. კლინიკური სიკვდილის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა.

ცნობისთვის: მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები **სტიუარტ ჰამეროფი** *(40 წლის სტაჟის მქონე ანესთეზიოლოგი, ნეირობიოლოგი, მედიცინისა და ფსიქოლოგიის პროფესორი, თეორიული ფიზიკის სპეციალისტი)* და **როჯერ პენროუზი** *(მათემატიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, უამრავი პრესტიჟული* სამეცნიერო ჯილდოს მფლობელი, 2020 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში) აცხადებენ, რომ სულისა და საიქიოს არსებობა მეცნიერულად დაამტკიცეს. მათ მიერ შემუშავებული ცნობიერების კვანტური თეორიის თანახმად, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელია სამყაროს ფუნქციონირებისთვის. მათი დასკვნით, ადამიანის ტვინი ერთგვარი კვანტური კომპიუტერია, რომელსაც მართავს ცნობიერება — პროგრამული უზრუნველყოფა.

**სტიუარტ ჰამეროფმა და როჯერ პენროუზმა** ურთულეს შეკითხვებს უპასუხეს: **რა არის სული, სად არის იგი, სანამ ადამიანი ცოცხალია, როგორ ტოვებს სხეულს, არსებობს თუ არა საიქიო და რატომ აბრუნებენ იქიდან ზოგიერთებს?** ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება მათი თქმით კვანტურ ინფორმაციას წარმოადგენს, რომლის განადგურებაც შეუძლებელია. სწორედ ეს არის სული. ის სიკვდილის მერეც უსასრულოდ არსებობს, რათა ყოფიერების უფრო მაღალ სფეროებს შეუერთდეს. სული კვანტური ინფორმაციის სახით ინახება უჯრედშიდა ცილოვან სტრუქტურებში, რომლებიც თითოეული უჯრედის ციტოჩონჩხს ქმნიან. მათ მიკრომილაკებსაც უწოდებენ. სიკვდილის მომენტში ეს მიკრომილაკები თავისუფლდებიან მათში დაგროვილი საინფორმაციო-ენერგეტიკული სტრუქტურებისგან, რომლებიც ერთიანდებიან (ეს არის სული) და ტოვებენ მომაკვდავ სხეულს.

როცა გული სისხლით აღარ ამარაგებს ტვინს, მიკრომილაკების განმუხტვა ხდება, მაგრამ დაგროვილი ინფორმაცია არ ქრება, კოსმოსს ერწყმის და პირველწყაროს, იგივე ღმერთს, დაოს, ბრაჰმანს უბრუნდება, სახელს მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება საიქიოს, **როჯერ პენროუზმა** სხვა მეცნიერებთან ერთად გამოიკვლია კოსმოსის რელიქტური გამოსხივება, ანუ ის, რაც დიდი აფეთქების მერე დარჩა. ამ გამოსხივებაში ინახება ინფორმაცია სამყაროს ჩასახვისა და განვითარების შესახებ. სწორედ მასში აღმოაჩინეს უცნაური ტალღები, რომლებიც წრიულად ვრცელდებიან. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მათი სათავე ნამდვილად ჩვენი დროისა და სივრცის ზღვარს მიღმაა. ამ ტალღების წყარო ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს, ღმერთიც კი! ალბათ, საიქიოც იქ არის. **როჯერ პენროუზის** აზრით, სული სამყაროს ქსოვილის ორგანული ნაწილია, ხოლო ცნობიერება ყოველთვის არსებობდა, ე.წ. დიდ აფეთქებამდეც.

საიქიოდან მომაკვდავის უკან დაბრუნებას მეცნიერები შემდეგნაირად ხსნიან: **თუ კვანტური ელემენტები გარკვეული მოცულობის ინფორმაციითა და ენერგიით ბოლომდე არ არის დამუხტული, სულს უკან დანაკლისის შესავსებად აბრუნებენ.**

**— ნათია, რა ხდებოდა შენს თავს კომიდან გამოსვლის შემდეგ?**

— რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ რუსულად ვლაპარაკობდი. მივხვდი, რომ ყველა ენაზე შემეძლო, მესაუბრა, თუ საჭირო ნეირონებს გავააქტიურებდი. ხატვა მომინდა და პიანინოზე დაკვრა.

**— სხვა ენაზეც ალაპარაკდი?**

— ივრითის სწავლა დავიწყე, რადგანაც საღმრთო წერილი ამ ენაზეა დაწერილი. 4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიე, პედაგოგი მამეცადინებს.

**— საკმაოდ მძიმე ტრავმები გაქვს მიღებული. გაგიძნელდა რეაბილიტაცია?**

— მარცხენა ხელ-ფეხი გამიჩერდა, ერთ მხარეს მენჯი ცუდად შემიხორცდა. ექიმები ამბობდნენ, დაინვალიდდებაო, მაგრამ არ მივიღე მათი ვერდიქტი — ჩემს თავს ყოველდღე ვუმეორებდი — აუცილებლად გაივლიმეთქი და, მართლაც გავიარე.

**— გამახსენდა ტვინის ერთი სავარჯიშო: „მე შემიძლია, გავაკეთო ყველაფერი, რასაც მოვისურვებ!“ ნებისმიერი ადამიანი, თუ ამ ფრაზას ხუთჯერ ზედიზედ, შთაგონებით გაიმეორებს, იგრძნობს, როგორ დაიწყებს ტვინი ვიბრირებას.**

— ავარიის მერე სხვა პიროვნება ვარ, ძველი ნათია მოკვდა და ახალი დაიბადა. თითქოს ერთხელ უკვე დავბერდი და თავიდან დავიწყე ცხოვრება.

**— 1945 წელს ეგვიპტეში აღმოაჩინეს უძველესი ტრაქტატი, რომლის თანახმადაც ადამიანები სამ ჯგუფად იყოფიან: გელიკები, ფსიქიკები და პნევმატიკები. გელიკებს მხოლოდ მატერიალური სურვილები ამოძრავებთ, ფსიქიკები მოაზროვნე ადამიანები არიან, ხოლო პნევმატიკები — სულიერად გასხივოსნებულები... შენი ძველი ფსიქოტიპი „მოკვდა“ და ახალი დაიბადა.**

— არ ვიცი, რას მივაწერო სისხლის ჯგუფის შეცვლა... ზედიზედ სამჯერ გავიკეთე ანალიზი, პირველი უარყოფითი მაქვს, ავარიამდე მეორე დადებითი მქონდა. ექიმებს უჭირთ ამის დაჯერება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

**— ჩვენი დროის უდიდესმა მეცნიერმა პეტრე გარიაევმა (2020 წელს გარდაიცვალა) საოცარი აღმოჩენები გააკეთა კვანტურ გენეტიკაში. მისი მტკიცებით, ცნობიერების შეცვლა დნმ-საც ცვლის. აღმოჩნდა, რომ სიტყვა, ანუ აზრი იწვევს სისხლის ცვლილებას, სისხლი კი — დნმ-ის.**

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ავარიის მერე გავთხოვდებოდი კიდეც და შვილსაც გავაჩენდი. ჩემი გოგონა უკვე 12 წლისაა. ანნას ღმერთის საჩუქარს ვეძახი, მართლა მან მაჩუქა. ლოცვის დროს დენის დარტყმასავით ვგრძნობ, როგორ შემოდის უფლის ენერგია ჩემში. იმ მომენტში მხოლოდ მე და ღმერთი ვართ!

**— სულიერი კათარზისის მერე გეკითხები, რა არის ღმერთი?**

— უპირველესად, სიწმინდეა, სიკეთის ძალა... მისი ვიბრაციების მიღებას თუ შევძლებთ, წამლების გარეშეც განვიკურნებით, ფრენასაც მოვახერხებთ და უჭმელ-უსმელიც გავძლებთ.

**— გეოლოგმა არტურ იენსენმა კლინიკური სიკვდილის მერე გამოაქვეყნა წიგნი „მე ვნახე სამოთხე“, სადაც წერს, რომ საიქიო ცხოვრება მარადიულია, რადგანაც ყოვლისმომცველი სუპერვიბრაცია ელემენტებს ერთმანეთთან შეერთების საშუალებას არ აძლევს. აქედან გამომდინარე, მიწიერი ცხოვრებისგან განს-**



სტიუარტ ჰამეროფი და როჯერ პენროუზი



პეტრე გარიაევი

## „მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები სტიუარტ ჰამეროფი და როჯერ პენროუზი აცხადებენ, რომ სულისა და საიქიოს არსებობა მეცნიერულად დაამტკიცეს!“

ხვავებით, საიქიოს ობიექტებს დაბერება და დაშლა არ ემუქრებათ. ღმერთი არავის უნახავს, ყველა გრძნობს სუპერვიბრაციას, რომელიც მთელ სამყაროს აკონტროლებს წესრიგის შესანარჩუნებლად. მისი ვარაუდით, ეს ვიბრაცია ღმერთის ნაწილია. საინტერესოა ასევე საიქიოდან მობრუნებული გენერლის ევგენი ლივენცოვის ჩანაწერებიც. მისი აზრით, დედამიწასთან ძალიან ახლოსაა უზარმაზარი ცილინდრის ფორმის სასუფეველი, რომელშიც სულები სხეულიდან გასვლის მერე ხვდებიან. ჩვენი პლანეტიდან გარკვეულ მანძილზე ყოფილა ორბიტა უმძიმეს დანაშაულთა ჩამდენი პირთათვის. ისინი განიცდიან, თურმე, საკუთარ მდგომარეობას, მაგრამ დედამიწაზე ველარ ბრუნდებიან. არსებობს ასევე ადგილი, სადაც სულები რეინკარნაციისთვის ემზადებიან.

— კლინიკური სიკვდილის მერე მეც ვხედავ სულებს, ვგრძნობ მათ ენერგიას. ერთხელ ტაბახმელაში ყოფნის დროს ღამე გამეღვიძა. ოთახში შავსამოსიანი კაცი იდგა. ვკითხე — ვინა ხარ-მეთქი? — მაგრამ არ მიპასუხა და მაშინვე გაქრა. იმდენად მძიმე ენერგია ჰქონდა, რომ მეორე დღეს მღვდელს სახლი ვაკურთხებინე. რიტუალის დროს უცებ თაროდან თეფშები ჩამოცვივდა და დაიმსხვრა, ხოლო ქოთნის ვარდს ყვავილები და ფოთლები გასცვივდა. სხვათაშორის, შევნიშნე, რომ კატებიც და ძაღლებიც ხედავენ სულებს და ადამიანის აურას.

**— აურას შენც ხედავ?**

— რა თქმა უნდა! მე უკვე აურის მიხედვით ვარჩევ ადამიანებს ერთმანეთისგან. უარყოფითი ენერგიის მქონე პირებისგან თავი შორს მიჭირავს. გარდა ამისა,

# წინასწარ ვგრძნობ, ვინ შეიძლება მოკვდეს ახლო მომავალში.

**— რანაირად ხვდები?**

— **მომაკვდავს აურა თანდათან ერღვევა, მისი ენერგია ისეთი ცივია, რომ ტანში მაჟრჟოლებს ხოლმე...** თუ სიკეთეს არ ვაკეთებ, ცუდად ვარ, რადგანაც დადებით ენერგიას ვერ ვიღებ. ჩვენი სიყვარული ყველაზე მეტად, თურმე, ბავშვებსა და მოხუცებს სჭირდებათ. ძიძა არ ავიყვანე, ანნა მე გავზარდე, რადგანაც შვილი დედას გულში უნდა ჰყავდეს ჩაკრული. მოხუცებს ბევრი რამ ავიწყდებათ დროთა განმავლობაში, მხოლოდ ბავშვობა ახსოვთ კარგად. აქედან გამომდინარე, ჩემი გოგონასთვის ყველაფერს ვაკეთებ, რომ ბედნიერი იყოს... ერთი რამ ზუსტად ვიცი — აქედან მოგონებების მეტს ვერაფერს წავიღებთ.

## ბოლოთქმა

**„დასასრული არ არსებობს, იქაც ცხოვრებაა, ოღონდ უკეთესი. სიკვდილი სხვა სამყაროში შესასვლელი კარია“,** — ეს სიტყვები ეკუთვნის ფიზიკოს **ვლადიმერ ეფრემოვს,** რომელმაც საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესს საიქიო ცხოვრების პირველი მეცნიერული კვლევის შედეგები გააცნო. იგი უძლიერესი სპეციალისტია ხელოვნური ინტელექტის სფეროში. აქტიურად მონაწილეობდა გაგარინის კოსმოსში გაფრენასა და უახლესი სარაკეტო სისტემების შექმნაში. ათეისტ ეფრემოვს საიქიო ცხოვრება რელიგიურ სისულელედ მიაჩნდა, მაგრამ, როცა თავად აღმოჩნდა გიგანტურ მილში, სადაც სხეულიდან გასული სულები ხვდებიან, მეცნიერული ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყო და კვლევის შედეგები კონგრესს მოახსენა. **მისი თქმით, ამ სამყაროში ყველა და ყველაფერი ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივ კავშირშია. ობიექტები ერთიან გლობალურ საინფორმაციო სტრუქტურაში არიან თავმოყრილი და მათ სუბიექტი, ღმერთი წარმართავს კანონების თანახმად.**

*ესაუბრა* ***ნინო გოძიაშვილი***




**არტურ იენსენის წიგნი „მე ვნახე სამოთხე“**



# კახა საბახტარიშვილი:

# ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებული ავადმყოფი წელიწადში საშუალოდ ათ ადამიანს მაინც ასნებოვნებს!



***ცნობილი ჰომეოპათი და მეცნიერი, ექიმი კახა საბახტარიშვილი კაცობრიობის ერთ-ერთი გამოწვევის — ტუბერკულოზისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ გვესაუბრება და გვაფრთხილებს, რომ მისი გამომწვევი ბაცილა, ანუ კოხის ჩხირი დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ და მდგრად მიკროორგანიზმად არის მიჩნეული:***

— ტუბერკულოზი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებაა. ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ყოველწლიურად პლანეტაზე ტუბერკულოზით 3 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ე.წ. კოვიდპანდემიის დროს გარდაცვლილთა რიცხვი. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ტუბერკულოზის გამომწვევ ბაცილას, ანუ კოხის ჩხირს ყოველი ასი ადამიანიდან ოცდაათი ატარებს, მაგრამ, საბედნიეროდ, მათგან მხოლოდ სამ ადამიანს უაქტიურდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ეს საშიში ბაცილა მიძინებულ, ერთგვარ ლატენტურ მდგომარეობაშია.

**— ტუბერკულოზს უძველესი მედიცინა როგორ აღწერს და რით მკურნალობდნენ?**

— დადასტურებულია, რომ ტუბერკულოზი ჯერ კიდევ 5 ათასი წლის წინათაც იყო გავრცელებული. მას კარგად იცნობდნენ ძველი ქართველები და ეგვიპტელები. მაგალითად, მე-11 საუკუნის ქართველი მოღვაწე **ქანანელი** თავისი **„უსწორო კარაბადინში“** ტუბერკულოზის შესახებ წერს: *„ნიშანი ესე იყოს: მუდამ ახუელებდეს და მწოველ აქშინვებდეს, სწყურდებოდეს და ხორცნი დნობაშიგან იყუნენ და ხანჟამიერად სისხლსა ამოიღებდეს და პირისა სახე წითელი იყოს და წყნარად აცხელებდეს... რა ესე ნიშანი ნახო, იცოდე, სილი არის, ფილტუისა ტკივილსა ჰქუიან.“*

დავიწყოთ იმით, რომ ძველ საქართველოში ტუბერკულოზს სილი ერქვა, რომელიც არაბული სიტყვაა. სულხან-საბა მას **ჭლექსაც** უწოდებს! **ქანანელი** ზუსტად გადმოგვცემს ფილტვის ტუბერკულოზის ნიშნებს. მას ახასიათებს სუბფებრილური ტემპერატურა, ანუ ისეთი ცხელება, როდესაც ტემპერატურა ცელსიუსით 37,0-37,9 გრადუსის ფარგლებშია, რაც თვეების მანძილზეც კი შეიძლება გაგრძელდეს. მუდმივი ხველა, სუნთქვის გაძნელება, წონაში კლება და ფილტვებიდან სისხლდენა, რომელსაც **ქანანელი** აღწერს, ზუსტად ესადაგება ფილტვის ტუბერკულოზის ნიშნებს.

ძველად ტუბერკულოზი მოურჩენელი დაავადება იყო და თითქმის ყოველთვის სიკვდილს იწვევდა. სამკურნალოდ იყენებდნენ ვერცხლისწყალზე, ტყვიასა და დარიშხანზე დამზადებულ პრეპარატებს, რაც ავადმყოფის სიკვდილს კიდევ უფრო აჩქარებდა. ძველი ექიმები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ტუბერკულოზიან პაციენტზე დადებითად მოქმედებდა მთის ჰაერი და წიწვოვანი ტყე. სწორედ ამიტომ რუსეთის იმპერატორებმა — **რომანოვებმა** თავიანთი ოჯახის წევრს, რომელიც სწორედ ტუბერკულოზით იყო დაავადებული, აბასთუმანში აუშენეს სასახლე. საქმე ის გახლავთ, რომ მზის შუქი, ჟანგბადი და წიწვოვანი მცენარეების მიერ გამოყოფილი არომატული ფიტონციდები ტუბერკულოზის გამომწვევ ბაცილებზე დამღუპველად მოქმედებს!

**— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ადამიანს ტუბერკულოზი აქვს?**

— ტუბერკულოზის პირველი ნიშანი სისუსტე და ხველაა. თუ ადამიანს დაეწყო მშრალი ან სველი ხველა, რომელიც მკურნალობის მიუხედავად, სამი კვირის განმავლობაში არ წყდება, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ეჭვი ტუბერკულოზზე უნდა მივიტანოთ! დამატებით ტუბერკულოზს თან ახლავს წონაში უმიზეზოდ კლება, ჰაერის უკმარისობა, ქოშინი, ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდის არეში, ტაქიკარდია და ოფლიანობა, რომელიც განსაკუთრებით ღამით ძლიერდება.

ტუბერკულოზის დროს ნახველში სისხლი უფრო გვიან ჩნდება, როცა პროცესი შორს არის წასული. **გვახსოვდეს, რომ ტუბერკულოზი ხშირად პნევმონიით, ანუ ფილტვის ანთებით ინიღბება!** თუ ფილტვის ანთების მკურნალობამ ათ დღეში შედეგი არ გამოიღო, მაშინ ავადმყოფმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ფთიზიატრს, ანუ ტუბერკულოზის ექიმს! სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი პაციენტები თვეობით ღებულობენ ათასგვარ წამლებს, რის გამოც ორგანიზმი ამ წამლების მიმართ შემგუებელი ხდება და ტუბერკულოზი მთელი სისწრაფით ვრცელდება.

**— რამდენი ტიპის ტუბერკულოზი არსებობს?**

— ტუბერკულოზი ორი ტიპისაა — **ფილტვის და ფილტვსგარე.** ფილტვსგარე ტუბერკულოზში იგულისხმება — ძვლის, სახსრების, ლიმფური სისტემის, შარდსასქესო ორგანოების, თვალის, კანის, მუცლის ღრუს ორგანოების ტუბერკულოზი. ყველა ეს ტუბერკულოზი მომაკვდინებელია, მაგრამ, საბედნიეროდ, ძალზე იშვიათია. რაც შეეხება **ფილტვის ტუბერკულოზს,** ის ორი სახისაა — **ღია და ფარული, ანუ ლატენტური.** ფილტვის ღია ტუბერკულოზის დროს ადამიანი ბაცილებს პირდაპირ გარეთ აფრქვევს. ეს ხდება საუბრის, დახველების, დაცემინების დროს. ლატენტური ტუბერკულოზის შემთხვევაში კი შემდეგი რამ ხდება — იმუნური სისტემა ტუბერკულოზის გამომწვევ კოხის ჩხირს მართალია, ვერ კლავს, მაგრამ გამრავლების საშუალებასაც არ აძლევს. ასეთი ადამიანი ტუბერკულოზს ვერავის გადასდებს. რაც შეეხება ტუბერკულოზის ღია ფორმას, ის გადამდებია.

საშუალოდ გამოთვლილია, რომ ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებული ავადმყოფი წელიწადში საშუალოდ ათ ადამიანს მაინც ასნებოვნებს. საერთოდ, ტუბერკულოზის ბაცილა, ანუ კოხის ჩხირი ერთ-ერთ ყველაზე უფრო სასიკვდილო და გარემოს ზემოქმედებისადმი მდგრად მიკროორგანიზმად არის მიჩნეული.

კოხის ჩხირზე არ მოქმედებს:

1. სპირტი, ტუტე და მჟავა;
2. არ ეშინია დაბალი ტემპერატურის;
3. მრავლდება ნესტში, სიბნელესა და გაუნიავებელ სათავსოებში;
4. ჰაერით სწრაფად ვრცელდება (საუბრისას — 70 სანტიმეტრამდე, ხოლო დახველებისა და დაცემინებისას — 3 მეტრამდე);
5. ორგანიზმის გარეშე ძლებს ოთხი თვე, ხოლო წყალში — ერთი წელი;
6. მდგრადია უამრავი ქიმიური პრეპარატის მიმართ;
7. იღუპება სითბოს, მზის შუქისა და ქლორის შემცველი ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად.



აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, თუ ტუბერკულოზის ღია ფორმის მატარებელ ადამიანს 5 წუთის განმავლობაში მაინც ვესაუბრებით, ავადმყოფი ამ დროის მონაკვეთში დაახლოებით 3500 ერთეულ კოხის ჩხირს მაინც გამოყოფს, ხოლო, თუ დაავადებულმა ჩვენს სიახლოვეს ერთხელ მაინც დააცემინა, მაშინ ის 1 მილიონამდე კოხის ჩხირს გამოსტყორცნის. ბაცილების ეს რაოდენობა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ რამდენიმე ადამიანი, რომელსაც სუსტი იმუნიტეტი აქვს, მაშინვე ტუბერკულოზით დაავადდეს!

**— რატომ გვხვდება ტუბერკულოზის შემთხვევები უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთში და რატომ უწოდებენ ტუბერკულოზს პატიმართა დაავადებას?**

— როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **კოხის ჩხირი** განსაკუთრებით კარგად გრძნობს თავს ნესტიან გარემოში. დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში კი, აღმოსავლეთთან შედარებით, ტენიანობა მაღალია. ტუბერკულოზი პატიმართა დაავადებაც იმიტომ იყო, რომ ციხის საკნები არ ნიავდებოდა, იყო ბნელი და ნესტიანი. ამას ისიც ემატებოდა, რომ პატიმრები ცილოვან, მსუყე საკვებს ვერ ღებულობდნენ და ტუბერკულოზით ადვილად ავადდებოდნენ.

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## „თუ ადამიანს დაეწყო მშრალი ან სველი ხველა, რომელიც მკურნალობის მიუხედავად, სამი კვირის განმავლობაში არ წყდება, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ეჭვი ტუბერკულოზზე უნდა მივიტანოთ!“



# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგიური სახლები ჩვენს ჰოროსკოპში და მათი მნიშვნელობა

*— რა მაჩვენებლებით შემოიფარგლება და რას გვიჩვენებს კოსმოგრამა? რას ეწოდება ჰოროსკოპი და მის შესადგენად რისი ცოდნაა აუცილებელი? ამ მიმართებით რა მნიშვნელობა ენიჭება ასტროლოგიურ სახლებს? როგორ შეიძლება, დავაჯგუფოთ ანდა თითოეული მათგანი რაზეა პასუხისმგებელი და რას გვამცნობს? რომელი ასტროლოგიური სახლი მიუთითებს ადამიანის ხასიათზე, პიროვნულ ტიპზე, ცხოვრებისეული მოვლენების თანამიმდევრობაზე, თვითგამოხატვის თუ თვითშეფასების უნარზე ანდა რომელი მათგანია პასუხისმგებელი ქონებაზე, შემოსავალზე და მის წყაროებზე, ფინანსურ პერსპექტივებზე, ლატარიაში მოგების შესაძლებლობაზე ანდა რომელია მათი ძირითადი მახასიათებლები? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— ჰოროსკოპს რას უწოდებენ და რა მაჩვენებლებს მოიცავს?**

— დავიწყებ იმით, რომ ხშირად ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან — „ვინ ხარ ჰოროსკოპით“? და პასუხად ასახელებენ ზოდიაქოს ნიშანს, რომლის გასაგებად საკმარისია დაბადების **თვისა და რიცხვის ცოდნა.** თუ, ამავდროულად, გვეცოდინება ადამიანის **დაბადების წელიწადიც,** მაშინ შეგვიძლია, შევადგინოთ მისი **კოსმოგრამა,** რომლის მიხედვითაც გავიგებთ ძირითად მახასიათებლებს, მაგრამ ადამიანზე სრული ასტროლოგიური ინფორმაციის მისაღებად ეს მონაცემი არ არის საკმარისი, რადგან **კოსმოგრამზე** არ არის ასახული **ასტროლოგიური სახლები,** რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ცხოვრებისეულ სფეროებზე მსჯელობა და **ჰოროსკოპი** სწორედ ამას ეწოდება. ამისათვის კი აუცილებელია, ადამიანის **დაბადების ადგილი და ზუსტი დროც** ვიცოდეთ. სხვაგვარად შეუძლებელია ადამიანის სრულფასოვანი ასტროლოგიური შეფასება და **ჰოროსკოპის** შედგენა. შედარებისთვის შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ექიმი პაციენტს ანალიზების გარეშე მხოლოდ სიმპტომების მიხედვით დაუსვამს დიაგნოზს.

**— კოსმოგრამა უფრო ზუსტად რა ინფორმაციას გვაწვდის და რას გვიჩვენებს?**

— **კოსმოგრამა და მასზე მოცემული ციური სხეულები გვიჩვენებენ იმ პოტენციალს, რომელიც ადამიანს დაბადებიდანვე ეძლევა, მაგრამ, თუ სად გამოვლინდება და, კერძოდ, რომელ სფეროში ექნება წარმატების მიღწევის დიდი შანსი, ამაზე არ მიუთითებენ. ამის შესახებ ინფორმაციას ასტროლოგიური სახლები გვაწვდიან, ანუ გვიჩვენებენ, თუ როგორ, სად და რამდენად გამოვლინდება ამ ადამიანის შესაძლებლობანი, თვისებები და ეს ყოველივე როგორ აისახება მის ყოველდღიურ ცხოვრებაში.** ნიშანდობლივია ისიც, რომ თითოეული **ასტროლოგიური სახლი** ადამიანის ცხოვრების გარკვეულ სფეროს (სფეროებს) შეეხება, ხოლო ერთად თორმეტივე მოიცავს მთელ სპექტრს. იქნება ეს გარეგნობა, ხასიათი, მიდრეკილებები, ნიჭი, უნარები, პირადი თუ საქმიანი ურთიერთობები, დამოკიდებულებები, ოჯახი, პროფესია, თვითრეალიზაცია, ფინანსები, მოგზაურობები თუ გართობა.

**— ასტროლოგიური სახლები ადრეც არაერთხელ გიხსენებიათ. ამჯერად უფრო დეტალურად გაგვაცანით მათი დანიშნულება.**

— **ასტროლოგიური სახლები, მათი მახასიათებლების მიხედვით, შეგვიძლია ჯგუფებად დავყოთ.** მაგალითისთვის, **ასაკის მიხედვით:** I, ,IV, VII და X **ბავშვობის სახლებია.** II, V, VIII და XI **ზრდასრულობისაა.** III, VI, IX და XII **სიბერისაა.** ამგვარი დაყოფა შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპის შესასწავლად. სხვაგვარი დაყოფა, მაგალითად I-დან VIII-მდე სახლები გვამცნობენ ადამიანის ცხოვრების მატერიალურ მხარეს, ხოლო IX-დან XII-მდე — მის ზნეობრივ და სულიერ ცხოვრებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, უმთავრესია და დიდი ყურადღება ენიჭება ინფორმაციას, რომელსაც გვაწვდის თითოეული სახლი თავისი გამორჩეული და სრულად განსაზღვრული სფეროთი. ამგვარად, მოდით, თითოეული მათგანი განვიხილოთ.

**I — პირადი „მე“-ს სახლი უკავშირდება მოცემული ჰოროსკოპის პატრონს. მის პიროვნულ თვისებებსა და გარეგნობას. ამ სახლში განლაგებული პლანეტები კი მიგვითითებენ ხასიათსა და ნაწილობრივ ბედზე. იმისდა მიხედვით, თუ რომელი პლანეტებია და რა თანმიმდევრობით წარმოდგენილი, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ პიროვნულ ტიპზე და ცხოვრებისეული გარკვეული მოვლენების თანამიმდევრობაზე.** ნიშანდობლივია, რომ **I სახლი** შეესაბამება **ვერძის** თანავარსკვლავედს და მის მმართველ **პლანეტა მარსს.** ამ ასტროლოგიური სახლის ძირითადი მახასიათებლებია **გარეგნობა, მანერები, ტემპერამენტი, ხასიათი, თვითგამოხატვის უნარი და თვითშეფასება.**

**II შესაძლებლობების სახლი პასუხისმგებელია ქონებაზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე.** იგი იმ მატერიალურ რესურსს გვიჩვენებს, რომელსაც ადამიანი დაბადების მომენტში ფლობს მშობლების ქონებიდან გამომდინარე. ასევე მიგვითითებს ცხოვრების მანძილზე არსებულ ფინანსურ პერსპექტივაზე, ლატარიაში ან სხვა საშუალებით მოგების შესაძლებლობაზე. **ამ ასტროლოგიურ სახლს შეესაბამება კუროს თანავარსკვლავედი და განაგებს სიყვარულისა და ხელოვნების, ასევე ფინანსების მმართველი პლანეტა ვენერა. II ასტროლოგიური სახლის** მიხედვით შესაძლებელია, განისაზღვროს ფინანსური და მატერიალური მდგომარეობა, რომელსაც ადამიანი ცხოვრების მანძილზე გამოიმუშავებს თავისი შრომით, ძალისხმევით თუ სხვადასხვა საშუალებით და მეთოდით. **II სახლის ძირითადი მახასიათებლები გახლავთ რესურსი, ქონება, შემოსავალი, ბიუჯეტი, სიმდიდრე, ნაღდი ფული, შემოსავლის წყარო და ხარჯვის სახეობები.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 14 – 20 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)

დრო რაციონალურად დაგეგმეთ და ამ პერიოდში ბევრი საქმის მოსწრებას შეძლებთ. თქვენ მიმართ კრიტიკის მოსმენისას ნუ გაღიზიანდებით და ეცადეთ, გამოასწოროთ შეცდომები. თქვენთვის მთავარი იქნება ოჯახი და მასში სიმშვიდისა და ჰარმონიის შენარჩუნება. ეცადეთ, გარშემო მყოფებთან ურთიერთობისას საქმიანი და ქმედითი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოთ. სუსტების დახმარებისას ნუ მოაკლებთ ყურადღებას ახლობელ ადამიანებსაც, რათა არავინ გაგინაწყენდეთ. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**კურო** (21.04-20.05)

შინაგანი სიმშვიდე და ჰარმონია ჯანმრთელობისა და ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი გახდება. მოემზადეთ ახალი პროექტების დასაწყებად. არსებობს კარიერაში წინსვლის ალბათობაც. თუ სასიყვარულო კავშირი არ გაკმაყოფილებთ, შესაძლოა, დაფიქრდეთ მის გაწყვეტაზე. კოლეგასთან დაწყებული სასიყვარულო კავშირი გარშემო მყოფების საჭორაო თემად შეიძლება გადაიქცეს. კონტაქტებისა და გადაადგილებების დროს ფრთხილად იყავით, რათა არ დაშავდეთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)

მეტი დრო გაატარეთ საზოგადოებაში და იმუშავეთ გუნდურად. შესაძლოა, მოგიწიოთ სამართლებრივი საკითხების განხილვა ან ხელშეკრულებების დადება. ფარული ინფორმაციის მიღებისას ნუ დაკარგავთ რეალობის შეგრძნებას და მოერიდეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. რთულ მომენტებში შეცდომებისაგან დაგიცავთ ტრადიციული მეთოდებით მოქმედება. ექსტრავაგანტულ ადამიანთან რომანი სახალისო მოგეჩვენებათ, თუმცა, შესაძლოა ბევრი რამ ილუზია აღმოჩნდეს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)

მოერიდეთ საკუთარ თავზე ახალი მოვალეობების აღებას, რადგან დამატებითი საქმე გაგირთულებთ ცხოვრებას და პრობლემებს შეგიქმნით ურთიერთობებში. ახალი საქმეებიდან მოგების მიღებისას ნუ ენდობით უცნობ პარტნიორებს და აუცილებლად გადაამოწმეთ იურიდიული და ფინანსური საბუთები. ოჯახის საქმეები ჯობს, ახლობლებს გადააბაროთ, რათა არ დაუშვათ შეცდომები. კოლეგიალური ან მეგობრული ურთიერთობა შესაძლოა, სასიყვარულოში გადაიზარდოს.

**ლომი** (23.07-23.08)

საკმაოდ მშვიდი იქნებით, თუმცა, მოგეჩვენებათ, რომ ყველა ცდილობს თქვენს გაბრაზებას. სიფრთხილე გამოიჩინეთ თანამშრომლობისას და ნუ გამოეკიდებით დიდ და სწრაფ მოგებას. სამუშაოს სირთულის გამო შესაძლოა, პერიოდულად თავი შეუძლოდ იგრძნოთ. კარგი იქნება, თუ გააფართოვებთ საურთიერთო წრეს. ეს კარგი დროა მიმოწერის, ძველი კავშირების აღდგენისა და სასიყვარულო ურთიერთობისთვის. მოგზაურობა კი დროებით სასურველია, გადადოთ, რათა თავიდან აიცილოთ მოულოდნელობები.

**ქალწული** (24.08-23.09)

საქმე ბევრი იქნება, თუმცა, ემოციურობისა და რომანტიკული გრძნობების გამო გონება გაფანტული გექნებათ. მოსალოდნელია, როგორც მოულოდნელი ხარჯი, ასევე შემოსავლის მიღებაც. მუშაობისას ორიგინალური მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ და სამუშაო პროცესს გაგიხალისებთ. თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნება დაფასებისა და აღიარების მოპოვება, ამიტომ ნუ ისაუბრებთ ხმამაღლა თქვენს მიღწევებზე.

## 14 – 20 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)

გაიზრდება სასიცოცხლო ძალები. თქვენ მეტად შრომისუნარიანი, მზრუნველი და ყურადღებიანი გახდებით. შეძლებთ ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას. კარგი დროა მოგზაურობებისა და მივლინებებისთვის. უცხოეთში თავს დაცულად, მშვიდად და თავისუფლად იგრძნობთ. ნურაფერში ნუ გარისკავთ. ინფორმაცია კარგად გადაამოწმეთ და ნუ ენდობით ჭორებს. ვნებები გაგილამაზებთ სასიყვარულო სფეროსა და პირად ცხოვრებას, თუმცა, ეცადეთ, საყვარელ ადამიანს არაფერზე დაწყვიტოთ გული.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)

კომფორტის, უსაფრთხოებისა და მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნილება ძალზე გაგეზრდებათ. შესაძლოა, დამატებითი სამუშაო ადგილიც აღმოაჩინოთ. მიუხედავად ამისა, ნუ დახარბდებით სწრაფ შემოსავალს და ახლობლებთან ურთიერთობისას მოერიდეთ პრაგმატულ გათვლებს, რათა პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში არ გახშირდეს გაუგებრობები. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ჯერ ნუ მიიღებთ. მოგზაურობისას მოერიდეთ უცნობებთან ზედმეტ სიახლოვეს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)

საკუთარი საქმის წარმოებისას მეტი ყურადღებით ჩაუკვირდით საბუთებსა და იურიდიულ საკითხებს. მეტ დროს გაატარებთ ხალხთან, თუმცა, არჩევითობით იურთიერთებთ გარშემო მყოფებთან, რაც მეტად ნაყოფიერს გახდის თქვენს კონტაქტებს. გაუმჯობესდება ურთიერთდამოკიდებულება ნათესავებთან, მეტი ინტერესი გაგიჩნდებათ ფარული ცოდნის, ფსიქოლოგიისა და ეზოთერული მეცნიერებების მიმართ. მეგობრული ურთიერთობა შეიძლება, სასიყვარულოში გადაიზარდოს და დიდხანს გაგრძელდეს.

**თხის რქა** (22.12-19.01)

ძველი საქმეების მოგვარებისა და დასრულების დროა. მიუხედავად იმისა, რომ ენერგიის ნაკლებობა სიზარმაცისკენ გიბიძგებთ, ცხოვრებისეული ცვლილებები დამოკიდებულს გაგხდით გარემოებებზე და შესაძლოა, ნაკლებად კომფორტულ პირობებში აღმოჩნდეთ, რის გამოც აუცილებელი იქნება საჭირო ზომების დროულად მიღება. ახალ ინფორმაციას ადვილად მიიღებთ და აითვისებთ. უცხოელებთან საქმიანი კავშირი ან სხვა ქალაქებში მოგზაურობა მეტ პერსპექტივებს გიქადით მომავალში.

**მერწყული** (20.01-18.02)

მიმდინარე პროცესებში კარიერაში წარმატებების მიღწევა მარტივი არ იქნება. როგორც საკუთარ, ასევე პარტნიორთა, ოჯახის წევრთა, საყვარელ ადამიანთა და მეგობართა საქმეებში ბევრ გაუგებრობას ექნება ადგილი. შესაძლოა, გარკვეულ დათმობებზეც მოგიწიოთ წასვლა. გეგმებისა და მიზნების განხორციელებას ზუსტი გათვლები და მეთოდური მუშაობა დასჭირდება. თქვენი ოცნებების ხორცშესხმაში რჩევებით დაგეხმარებიან თანამოაზრეები. შესაძლოა, დაიძაბოს სასიყვარულო სფეროც.

**თევზები** (19.02-20.03)

შემოქმედებითად იქნებით განწყობილი და შესაძლოა, ადვილად შეცვალოთ ცხოვრების ჩვეული წესი. არ გაგიჭირდებათ სწრაფი და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება. გამოიყენეთ ეს დღეები ახალი სტრატეგიის შესამუშავებლად, მაგრამ განხორციელება სხვა დროისთვის გადადეთ. კარგი დროა სამეცნიერო საქმიანობისთვის და სხვათა საიდუმლოებების გასაგებად. იდეალური რომანტიკული ურთიერთობა კი მხოლოდ თქვენს ფანტაზიაში პოვებს ადგილს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 14, 15, 17 და 19 ოქტომბერი

**2 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 22.51 საათზე;**
**მზის დაბნელება, პიკი – 22.45 საათზე;**
**17 ოქტომბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 16.48 საათზე.**

## ასტროლოგიური კვირა

### 14 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.12 საათზე, ჩადის 17.21 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 15.51 საათზე, ჩადის 15 ოქტომბერს 01.58 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 17.53 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული დღეა. ნებისმიერი საქმიანობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. ემოციები, არაადეკვატური რეაქციები და გაღიზიანება აკონტროლეთ. მოვლენებს მეტი ყურადღება მიაქციეთ, კონფლიქტს მოერიდეთ. პროვოკაციას არ აჰყვეთ. არ არის სასურველი სხვისთვის გულის გადაშლა, წუწუნი, ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება, საიდუმლო საქმეების წარმოება, ანალიზის ჩაბარება, ექოსკოპია, სესხის აღება-გაცემა, ახალი საქმის დაწყება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, კონტრაქტის დასადებად, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 15 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.13 საათზე, ჩადის 17.19 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.33) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 16.19 საათზე. ჩადის 16 ოქტომბერს 03.17 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 18.00 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.01 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული დღეა. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პარტნიორთან ურთიერთობისას იმატებს რომანტიკულობა, მგრძნობელობა, ქარიზმა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, ამულეტების, ხატების, მუსიკალური ინსტრუმენტების შესაძენად, სპონსორის მოსაძიებლად, კონტრაქტის დასადებად. არ არის სასურველი საიდუმლო საქმიანობა, სესხის აღება-გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალების მიღება, ახალი ფეხსაცმლის ჩაცმა ან ყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 16 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.15 საათზე, ჩადის 17.18 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 16.43 საათზე, ჩადის 17 ოქტომბერს 04.36 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 18.07 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** კარგად ნაფიქრი საქმის დაწყების დღეა. მშობლების რჩევები გაითვალისწინეთ. დღეს და ხვალ მოერიდეთ ყავისა და შოკოლადის მირთმევას, სასარგებლოა სუფთა წყლის დალევა. იმატებს ამბიციურობა, ეჭვიანობა, კამათისკენ მიდრეკილება. ეფექტური იქნება ყელის, ენდოკრინული სისტემის, თირკმლების მკურნალობა. თვალებს ნუ დაღლით. კარგი დღეა ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, მგზავრობისთვის, ტანსაცმლის, ავეჯის, მჭრელი საგნებისა და ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული ნაწარმის შესაძენად, სპორტული შეჯიბრებებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, კაპიტალდაბანდება, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 17 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.16 საათზე, ჩადის 17.16 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.15) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 17.08 საათზე, ჩადის 18 ოქტომბერს 05.56 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 18.15 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 15.28 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზაც). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.27 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები: გეომაგნიტური დღეა. სავსემთვარეობის** დაძაბული დღეა. მაღალია აგრესია-დეპრესიის, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების, ავარიული სიტუაციების ალბათობა. მოერიდეთ პროვოკაციებს, ემოციურობას. არ არის სასურველი ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება, ბინის შეცვლა, ქორწინება, ახალი საქმის დაწყება, ხელშეკრულების დადება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება. სასიკეთოა ლოცვა, ყველას დალოცვა, მიტევება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, ზომიერად ვარჯიშებისთვის. მოერიდეთ აზარტულობას, მათ შორის, საჭის მართვისას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** იაგუნდი, წითელი იასპი, გიშერი, ფირუზი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 18 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.17 საათზე, ჩადის 17.15 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 17.37 საათზე, ჩადის 19 ოქტომბერს 07.18 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 18.25 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **მშვილდოსნის** ზოდიაქოში (11 ნოემბრამდე), რაც პარტნიორთან ურთიერთობისას გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, ოპტიმიზმს, აქტიურობას, მგზავრობისკენ მიდრეკილებას, სულსწრაფობას, ეგოიზმს, სარკაზმს. მოიმატებს ფულის უცხოეთში დაბანდება სწავლასა და ინვესტიციებში, სპორტში. დღეს და ხვალ გრძნობები აკონტროლეთ. ნურაფერს ნუ დაგეგმავთ, თავისუფალი გრაფიკით იცხოვრეთ. შედეგიანი იქნება სახის კანის, თმის კვება, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი სიზარმაცე, გარისკვა, ცივი სასმელების დალევა, ორპირ ქარში ყოფნა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 19 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.18 საათზე, ჩადის 17.13 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 18.12 საათზე, ჩადის 20 ოქტომბერს 08.41 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 18.41 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.34 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს უფრო შეძლებთ საკუთარ თავში გარკვევას. ეფექტური იქნება სახის მოვლა, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სიჯიუტის გამოვლენა, სულსწრაფობა, ცივი და გაზიანი სასმელების დალევა, კისრის მკვეთრი მოძრაობები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 20 ოქტომბერი , კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.19 საათზე, ჩადის 17.12 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (00.03) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 18.55 საათზე, ჩადის 21 ოქტომბერს 10.01 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 19.07 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობასა და გარეგნობის მოწესრიგებას. ყურადღება გმართებთ, შესაძლოა, ცბიერი და უზნეო ადამიანის მახეში გაებათ. კარგი დღეა პირადი და საქმიანი კავშირების განსამტკიცებლად, მგზავრობისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, სავაჭრო გარიგებისთვის, გაცვლითი ოპერაციებისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა. ნებისმიერი ინფორმაცია შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები, ნერვული სისტემა. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**14 ოქტომბერი. ორშაბათი. დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა. საფარველი ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.** მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი.

**15 ოქტომბერი. სამშაბათი.** წმიდათა დიდმოწამეთა: დავითისა და კონსტანტინესი, არგვეთის მთავართა; მოწამეთობა. მღვდელმოწამისა კვიპრიანესი და მოწამეთა იუსტინე ქალწულისა და თეოქტისტესი; ნეტარისა ანდრიასი, ქრისტესთვის სალოსისა.

**16 ოქტომბერი. ოთხშაბათი.** მღვდელმოწამეთა: დიონისე არეოპაგელისა, ათენელი ეპისკოპოსისა, რუსტიკე ხუცისა და ელევთერ დიაკონისა; ღირსისა იოანე ქოზიბელისა, კესარიელი ეპისკოპოსისა; ნეტარისა ისიხი ქორებელისა.

**17 ოქტომბერი. ხუთშაბათი. მღვდელმოწამისა ევდემოზ I-ისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა;** მღვდელმოწამისა იეროთესისა, ათენელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: გაიოზისა, ფავსტოსისა, ევსევისა და ქერიმონისა; მღვდელმოწამისა პეტრე კაპეტოლიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: დომნინასი და ორთა ასულთა მისთა ვირინეასი და პროსკუდიასი; ღირსისა ამონისა; ღირსისა პავლე უბრალოსი; მოწამეთა დავიქტისა და ასულისა მისისა კალისთენიასი; წმიდისა სტეფანე შილიანოვიჩისა.

**18 ოქტომბერი. პარასკევი. ღირსისა გრიგოლ ხანძთელისა, კლარჯეთის სავანეთა აღმაშენებელისა და არქიმანდრიტისა;** ტაო-კლარჯეთის უდაბნოთა ღირსთა მამათა და დედათა: კათალიკოსთა: ნერსესი, იშხნის პირველად აღმაშენებელისა და ნეტარისა ილარიონისა, წყაროსთავის მამისა და აღმაშენებელისა; მღვდელმთავართა: სტეფანე მტბევარისა, ზაქარია ანჩელისა, მაკარი ანჩელისა, ეზრა ანჩელისა, საბა იშხნელისა; ღირსისა მამისა იოანესი, ბაღდათს სარკინოზთაგან მოკლულისა; ღირსთა მამათა: თეოდორე ნეძველისა, ქრისტეფორე კვირიკეწმიდელისა, ამონასი, პეტრესი, სამოელისა, ანდრიასი, ამბა გიორგისი, მაკრისი; შიო სასწაულმოქმედისა, გიორგისი, მიქაელისა, პავლესი, ბასილისი; ხვედიოსისა, ეპიფანესი, მატოსი, ზენონისი, არსენისი, იოვანესი, ბასილისი, დიმიტრიოსისა, არსენისა, მაკარისი, თეოდორესი, გაბრიელისი, გიორგი მერჩულესი.

**19 ოქტომბერი. შაბათი. წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა თომასი.**

**20 ოქტომბერი. კვირა. ღირსისა იოსებ ხუცისა, მოხევისა, სასწაულმოქმედისა;** მოწამეთა: სერგისა და ბაქოსი; მოწამეთა იულიანე ხუცისა და კესარი დიაკონისა; მოწამისა პელაგია ტარსიელისა; მოწამისა პოლიქრონი ხუცისა.




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში

გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სისტოლა; 7. პარია; 12. კრატერი; 13. ნუარე; 14. მერკური; 15. რუპია; 16. ჰერმესი; 17. ნაივი; 18. ტაივანი; 19. ქართუ; 20. ტროპარი; 21. რამპა; 23. შაპიტო; 26. თხილი; 28. სიბილა; 31. მერი; 32. მინარეთი; 33. მაგია; 34. სარდინი; 35. ტასი; 36. მეგობარი; 37. სტაჟი; 38. ნიელო; 40. ალენ; 41. დინამიტი; 45. რურკი; 46. კირი; 47. კუ; 48. ბებია; 51. კაჰკაჰი; 52. პა; 53. მურტალო; 55. სტელაჟი; 57. დრენაჟი; 59. რეტირადი; 61. სტილბი; 62. ღიმილი; 63. ურო.

შვეულად: 1. სამიტი; 2. სურდინა; 3. ოკულარი; 4. აკიჰიტო; 5. პატრიოტი; 6. სენეგალი; 7. პირიქითა; 8. რაპორტი; 9. ანანური; 10. მარიამ; 11. ბერიკა; 22. პარასკევი; 23. შპიგელი; 24. პიანოლა; 25. ტყემალი; 27. ლეგრანი; 28. სისინი; 29. ბარიერი; 30. ლუიდორი; 31. მატიანე; 33. მისტიკა; 39. ლურჯა; 41. დეკადა; 42. ნიჭიერი; 43. მძახალი; 44. ტაიმირი; 46. კარატი; 48. ბზე; 49. ბრაილი; 50. ამიმია; 52. პო; 54. ლია; 56. ტასო; 58. ნიუ; 60. რუ.

გალიანომერილინონიანიონისეულისესიათამარილი
ფირმანიკოლეგაძეგლისერიალიკაპიტანინიცაგერი

| იტალიელი დიზაინერი | მსახიობი ... მონრო | საზოგადოება „სტალინელის“ ლიდერი | ხევისბერი გოჩას ვაჟი | ჟ. ჟოისის რომანი | ძველებური თოფი | მლაშე სანელებელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ისტ. სახელმწიფო ძვ. რომის აღმოსავლეთით | ცალკე ოთახი სასტუმროში | ძალიან წმინდა ბაპტისტი | უარყოფითი მუხტის იონი | კორეის დედაქალაქი | პარლამენტის პერიოდული სხდომა | საქართველოს მეფე ქალი | მსახ. ბრიუს ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 7. ინდოეთის ე.წ. „ხელშეუხებელთა“ კასტა; 12. ვულკანის ყელი; 13. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 14. მომღერალი ფრედი ...; 15. ინდოეთის ფულის ერთეული; 16. ღმერთების მაცნე; 17. განსაცვიფრებელი სილამაზე მხატვრობაში; 18. ქვეყანა აღმოსავლეთ აზიაში; 19. ბანკი „...“; 20. სალოცავი ლექსები მართლმადიდებელ ეკლესიაში; 21. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 23. ბრეზენტის კარავი საცირკო წარმოდგენებისთვის; 26. ნაყოფი, რომლის გული ცხრა ძმამ გაიყო (ანდ.); 28. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთში; 31. გალაკტიონის მუზა; 32. მეჩეთის კოშკი; 33. ჯადოქრობა, მისნობა; 34. ზღვის პატარა თევზი; 35. რუსული საინფორმაციო სააგენტო იტარ ...; 36. გულითადი ამხანაგი; 37. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 38. მოსავადების ტექნიკა; 40. მსახიობი ... დელონი; 41. ასაფეთქებელი ნივთიერება; 45. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 46. სამშენებლო მასალა; 47. ბაკნიანი არსება; 48. დიდედა; 51. ტყის ფრინველი; 52. ნაბიჯი ცეკვაში; 53. კუკარაჩას მკვლელი; 55. თაროედი; 57. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი ხერხი; 59. საზოგადოებრივი საპირფარეშო; 61. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 62. კონსტანტინე გამსახურდია — „დიონისოს ...; 63. დიდი ჩაქუჩი.

შვეულად: 1. შეხვედრა უმაღლეს დონეზე; 2. მუსიკალური საკრავების ხმის ჩამხშობი მოწყობილობა; 3. ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი; 4. იაპონიის ყოფილი იმპერატორი; 5. მამულიშვილი; 6. აფრიკის სახელმწიფო; 7. პირიქით მდებარე ობიექტი; 8. პატაკი; 9. სოფელი დუშეთის რაიონში; 10. ქართველი სოპრანო ... გეგეჭკორი; 11. ბერიკაობის მონაწილე; 22. კვირის ერთ-ერთი დღე; 23. გერმანული ჟურნალი; 24. მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად უკრავს პიანინოს; 25. მჟავე საწებლის მთავარი ინგრედიენტი; 27. ფრანგი კომპოზიტორი; 28. გველის ხმიანობა; 29. ზლუდე; 30. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 31. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი; 33. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 39. მაგდანას სახედარი (ლიტ.); 41. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 42. ნიჭით დაჯილდოებული; 43. ცოლ-ქმრის მშობლები ერთმანეთის მიმართ; 44. რუსეთის უდიდესი ნახევარკუნძული; 46. ძვირფასი თვლების წონის ერთეული; 48. პურეულის ნამჯის ნალეწი; 49. უსინათლოთა შრიფტი; 50. მიმიკის მოშლა; 52. მდინარე იტალიაში; 54. მსახიობ ელიავას სახელი; 56. იტალიელი პოეტი; 58. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 60. პატარა სარწყავი არხი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ოსმალეთის სულთნის მმართველთა ბრძანებულება | სამსახურის ამხანაგი | ვისიმე ან რისამე ქანდაკება | მრავალნაწილიანი ფილმი | სამხედრო წოდებულება | ქალაქი საფრანგეთში | ერთ-ერთი მეუღლის შვილი მეორის მიმართ |
|---|---|---|---|---|---|---|

| სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო | მსახ. ... კიდმანი | ქართველი რეჟისორი | მოტორიანი ნავი | ხის აღვირი | მთრიმლავი ნივთიერება | ქალაქი რაჭა-ლეჩხუმის მხარეში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2024 წლის 14 – 20 ოქტომბერი №43 (1561)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**



გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


2 009882 637296


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol